



ილორი

www.ilori.ge

E-mail: r.jalagania@mail.ru



№228 (287)

16-23 ივლისი 2013

სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორბანო

30 თეთრი

მკვლელობა პრეზიდენტის სისხლიანი გამოცდა

ალბათ ყველამ იცის, თუ როგორ ექცევიან ცოფიან ძაღლებს, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ხშირად (სამწუხაროდ, მაინც და მაინც საქართველოში) აღმანიებს ბევრად უფრო სასტიკად ექცევიან, ვიდრე თუნდაც ცოფიან ძაღლებს, რომელთაც უცებ კლავენ ინექციით, ან თოფის ერთი გასროლით.

როგორ შეიძლება, თუნდაც ერთი წამით წარმოიდგინოს ადამიანმა აგრესიული ცხოველის მოკვდინება? კი, ისეთი წამებით, როგორც სანდრო გირგვლიანს მოექცნენ სააკაშვილ-მერაბიშვილის პირსისხლიანი ნაძირალები? ახლა ისიც ირკვევა, რომ ირინა ენუქიძის სიკვდილშიც ამ არაკაცები სისხელი ურევია, რადგან მათთვის ალბათ ძნელი მოსსამენი გახლდათ უბედურებისაგან ერთიანად განადგურებული შეილმოკლული დედის მწარე მოთქმა.

მათი აზრით, ეს პუშინური საცხელია, რადგან ადამიანს ტანჯვა შეუძლებელია!

რაოდენ ცინიკურია ამის გააზრება? კი, რომ ზნეცემული სააკაშვილ-მერაბიშვილისა და მათიანად სინდის-გარეცხილი სხვა ნაციონალებისათვის კიდევ ერთი ადამიანის სიკვდილი მხოლოდ უბრალო სტატისტიკაა...

მაინც, როგორ შეიძლება აქამდე დაშვებულიყო საქართველო?

კოხმა პრეტორი გვასწავლის, რომ ყველა მოვლენას ფესვები უნდა გაუშვებოდეს, ისე დახედო და დასკვნები შემდეგ გააკეთო. სააკაშვილისა და ნაციონალების ფესვები კი ის შევარდნაძე და მოქალაქეთა კავშირია, რომელთაც ცვლიანი სიკვდილი საქართველოს მუდმივ თანამდევად განუწყვეტს. რომელი ერთი მათი მსხვერპლი ჩამოგითვალთ: ზვიად გამსახურდია, ქოული შარტავა, ნუგზარ საჯაია, მიშა ქურდაძე, სულიკო ხაბიშვილი, მხედრიონისა და სხვა ბანდოვრებიერების მიერ სამეგრელოში ჩახოცილი მშვიდობიანი მოქალაქეები, აფხაზეთში დაღუპული ქართველ-აფხაზები, სამაჩაბლოში დაღუპული უდანაშაულო თანამომქმედი, როგორც იქით, ისე აქეთა მხარეს, თბილისისა და საქართველოს სხვა რაიონების მილიციის სამმართველოების შენობებიდან **“შემთხვევით”** გადმოცვენილი ხალხი...

მოკლედ, მართლაც **“შესანიშნავი”** სკოლა გაიარეს **“ახალგაზრდა რეფორმატორებმა”** ელუარდ შევარდნაძესთან, მექვიდრეობაც **“მსუფე”** ერგოთ და **“ნაციონალური მოძრაობა”** სწორედაც რომ ნაციტურ იდეოლოგიაზე ააგეს, ოღონდ, დაშნაკეუტიუნელთა ინტერესების გათვალისწინებით. შევარდნაძეზე დიდი მასწავლებელი სააკაშვილისათვის იყო აბუ-გრეების ციხის დამფუძნებელი ამერიკის პრეზიდენტი მამა-ბუში, რომელმაც ეს ციხე გაუგონარი წამების ფორპოსტად აქცია. დიხს, **“მამა-ბუშისეული”** გახლდათ მეოცე საუკუნის ამერიკა, **“სააკაშვილისეული”** გახლდათ XXI საუკუნის საქართველო, სამარცხვინო, არაადამიანური...

მანამდე კი, სააკაშვილის გაპრეზიდენტებისათვის გადადგმული მომდევნო ნაბიჯები უკვე ტექნიკის საქმე იყო – პოლიტიკური ავანტიურისტული სცენარების უბადლო შემოქმედმა შევარდნაძემ იმდენად შთამბეჭდავად გაითამაშა **“გარდების რევოლუცია”**, რომ მთელი საქართველო დააჯერა ქვეყნის მომავალ ბედნიერებაში.

მოვიდა მიშა და თან მოჰყვნენ თვალეპარპალა, პირგაუხსნელი, კუზიანი და ფედაბრისახიანი მახინჯები. მაგრამ მათი ფიზიკური სიმახინჯე მონაგონი აღმოჩნდა იმ მახინჯე აზრებსა და იდეოლოგიასთან, რაც მათ მოკლე ხანში მოახვიეს თავს

სრულიად საქართველოს! თავად სააკაშვილი კი აშკარად გაუწონასწორებული, არასერიოზული, უზრდელი და ანგარებიანი გამოდგა, თუმცა ეს თვისებები მან დროთა განმავლობაში გამოავლინა, მაგრამ, როცა ხალხი მიხვდა, რომ ქვეყანას გაუწონასწორებული მანიაკი მართავდა, ძალზე გვიანი იყო, რადგან ქვეყანაში უკვე დაუნდობელი რეპრესიული მანქანა მძვინვარებდა. სხვაგვარად მოაზროვნე ადამიანების გატაცება, ტანჯვა, წამება, მკვლელობა ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. ყოველგვარი მკვლელობა თავხედობაა, მაგრამ ძნელად მოიძებნება ცინიკური მკვლელობის ისეთი ანალოგი, როგორითაც საქვეყნოდ ცნობილ მეცნიერს გურამ შარაძეს მოუსწრაფეს სიცოცხლე.

ფაქტიურად ამით მესიჯი გაეგზავნა საპროტესტო განწყობის მქონე ყოველ ქართველ პატრიოტს – გურამ შარაძე არ დავინდეთ და არც თქვენ დავინდობთო! ეს ყოველივე რომ სადისტი სააკაშვილისა და მისი მახინჯი გარემოცვის ავადმყოფური აზროვნების პროდუქტი გახლდათ, დღეს უკვე აღარაფერს ეძებება ეჭვი – განსაკუთრებით ციხის კადრებისა და სამეგრელოს სამალავებიდან ამოღებული ფირების ხილვის შემდეგ!

ნამდვილად არ არის ეს ადამიანი ეთნიკურად ქართველი, თორემ როგორ შეიძლება, რომ ქართულ ოჯახში ასეთი გადაგვარებული არსება შობილიყო და აღზრდილიყო?

ამის შესწავლას ალბათ სერიოზულად უნდა შეუდგნენ მეცნიერები, რათა საქართველომ მეორედ აღარ დაუშვას ასეთი საბედისწერო შეცდომა!

როცა სისხლის სამართლის პირწავარდნილმა დანაშაუდმა სააკაშვილმა წამების ახალი ფაქტების აღმოჩენის თაობაზე შეიტყო, მისთვის ჩვეული უტიფრობით სხვებისკენ გაიშვირა ხელი და ამჯერადაც შეეცადა პასუხისმგებლობისათვის თავის არიდებას. სულელები ვვინივართ ამ მართლაც სულელს! იცის, რომ სსსმართლის წინაშე მოუწევს წარსდგომა მის მიერ ჩადენილი უამრავი აკაკოცობისათვის და ახლა ცდილობს ყველაფერი სხვებს გადაბარდოს. მაგალითად, პირზე ქაფმორეულმა შემოგვჩივლა, რომ როცა ხალხის წამებაში მხილებულ ბედუკაძეს დაუსჯევლად უშვებენ გარეთ, რა თქმა უნდა, ქვეყანაში ამგვარი რამ ყოველთვის მოხდებაო.

მართლაც თავხედობისა და უტიფრობის კლასიკური ნიმუშია!

სწორედ ბედუკაძის მიერ ციხიდან გამოტანილმა წამების ამსახველმა კადრებმა მოუღეს ბოლო, 2012 წლის 1 ოქტომბერს, საქართველოში ნაციონალებისა და სააკაშვილის პარპაშს, და ახლა, შიშის ძრწოლვით დათრგუნული არაადამიანები ცდილობენ საკუთარი უმძიმესი დანაშაულების სხვაზე გადაბარდვას და მათ მესაფლავე ბედუკაძეზე რევენშის აღებას!

ბოლმა ადრნობთ, რომ ვერაფერს უხერხებენ და თანდათან ურიგდებიან იმ აზრს, რომ **“რაც უნახავთ, ვერასოდეს ვეღარ ნახავთ”!**

მუდმივი შიშისა და საკუთარ მსხვერპლთა სახეების მოლანდებით დათრგუნული მიხეილ სააკაშვილი თავდაცვერ ასიგრაქვანებს, რომ ყოველი მისი არაადრება და საკუთარი დანაშაულებების სხვაზე გადაბარდვა (ეს უკვე იმდენად თვალნათელია, რომ ნაცებიც ვეღარ ამტკიცებენ საპრისპიროს) გახლავთ მკვლელო პრეზიდენტის სისხლიანი გამოსახოვარი.

როცა აფრიკელი დიქტატორი ბოკასა საკუთარ კაბინეტს გამომეშვიდობა, მის მაცივარში ადამიანის ხორცი აღმოაჩინეს,

რითაც, როგორც ჩანს, საკუთარ გასტრონომიულ მოთხოვნებს იკმაყოფილებდა ატავისტურ ფსიქოლოგიას დამორჩილებული ეს კანიბალი-უზურპატორი.

არავინ იცის, რას აღმოვაჩენთ სააკაშვილის გადაშენების შემდეგ მის მაცივარში (შეიძლება ეს იყოს მის მსხვერპლთა დაკონსერვებული სისხლი), მაგრამ ფაქტია, რომ კანიბალიზმის არაპირდაპირი ფორმებიც არსებობს და ადამიანების გადასასანსლად სულაც არ არის აუცილებელი მათი ხორცის დამაცივრება. ამისათვის საჭიროა გვერდით ამოიყენო ბოკერია, მერაბიშვილი, ადგიშვილი, თარგაძე, გაბაშვილი და სხვა უსახური არსებები, რომლებიც ისე დაგლეჯ-დაანაკუწებენ მათთვის არასასურველ პიროვნებას, რომ მის ასავალ-დასავალს ვერასდროს ვერავინ მიაგნებს.

ამგვარი ფაქტებიც ხომ უხვად მოიძებნება საქართველოში, თუნდაც იგივე სამეგრელოში, სადაც გაუბედურებული დედა უკვე მეოთხე წელიწადია ელოდება უგზო-უკელოდ გაუჩინარებული შვილის გამოჩენას, რომლის კვალი ზუგდიდის სამართალდამცავების შენობასთან იკარგება.

სწორედ სააკაშვილთან უნდოდა მისვლა ამ დედას, რათა ეთხოვა დახმარება შვილის პოვნის საქმეში, მაგრამ პრეზიდენტად წოდებულ არარაობასთან წერილით ხელში მისული ქალბატონი სასტიკად სცემეს ზუგდიდის პოლიციის მაშინდელმა უფროსმა ლევან ქირიამ და მისმა ზონდერებმა. ამის შემდეგ, ბუნებრივია, აღარავის აღეძვროდა სააკაშვილთან ჭეშმარიტების პოვნის სურვილი...

აი, რა გახლდათ არაკაცი სააკაშვილის სოციალური დაკვეთა საქართველოს მოსახლეობისადმი!

აი, როგორი გახლდათ სააკაშვილის დამოკიდებულება იმ სამეგრელოსადმი, რომელმაც იგი ფაქტიურად დასვა საქართველოს პრეზიდენტის სკამზე. აი, როგორია სომხური მადლიერება...

მხოლოდ ეთნიკურად და სულიერად არაქართველი, უფრო მეტიც, მხოლოდ ქართველთაგან არარაობა თუ შექმნიდა საქართველოში ჯოჯოხეთური სისტემის რეალურ ჯოჯოხეთს, რომელსაც, მომავალში, ალბათ ქართული პოლიკოსტი დაერქმევა. სააკაშვილმა რომ ერთ დროს მერაბიშვილს **“ქვეყნის ხერხემალი”** უწოდა, ეს ხერხემალი იმდენად გამრუდებული და დამახინჯებული აღმოჩნდა, რომ კვაზიმოდორე კი მასთან შედარებით მზეჭაბუკად გამოჩნდებოდა.

რაც აღხანაა, ის ჩალხანაა – რა სიმახინჯეც სააკაშვილია, ზუსტად ისეთივე სიმახინჯეა მისი პოლიტიკური გარემოცვა. თუმცა, ბოდიშს მოვიხდი თვით ყველაზე უწესო პოლიტიკოსებთანაც კი, რადგან ნაცები არასოდეს ყოფილა პოლიტიკური ძალა, იგი პირწავარდნილი დანაშაულებრივი ორგანიზაციაა.

მიხეილ სააკაშვილი ბუნებით თაღლითი, ანტიქრისტე და არანორმალურია. იცის, ზურაბ ჟვანია როგორ მოკლეს და იცის, რომ როდესაც ობიექტი იღუპება, ყოველთვის პირადი დაცვაა გარეული. ამიტომ გამუდმებით დგამს ამ სპექტაკლებს, რომ ვითომ ტერორისტულ აქტებს უწყობენ – ხან ახალი ხელისუფლებისგან ელოდება საფრთხეს და დაცვაზე უარს ამბობს, ხან კიდევ თაღლები **“ემუქრებიან”**. (ჟვანიას მკვლელობაზე წერილს გაზეთის მომდევნო ნომერში მოგაწვდით)... როგორც იტყვიან, გასაღები აქვს დაკარგული, მაგრამ პრეზიდენტობის, და არა კაცობის, რადგან სააკაშვილი კაცი არასოდეს ყოფილა – იგი, უბრალოდ, ზურუშინი მამრი იყო და სხვა არაფერი!

ახლა, როცა იარაღის სამალავები აღ-

მოაჩინეს სამართალდამცავებმა, რომელიც სააკაშვილსა და მის ბანდას ქვეყანაში გადატრიალების მოსამზადებლად სჭირდებოდა, იქვე ხალხის ამაზრუნე წამების კადრებიც იქნა ნაპოვნი, რაზედაც სააკაშვილმა ჩვეული უტიფრობით განაცხადა:

“ძალიან ვწუხვარ, თუ ასეთი სადისტები შეიპარნენ ჩემი მთავრობის დროს, თუ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ბოლოს გაგრძელებული ფირები სიმართლეს შეესაბამება, სადაც ასახულია მიმედანაშაული, რა თქმა უნდა, დანაშაულები უმკაცრესად უნდა დაისაჯონ. ჩვენ მარსზე არ ვცხოვრობთ, ბოლო წლებში ძალიან ბევრი გაკეთდა იმისთვის, რომ პოლიციაში აღარ ყოფილიყო ის, რაც მანამდე ჩვეულებრივი მოვლენა გახლდათ: ადამიანის ტანჯვა, წამება, ფულის აღება, დანაშაულის დაბრალება, ძალდატანებით აღიარების მიღება”...

ან ჩვენ ვვინივართ სულელები, ამ შობელძაღლს, ან მართლაც გააფრინა უკვე.

ქართულ სინამდვილეში არსებობს მცნება **“კაცობა”**, რაც ყველა სხვა სიკეთესთან ერთად ნიშნავს **“ღირსეულად მოსვლას”**, შემდეგ კი, ასევე, **“ღირსეულად წასვლას”**. მაგრამ, ამის გამკეთებელი **“კაცი”** უნდა იყოს და არა სააკაშვილისნაირი არაკაცი!

დღეს ყველამ კარგად იცის, რომ ეს შეურაცხადი საქართველოს სათავეში მოვიდა აშკარად არაკაცურად – საეკულატიური გარიგებით, თუმცა მას უნდა სცოდნოდა, რომ საქართველოს ისტორიაში ყველაზე დიდ არაკაც და ავანტიურისტ ელუარდ შევარდნაძესთან პოლიტიკური გარიგებით თავისთავად იღებდა ხელს იმ ღირსებაზე, რასაც **“კაცობა”** ჰქვია. როგორც ამბობენ – **“ხარი ხართან რომ დააბა, ან ზნეს იცვლის, ან ფერსაო”!** ხნე არც ერთს აქვს და არც მეორეს, რაც შეეხება ფერს – ორივეს აშკარა გადახრა რომ აქვს **“ცისფერებისაკენ”**, ესეც უტყუარადაა დამტკიცებული!

ქართველები ვართ ცოდონი, ცხრა წელი რომ ვითმენდით ამ ნაციტურ საშინელუბას, თორემ, სააკაშვილი როგორი უდირსობითაც მოგვევლინა ერთპიროვნულ მმართველად, ისევე უდირსად მიდის პოლიტიკურ სანაგვეზე...

გზაც იქით ჰქონია!

თუმცა, ყველაფერს ერთ შეურაცხად უზნეო სააკაშვილს და მის ნაძირალა გარემოცვას ნუ დავაბრალებთ, რადგან ბევრი რამ ჩვენი ბრალიცაა. გაიხსენეთ ფრანგი ფილოსოფოსის სიტყვები: **“სიბოროტე იმარჯვებს მაშინ, როცა კეთილი ადამიანები ჩუმად არიან”!**

ტოლანდ ჯალაღანიძე, “ფაზისის” და “აიას” აკადემიების წევრი



ზურაბ მარშანია: “ჩვენ ვუსწრაფვით შეუქმნათ სისტემა, რომელიც ერთნაირად მისაღები იქნება ექიმისთვისაც და პაციენტისთვისაც”

ჯანდაცვის სისტემის რეფორმა აქტუალურია არა მხოლოდ რუსეთში, არამედ პოსტსაბჭოთა სივრცის ყველა ქვეყანაში, მათ შორის აფხაზეთშიც. იმ პრობლემების თაობაზე, რომელსაც ჯანდაცვის სფერო აწვდება მოსახლეობისათვის სამედიცინო დახმარების აღმოჩენისას, გვესაუბრება აფხაზეთის რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი **ზურაბ მარშანია**. საუბარი მიჰყავს ჟურნალისტ ალინა ჟიბას.

– **ბატონო ზურაბ, რას წარმოადგენს დღეს აფხაზეთის ჯანდაცვის სისტემა? აკმაყოფილებს თუ არა იგი აფხაზეთის მოსახლეობის მოთხოვნას სამედიცინო მომსახურებაზე და რომელი პრობლემებია გადასატარელი პირველ რიგში?**

– შეიძლება ითქვას, რომ დღევანდელი აფხაზეთის ჯანდაცვის სისტემა გახლავთ საბჭოთა პერიოდის თვალნათელი გადმონაშთი, რომელსაც თან ახლავს უამრავი ანგარიშგასაწვეი პრობლემა, ჩვენ კი, ომის შემდგომი წლების განმავლობაში, ვცდილობდით მხოლოდ ამ პრობლემათა ნაკერების ამოკეცვას, მაშინ, როცა ქვეყანაში დიდი რეფორმები იყო გასატარებელი. ჩვენ მხოლოდ რამდენიმე წლის წინა დავიწყეთ სისტემის რეორგანიზაცია, რაც უკვე იძლევა ხელშეშახებ შედეგებს. მაგრამ სისტემის სრულ მოდერნიზაციას დასჭირდება არანაკლებ 10 წლისა... სისტემის რეორგანიზაციას ჩვენ შევედევით სტატისტიკის გაუმჯობესებით. თავიდან ჩვენი სტატისტიკური ფორმა ითვალისწინებდა 40 პროცენტზე ნაკლები მომსახურების გაწევას, რაც მოითხოვდა დამატებითი დოკუმენტაციის შექმნა-დანერგვას. მხოლოდ ამის შემდეგ მივიღეთ აფხაზეთის მოსახლეობაში დაავადებათა სახეობებისა და გავრცელების ინტენსიურობის ნათელი სურათი. ახალი სახის დოკუმენტაციათა დამკვიდრების გარეშე ჩვენ ნამდვილად ვერ მივიღებდით რესპუბლიკის მოსახლეობაში დაავადებათა სახეობების გავრცელებისა და პერიოდულობის რეალურ სურათს.

თანამედროვე ეტაპზე მიმდინარეობს რესპუბლიკის მთავარი საავადმყოფოს რეორგანიზაცია და სრულად დაკომპლექტება აუცილებელი აღჭურვილობებით – ეს იქნება მრავალპროფილიანი კლინიკა, რომელიც მაღალკვალიფიციურ მომსახურებას გაუწევს რესპუბლიკის მოსახლეობას. მისი პირველი ქვედანაყოფი იქნება სოხუმის სამშობიარო სახლი, რომელშიც ერთად იფუნქციონირებენ

გინეკოლოგიისა და მეანობის სამსახურები.

დღევანდელ აფხაზეთის რესპუბლიკაში ყველაზე ხელშეშახები პრობლემაა ბავშვებისათვის, მათ შორის ახალშობილებისათვის შესაბამისი სამედიცინო მომსახურების გაწევა. ყოველივე ეს განსაკუთრებით ეხება პეოპატოლოგიის სფეროს, რაც ითვალისწინებს ადრეულად შობილი ბავშვების მოვლა-პატრონობას, ბავშვთა რეანიმაციას და ქირურგიას. ამიტომ ვმუშაობთ სამშობიარო სახლის რეორგანიზაციაზე, ვაძლიერებთ ქალთა კონსულტაციის სამსახურს, ვქმნით ორსული ქალების მონაცემთა ელექტრონულ ბაზას, აღრიცხული იქნება ორსულ ქალბატონთა გინეკოლოგებთან ვიზიტების დრო და მიზანი, რა დანიშნულება მიეცა მას და დაიცვა თუ არა პაციენტმა ექიმის დანიშნულება.

ჩვენი უახლოესი მომავლის ამოცანაა პერინატალური ცენტრის გახსნა სათანადო ქვედანაყოფებითა და თანამედროვე ქირურგიული დარბაზებით, რომელიც აღჭურვილი იქნება ყველა აუცილებელი დანადგარით. აღნიშნული ცენტრი გააკონტროლებს მთელ რეგიონს, რისთვისაც აუცილებელია არა მხოლოდ ტექნიკის განახლება, არამედ სათანადო კადრებით მისი დაკომპლექტება.

ჯერჯერობით შექმნილი გვაქვს ვაქცინაციის სრულყოფილი ელექტრონული ბაზა, რომელსაც ასევე შეგქმნით ქალთა კონსულტაციების ქსელშიც. ბავშვების სააღრიცხვო ბაზის შექმნაში კი დიდი დახმარება გაგვიწევს საერთაშორისო ორგანიზაცია **იუნისეფ**-ის წარმომადგენლებმა. ასევე, რეორგანიზაციის პროცესშია სასწრაფო, გადაუდებელი სამედიცინო დახმარების სისტემა. დღევანდელი მდგომარეობა მოითხოვს ამ დარგის ცენტრალიზებას და ერთიანი სადისპეტჩერო სამსახურის შექმნას. რეორგანიზაციის პირველი ეტაპი იქნება ცენტრალიზაცია, მეორე – ფუნქციების გადანაწილება. რუსეთისა და ისრაელის სამედიცინო ცენტრი ახერხებს, რომ ინსულტის თუ ინფარქტის შემთხვევაში სასწრაფო დახმარების მანქანა გამოძახების ადგილზე მივიდეს 12-15 წუთის განმავლობაში. 220 კილომეტრის სიგრძის მქონე რესპუბლიკაში ამის მიღწევა არ გაგვიჭირდება. მაგრამ, სამწუხაროდ, ექიმები ჯერ კიდევ არ გვეოფნის...

გარდა ამისა, სასწრაფო სამედიცინო დახმარების მანქანები იმორიგეებენ

პოლიციის საყრდენ პუნქტებთან, რათა დროული დახმარება აღმოუჩინონ საგზაოსატრანსპორტო შემთხვევებში დაზარალებულებს. ხოლო, იმის გათვალისწინებით, რომ აფხაზეთში დასახლებული პუნქტების უმეტესობა ტრასის გასწვრივია განლაგებული, ეს ბრიგადები დროულ დახმარებას გაუწევენ მოსახლეობასაც.

– **როგორ აფასებთ თქვენი უწყების თანამშრომლობას რუსეთის ჯანდაცვის სისტემასთან?**

– ჩვენ, რა თქმა უნდა, გვაინტერესებს, რა ხდება ამ მიმართულებით რუსეთსა და სხვა ქვეყნებშიც და ვცდილობთ გადმოვიღოთ მათი გამოცდილება. დასამალი არაა, რომ, ამ მიმართულებით რუსეთი ჩვენი მთავარი პარტნიორიცაა და მასწავლებელიც, საიდანაც შემოდის ძირითადი სამედიცინო ინფორმაციის ნაკადი. ვთანამშრომლობთ რუსეთის კონკრეტულ სამედიცინო დაწესებულებებთან.

– **აფხაზეთში ტრადიციულად დიდი ყურადღება ეთმობოდა სანიტარულ-ეპიდემიოლოგიურ მდგომარეობას. რა პრობლემებია ამ მხრივ და როგორ მოქმედებთ მათ აღმოსაფხვრელად?**

– სამწუხაროდ, ამ მხრივ, ჯერჯერობით, ყველაფერი ვერ არის რიგზე. თქვენ კარგად იცით, თუ ამ მხრივ რა მდიდარი მემკვიდრეობა დაგვიტოვა ცნობილმა ექიმმა ნიკოლოზ პავლემ ძე რუხაძემ, რომელიც გახლდათ ჯერ კიდევ რევოლუციამდელ აფხაზეთში ტროიკული მედიცინისა და მაღარიასთან ბრძოლის მეცნიერულ მეთოდთა სისტემების ფუძემდებელი. ამ მემკვიდრეობას კი საიმედოდ დაცვა და განვითარება სჭირდება, რასაც ვაქცევთ კიდევ სათანადო ყურადღებას. სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური სიტუაციის გაუმჯობესებას ასევე სჭირდება საკანალიზაციო სისტემების მოწესრიგებაც, განსაკუთრებით განვითარებული ტურიზმის პირობებში, რისი ტენდენციაც ამჟამად შეინიშნება აფხაზეთში. საჭიროა ახლად აღმოცენებული დატოვებული ადგილების დაშრობა, ნარჩენების უტილიზაცია. საბუნდოვანოდ, უკანასკნელ პერიოდში აღარ შეინიშნება ეპიდემიის მომქალაქება, მაგრამ ეს არ გვაძლევს მშვიდად ყოფნის უფლებას. უკვე დაწყებულია რეტაირუსული ინფექციების ვაქცინაცია, რითაც შარშან უამრავი ბავშვი იყო დასნეუბებული.

– **ქვეყანაში ახლა ტუბერკულოზის ზრდის ტენდენციაა დაფიქსირებული.**

– აღრიცხვაზე გვყავს 200 ტუბერკულოზით დასნეულებული ადამიანი, თუმცა არსებობს ამ რიცხვის ზრდის რეალური საფრთხე, რადგან ამ დაავადების მულტირეზისტენტულ ფორმებთან გამკლავება საკმაოდ რთული საქმეა. ამ მხრივ ჩვენ დიდ დახმარებას გვიწევს რუსეთის ტუბერკულოზის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომელიც გვეხმარება როგორც პრეპარატებით, ასევე კონსულტაციებით. მიმდინარეობს ტუბერკულოზის საწინააღმდეგო დიაპნსერის რეკონსტრუქციის სამუშაოები, რაც მნიშვნელოვანდ შეამცირებს ამ დაავადების ზოგად სტატისტიკას. მიმდინარე წელს შევიძინეთ ფლიუოროგრაფიული დანადგარები, რაც შეტად ეფექტურია ამ დაავადებასთან ბრძოლის საქმეში.

– **რა მდგომარეობაში ამჟამად აფხაზეთის რესპუბლიკაში გამაჯანსაღებელი მედიცინა. შეგძლებოთ კი დავიბრუნოთ “საკავშირო გამაჯანსაღებელი ცენტრის” საპატიო სახელი და რა კეთდება დღეს ქვეყანაში გამაჯანსაღებელი ტურიზმის განსავითარებლად?**

– სიმართლე რომ ვაღიაროთ, ჩვენთან ახლა ნაკლები ყურადღება ეთმობა გამაჯანსაღებელ მედიცინას, მაგრამ ეს, მეტწილად, მატერიალური ბაზისა და სათანადო კადრების დეფიციტითაა გამოწვეული. მაგრამ იმის დიდი იმედი გვაქვს, რომ აფხაზეთი მალე დაიბრუნებს “საკავშირო გამაჯანსაღებელი ცენტრის” საპატიო სახელს. განა დანაშაული არ იქნება, რომ მაქსიმალურად არ გამოვიყენოთ ჩვენი ბუნებრივი რესურსები, რომელიც ღვთისგანაა ბოძებული?

ჩვენ ყოველწლიურად ვაგზავნით ახალგაზრდებს სასწავლებლად რუსეთის მიერ გამოყოფილი ლიმიტებით, ბევრი კი დამოუკიდებლად მიემგზავრება სასწავლებლად. შექმნილია სპეციალური პროგრამა, რომლითაც ფინანსდებიან სწავლას მოწყურებული ახალგაზრდები, რომელთა სათანადოდ მომზადებას 6 წელიწადი სჭირდება. ასევე გვეხმარება რუსეთის ჯანდაცვის სამინისტრო სამედიცინო დარგის მუშაკების კვალიფიკაციის ამაღლების საქმეში, რაც ასევე მნიშვნელოვანია. მალე ამოქმედდება პროგრამა, რომელიც დაავინანსებს უცხოელ სპეციალისტთა მივლინებას აფხაზეთის რესპუბლიკაში.

ეს გახლავთ იმ აუცილებელ დონისძიებათა კასკადი, რაც სასარგებლო იქნება როგორც ექიმების, ასევე პაციენტებისთვისაც!

საქართველოს პრემიერი: „აფხაზეთის გავლით რკინიგზა აუცილებლად აღდგება!“

ჟურნალისტებთან ტრადიციული შეხვედრაზე, პრემიერის თქმით, აფხაზეთის გავლით რკინიგზის გახსნა აფხაზეთსა და ჩვენ შორის ურთიერთობას გააუმჯობესებს.

“აფხაზეთის გავლით რკინიგზა უნდა გაიხსნას. ნებისმიერ ეკონომიკას ნებისმიერი ახალი გზა აუზრუნვესებს. ეს გააუმჯობესებს აფხაზეთსა და ჩვენ შორის ურთიერთობასაც... ჩვენ ჯერ კიდევ გვაქვს გასარკვევი საკითხები ყველა დაინტერესებულ მხარესთან, მათ შორის რუსეთთან, ჩვენს ძმებთან. აფხაზეთთან სახალხო დიპლომატიის მეშვეობით ვახერხებთ ინფორმაციის გაცვლას. ეს პროცესი უნდა დაიწყოთ მაშინ, როდესაც არ გამოიწვევს დიდ ვნებათაღელვას. ჩემი აზრით, ზედმეტად პოლიტიზებულია ეს საკითხი და ამიტომ ხდება პროცესების მდორედ მიმდინარეობა. ჩვენ გვაქვს ამის სურვილი, მაგრამ ეს უნდა მოხდეს იმ შემთხვევაში, როდესაც არ იარსებებს კითხვები, პირველ რიგში, ჩვენი საზოგადოებიდან. ჩვენ ვცდილობთ, რომ ყველას ანგარიში გაეუწიოთ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ გადაჭრით პრობლემებს და რკინიგზა აუცილებლად აღდგება”, – განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.



აფხაზეთი სირიიდან რეპატრიანტების ახალი ჯგუფის მისაღებად მზად არის

საქინფორმი. 3 ივლისს აფხაზეთის პრემიერ-მინისტრმა ბატონმა ლეონიძემ ლაქრბაიამ სირიიდან აფხაზეთში თანამემამულეთა მორიგი ჯგუფის მიღებისა და განთავსების საკითხებზე გაფართოებული თათბირი გამართა. აფხაზეთის რესპუბლიკის მთავრობის მეთაურს ანტერესებდა, რა ვითარებაა რეპატრიანტების ჩამოსახლება და მათი განთავსების მოსამზადებელ სამუშაოებთან დაკავშირებით.

თათბირზე სიტყვით გამოვიდა საგარეო საქმეთა მინისტრის ი. ხინთბა, რეპატრიაციის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ხ. ჯოჰუა და სხვები.

თათბირის შედეგები შეაჯამა პრემიერმა ლაქრბაიამ, რომელმაც განაცხადა, რომ რესპუბლიკის პრეზიდენტ ბატონ ალექსანდრე ანკვაბის წინადადებით, ქვეყნის 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში დაგეგმილია რეპატრიანტებისათვის საცხოვრებელი ბინების შესაძენი სახსრების გამოყოფა.

გაზეთ “ილორის” კომენტარი: რა თქმა უნდა, მისასალმებელია ჩვენი აფხაზი ძმების მიერ გამოვლენილი ტოლერანტობა, რომელიც ჩვეული მასპინძლობით ცდილობენ ხელი გაუშვათონ გაჭირებაში აღმოჩენილ ადამიანებს, რომლებიც გაგანია ომის შუაგულში აღმოჩნდნენ ამერიკელებისათვის ჩვეული გეოპოლიტიკური ინტრიგების წყალობით. სირიაში საერთაშორისო იმპერიალისტური ძალების მიერ გაჩაღებულ უსამართლო ომს უკვე შეეწირა 100 ათასზე მეტი მშვიდობიანი ადამიანის სიცოცხლე და ვიდრე ეს

ძმათამკვლელი ომი დამთავრდება, არავინ იცის, კიდევ რამდენი ადამიანის საფლავი გაითხრება სირიის მიწაზე.

რა თქმა უნდა, გულთბილი მასპინძლობა ღვთიური საქმეა და აფხაზებს არავისაგან ესწავლება, მაგრამ აქ ყურადღება აუცილებლად უნდა მიექცეს ერთ მნიშვნელოვან გარემოებას.

როგორც ნაცმოძრაობის პოლიტიკური დამარცხების შემდეგ ნათელი გახდა, სააკაშვილი ქალაქ ლაზიკას სგულდაგულოდ აშენებდა სირიიდან 40.000 სომეხი ეროვნების ლტოლვილის ჩასახლებადად. ყველას კარგად მოეხსენება, თუ როგორი მწვავე პრობლემის წინაშე დგას დღეს საქართველო სამცხე-ჯავახეთში, სადაც სწორედ ქართული ტოლერანტობის გამო ჩავასახლეთ თურქეთიდან უეტეველ სიკვდილს გამოშტეტებული სომხები, რომლებიც დღეს ურცხვად ამტკიცებენ, რომ ჯავახეთი ისტორიულად სომხური მიწაა. იგივე მეთოდით გადაუხადეს სომხებმა მაღლობა რუსებს, რომელთაც შიმშილისაგან გაწამებული სომხები კომპაქტურად ჩაასახლეს რუსეთის სამხრეთ რეგიონებში, მიწებიც დაურიგეს უფასოდ და საკმაოდ დიდი შეღავათებიც უბოძეს. ახლა კი, იგივე სომხები რუსებს უმტკიცებენ, რომ ერთ დროს სომხეთი ევრონეაგამდე იყო გადაჭიმული.

ამიტომ გმართებთ სიფრთხილზე, ჩვენი აფხაზო ძმებო, რათა სირიიდან ლტოლვილ აფხაზებს სომხებიც არ შემოჰყვანენ, რომლებიც დღეს ისედაც უხვად არიან თქვენს მაღლიან მიწაზე! სიფრთხილეს ზომ თავი არ სტკივს!

მიხეილ სააკაშვილი – გუშინ ჩამორიყვანეს ღუმის დეკუტატი, რომელიც საქართველოს დაშინებული მტერია

ჯერ კიდევ საქართველოს პრეზიდენტად წოდებული მიხეილ სააკაშვილი თბილისში რუსეთის სათათბიროს დეპუტატ სერგეი გავრილოვის ვიზიტს აპროტესტებს და მას მტერს უწოდებს. როგორც მიხეილ სააკაშვილმა 2013 წლის 6 ივლისს, **“დინამო არენაზე”** მომხდარ ინციდენტის კომენტარებისას განაცხადა, სათათბიროს აღნიშნულ დეპუტატს 2008 წელს ხმა საქართველოს დაქუცმაცებისთვის აქვს მიცემული.

“ის, რაც გუშინ მოხდა “თბილისის დინამოს” სტადიონზე ძალიან ბევრს მეტყველებს იმაზე, თუ რა მდგომარეობაში იმყოფება საქართველო, რა გამოწვევებისა და საფრთხეების წინაშე ვართ და რა რისკები არსებობს, თუ ეს გაგრძელდება. მე პირადად მივესალმები და პოზიტიურ მოვლენად მივიჩნევ ასეთ მატჩებს – მე ვიყავი ინიციატორი, რომ რუსი ტურისტებისთვის ცალმხრივად გამართვიყო სავიზო რეჟიმი საქართველოში. მე კმაყოფილი ვარ, როცა არის კულტურული და სპორტული კონტაქტები, მაგრამ გუშინ (დავანებოთ თავი იმას, რა ღოზუნგებით ჩამოვიდნენ გულშემატკივრები) საქართველოში ჩამოიყვანეს რუსეთის ღუმის დეპუტატი, რომელსაც ხმა აქვს მიცემული ჩვენი ქვეყნის დანაწევრებისთვის, აფხაზეთის და ცხინვალის დამოუკიდებლობისთვის. ეს კაცი აქტიურად მონაწილეობდა აფხაზეთის ომში საქართველოს წინააღმდეგ. არსებული ინფორმაციით, აქტიურად არის დაკავშირებული რუსეთის სპეცსამსახურებთან და პრაქტიკულად არის საქართველოს დაუძინებელი მტერი, ერთ-ერთი პასუხისმგებელი საქართველოს დაქუცმაცების მცდელობაზე. ამიტომ ერთია, როცა ქვეყანაში უშვებ ტურისტს, სპორტსმენს და მეორე – საქართველოს მტერს”, – განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

აღნიშნულის კონტექსტში, ქვეყნის პირველი პირი მიიჩნევს, რომ **“დინამო არენას”** მიმდებარე ტერიტორიაზე ახალგაზრდების მიერ გამართული საპროტესტო აქცია **“100 %-ით გამართლებული”** იყო. მიხეილ სააკაშვილი შინაგან

საქმეთა მინისტრს დაკავებული მომიტინგეების დაუყოვნებლივ გათავისუფლებისკენ მოუწოდებს.

“რა თქმა უნდა, ასეთი ადამიანების შეშვება არ შეიძლება, თუკი გვაქვს ღირსება, თავმოყვარეობა და ქვეყნის სიყვარული, ამიტომ მინდა ძალიან მკაცრად დავგმო ჩვენი სასაზღვრო უწყების, შინაგან საქმეთა სამინისტროს და მინისტრის საქციელი, რომელმაც დაუშვა საქართველოს მტრის ჩამოსვლა და თავისუფლად გადაადგილება ჩვენს ტერიტორიაზე. მეორე – სტადიონთან მისული იყო ახალგაზრდების ჯგუფი, რომელიც კანონის და კონსტიტუციის დაცვით აპროტესტებდა ამ სუბიექტის საქართველოში ვიზიტს. სამართალდამცველებმა გამოიყენეს გადამეტებული ძალა და აღკვეთეს მათი კონსტიტუციური უფლება, გაემართათ მშვიდობიანი აქცია. საქმე გეჭონდა პოლიციის მხრიდან პოლიტიკური შინაარსის ქმედებასთან. ვთხოვ და ვაგალობი ღარბაშვილს, რომ ეს ხალხი იყოს გაშვებული. ნუ გგონიათ, რომ ქვეყანა ჩაღვრილია დასურული, არსებობს რაღაც წესები, რომელიც ყველა ქვეყანაში უნდა დაიცვას”, – აღნიშნა პრეზიდენტად წოდებულმა არარაობამ.

მოკლედ, როგორც იტყვიან, მოხსნა გულას თავი ამ ნაციაქქიამ და რამდენიმე დღე ამ ფაქტზე იტყობა.

ყველაფერს რომ თავი გავანებოთ, ამ მართლა არაკაცსა და პოლიტიკურ გვამს რატომღაც **“აეიწყდება”**, რომ მისი მმართველობის პერიოდში საქართველოში ჩამოსული იყო რუსეთის ღუმის 5 დეპუტატი (მათ შორის **“ედინაია როსისია”** წარმომადგენლები), მაგრამ მაშინ სააკაშვილს არცერთი ამ სტუმრის მისამართით აღშფოთება არ გამოუთქვამს. სააკაშვილის ეს ძალღური ყველა მხოლოდ ბინძური პიარია თავისი მის მიერვე **“შეთიხნილი”** ნაციონალიზმის მესაფლავე **“ქართული ოცნების”** წინააღმდეგ, რათა პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილს ბრალი დასდოს რუსეთისადმი კაპუტულანტური პოლიტიკის გატარებაში, მაშინ, როცა მთელი მსოფლიოს პროგრესული საზოგადოება მიესალმება რუსეთსა და საქართველოს

შორის არსებული დაძაბულობის განმუხტვას და ურთიერთობათა დათბობას.

ისმის ბუნებრივი შეკითხვა: **“თუ ის 5 დეპუტატი არ უქმნიდა საშიშროებას საქართველოს, მაშინ ერთმა უწყინარმა გაავრდილებდა რითი შეუქმნა საფრთხე ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრიობას”?**

ოღონდ მისი გამანადგურებელი პოლიტიკური ძალა გააშავოს და ეს უდღეური ავანტიურისტი იმასაც კი კადრულობს, რომ საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება ყოველგვარი ინსინუაციების გამოყენებით დააბუხლოს იმ ევროსტრუქტურებში, რომელიც აზრი, სიმართლეს თუ ვიტყვით, **“ცალ ფეხზე ჰკიდია”** სრულიად საქართველოს მოსახლეობას.

რაც შეეხება სტადიონთან ნაციონალების ხელდასხმით არეულობის მომწივრებელ ახალგაზრდებს, მათ სასამართლომ დამსახურებული სასჯელი მიაგო, რადგან მათ ბრალი დაედოთ პოლიციელების სიტყვიერ შეურაცხყოფასა და დაუმორჩილებლობაში!

როცა ვსაუბრობთ სააკაშვილის არაქართველობის თაობაზე, მხედველობაში გვაქვს არა მხოლოდ მისი ეთნიკურად სომხური წარმოშობა, რომელზეც დღეს თავად სააკაშვილიც ადარ დაობს, არამედ მისი მენტალურად არაქართველობაც, რადგან ჭეშმარიტად ქართველი ადამიანი არასოდეს იკადრებს იმას, რასაც ეს არაკაცი კადრულობს ხოლმე.

ავიღოთ თუნდაც მისი დამოკიდებულება საქართველოში სტუმრად მყოფი რუსეთის ღუმის დეპუტატ სერგეი გავრილოვის მიმართ, რომელიც საგულშემატკივროდ ჩამოჰყვა თავის საყვარელ საფეხბურთო გუნდს – მოსკოვის **“დინამოს”**. რა საზოგადოებრივი, შეურაცხყოფილი ეპითეტებით არ მოიხსენია დაშნაკმა სააკაშვილმა საქართველოს სტუმარიცა და მისი მასპინძლებით!..

გაიხსენეთ, როგორ კოსმიურ სიმაღლეზე აჰყავს დიდ ვაჟა-ფშაველას სტუმარ-მასპინძლის ფენომენი, როცა ქისტი მასპინძელი ჯოჯოლა მასთან სტუმრად მყოფ მოსისხლე ზვიადურზე შურის საძიებლად მისულ თანასოფლელებს შემდეგი სიტყვებით მკაცრად შეაჩერებს:

“დღეს სტუმარია ის ჩემი, გინდ ზღვა ემართოს სისხლისა!”

მხოლოდ ქართველ ადამიანს შეუძლია ასეთი ღრმა ფილოსოფიური შეფასება მისცეს ღვთისაგან ნაბოძებ უდიდეს ნიჭს – სტუმრისადმი გულითადი მასპინძლობის გაწევის!

დიახ, ქართველებმა მტრის დახვედრაც ვიცით და სტუმრის მასპინძლობაც, მაშინაც კი, როცა მას **“ჩვენი სისხლის ზღვა მართებს!”**

ეს უბედური სააკაშვილი კი სომხადაც არ ვარგა, რადგან, ქართველების მგავსად სომხებმაც დიდი პატივის მიგება იციან სტუმრისადმი. სააკაშვილისათვის კი, სოლომონ ისაკიან მეჯღანუაშვილის მსგავსად, სტუმრობაცა და მასპინძლობაც მხოლოდ სარფი და პირადი მოგება გახლდათ და სხვა არაფერი!

როგორ შეიძლება ამ ფენომენის არსს ჩასწვდეს სულბინძური მექალონე და საკუთარ კარიერას გადაგებული არაკაცი მიხეილ სააკაშვილი, რომელსაც საქართველო თავის საჯიჯგნ მამულად მიანდა და არა წინაპართა ღამაში ტრადიციების ერთგულ ქვეყანად?

ამიტომაც მოისროლა იგი ქართველმა ხალხმა პოლიტიკის სანაგვეზე და ახლა ღვთის წყალობასავით ელოდება 27 ოქტომბერს, როცა ეს არარაობა საბოლოოდ გადაინაცვლებს მოუსაველეოში!

რ. შალამბერიძე



“მგორთხავეები” და “ლიბერალები”

მე გგონია, რომ ისეთი მძიმე დღეები, როგორიც ახლა უდგას საქართველოს, ბოლო ათწლეულების მანძილზე არ ჰქონია ამ ქვეყანას.

ვიცი, შემეკამათებთ: ომები, შიმშილობა და არანაკლები საშინელებები, რომლებიც **“ნაციონალებამდეც”** ხდებოდა პოლიციაში – თუნდაც პოლიციის სამმართველოს შენობის მაღალი სართულებიდან დაკავებულთა **“შემთხვევით”** გადმოვარდნებით!..

მაგრამ აქ სხვა სიძნელესა და საშინელებასთან გვაქვს საქმე: რომ არ ჩუმდებიან ეს მამაცხონებულები!!!

თურმე ნუ იტყვით და, – სასწრაფო გამოძიებას ითხოვენ და პროკურატურას წამების შემკვეთთა დასაჩუქების გაჭიანურებაში აღანაშაულებენ!

უტიფრობის მეტი რა მინახავს, **“გადმა შედაგებაც”** რომ **“გამოღმა შერჩენის”** საწინდარი. გვეც ვიცი და **“საუკეთესო თავდაცვა რომ თავდასხმაა”**, – გვეც.

ამიტომ სულაც არ მიკვირს, თბილისის ყოფილი პროკურორი ქვეყნის მაშინდელი მთავარი პროკურორის მოადგილის სადისტობით რომ არის აღშფოთებული და მის სამუშაო მაგიდაზე დადებული, გირგვლიანის საქმიდან მოწმეთა ჩვენებების **“აორთქლება”** ავიწყდება; არც ის მაოცებს, პრეზიდენტს (თუ რაც არის), დავაიანებით რომ ახსენდება, ჩემი ბრძანებით იყო ის იარაღი **“ჩამწინდებული”** პლასტმასის კასრებში; მოულოდნელი არც იუსტიციის ყოფილი მინისტრის მოადგილისა და ამჟამად საპარლამენტო უმცირესობის წევრის მოთხოვნაა, – საპარლამენტო კომისიამ გამოიძიოს ეს ჩანაწერები...!

ჰო, არც გასაკვირია ეს ყველაფერი და არც მოულოდნელი – ხელისუფლებაში რა **“ნამუსიანებიც”** გვეხსნენ 9 წლის გან-

მავლობაში, ისედაც ვიცოდი, მაგრამ ის, თუნდაც მცირერიცხოვანი მათი მხარდამჭერები, რომელთა ქირქილიც დღემდე არ წყდება პრემიერ-მინისტრის მიერ მოყოლილი ანექლოტებისა თუ რომელიმე მინისტრის გვერდზე მოქცეული პალსტუხის გამო (ესენი რომ პალსტუხს ახსენებენ!), სოციალური ქსელების ტიპები, რომლებიც დღემდე უტიფრად იცავენ მეკვლეებსა და მწამებულებს და თავიანთი ბრიყვი **“სამწესოს”** გადებივლებს აგრძელებენ, გგონია, რომ არანაკლებ დამნაშავეები არიან! რადგან მათ არც კი ეცოდებათ წამების მსხვერპლნი! ცრუობს, თუკი რომელიმე მათგანი ამბობს, რომ თანაუგრძნობს ნაწამებ ადამიანებს – არც ერთ მათგანს აღშფოთება, ან უწამწური გინება, ან დამამცირებელი ქილიკი (ეს ორი **“მეთოდი”** კარგად აქვთ ათვისებული სხვა შემთხვევებში) არ წამოსცდენიათ ამ საზოგადოებრივ ამბების გამჟღავნების შემდეგ. სხვა შემთხვევაში – იცოცხლებ! მაგალითად, თუ იცით, რას ნიშნავს **“მფორთხავე”**? ეს **“ლიბერტარიანულ-ფეისბუქურ”** დეკლარაციის **“მორწმუნეს”** სინონიმია. საერთოდ, ამ **“სასტავში”** ყველაზე დიდი სირცხვილი, მდაბიობა და გოიმობა მორწმუნეობაა, კერძოდ – მართლმადიდებლობა. და ამ **“ლიბერალებსა”** და **“უფლებადამცველებს”** სულაც არ მიაჩნიათ სირცხვილად, რომ ამ ქვეყნის მოსახლეობის უმეტესობას **“მფორთხავე”** უწოდოს; სამაგიეროდ, მათ არ უნდა უწოდო **“მამათ-მავალი”**, **“არატრადიციული”** და მით უმეტეს – **“პედერასტი”** (ვაჰ, ახლა დავფიქრდი: იმ საბავლეობებით იქნებ იმიტომ არ აღშფოთდნენ, რომ სულაც არ მიაჩნიათ საბავლეობად?!).

ჰოდა, ახლა საჯაროდ ვდებ პირობას: იმის მიუხედავად, რომ სამწესოა, ვერ ვარ

კარგი მორწმუნე, ამ ტიპებს ყველგან **“პიდერასტებს”** ვუწოდებ და ფეხზე მკიდია ქართლა და კორექტულობა! სწორედ **“პიდერასტებს”** და არა გრამატიკულად სწორ **“პედერასტებს”**, რადგან საერთოდ მკიდია მათი ორიენტაცია, უბრალოდ, ამ სიტყვის ასეთი **“თბილისურ-ფარგონული”** ფორმა უკეთ აღნიშნავს **“ადგილს, რომელიც მათ მისი ქვეშ უჭირავთ”**.

ასე რომ: პიდერასტებო, გერხევით! გეუბნებოდნენ **“მფორთხავეები”** და არ უჯერებდით: **“არარაი არს დაფარულ, რომელი არა გამოცხადნეს”**

P.S. აბა, წარმოიდგინეთ, მართლა ასეთი საშინელებები რომ არ ხდებოდეს ამ დღეებში, რა კარგი თემა გვექნებოდა მე და თქვენ. მკითხველო: **“უცნაური, მაგრამ სასარგებლო”** საკანონმდებლო ინიციატივებით ცნობილმა კობა დავითაშვილმა, ბავშვებისთვის პრეზერვატივების მიყიდვის აკრძალვის შემდეგ (ჰო, ზოგიერთი **“სახეობის”** საერთოდ აკრძალვასაც ითხოვდა, როგორც მასსოვს), ახლა ტელეკერძალების აკრძალვას ითხოვს! რადგან, ზოგიერთ მათგანში ისეთი რამეებია, ბავშვების მორაღისა და ფსიქიკის ჩამოყალიბებაზე უშნოდ იმოქმედებს.

ერთი სიტყვით, ძალიან გვეჩაგრებიან ქართველი ბავშვები: აღარც პრეზერვატივი, აღარც დადებით-გეი-პერსონალებიანი სერი-ალები და დაგვრჩებიან ასე, არაცივილიზებულიებად... ჰო, **“მფორთხავეებად”**! ჰმ, თქვენი...

P.P.S. საზოგადოება **“იდენტობა”**, პომოსე-ქსუალებისთვის დონორობის უფლების აკრძალვას აპროტესტებს. ღმერთმა ხელი მოუხართო, მაგრამ რამე რომ დამემართოს და უგონოდ ვიყო, ახლავე იცოდეთ: ოფიციალურად ვაცხადებ უარს მაგათი დამაპალი სისხლის მიღებაზე.

პროვოკატორი

პოეზიის კუთხე მ ს ო ბაციონბირეზულ კოჩიშ მინაჭარა ჩილშა

ესო, ესო, ჩქიმი ესო,
მოსამართლემ ქუმორთესო,
ჩქინი ჭიჭე გერგი ბოშის
ჯგირ დო სქეპამი ქუგარდესო...
თუ, ყვარილი, დადულფი
სუმარემშო გოჭყვიდესო,
ლაგვანს დუდი გემნაწყესო,
ღვინ ლაგვანშე გეხერკესო...
ბუხარს დაჩხირ გეკარხესო,
ვალნედეს თემ, დაშუმესო,
გვალო კოჩო წაყუნესო,
წკირით ორზოდ ქაყუნესო...
თინა ხოლო ქუმობჭარი
ჩქიმ მაყალემქ ქუმორთესო,
ჯგეშუმურო ხიარულო
ქიბირეს დო ქოსხაპესო...
ცოროფათ გომშინესო,
შურ დო გურით დოფხაგემსო...
კვარჩხო დაბადებულემქ
ერია-მორია ვაქიმესო...
ვითოფირი ჩაყვაშ უკულ
ვერწმე ვანწეფ გეყურწესო,
პატონსქუა გვანჯი ჩიქვანს
თამაღობა მიდულესო...
ირფულ ჭიფას ქუმობჭარი,
ვედიზარა ჩქიმი ესო,
ციხეს ვოხექ ვეფერ კოსხ
დიანთილი ვაბწონესო...
ამნისტიქ გიშელუო,
წანა ვარა ვამორბეკსო,
მა თაქ ბრელ ხანს ქიმთობსქიდა
დუს ეხვარს, ჩქიმი ესო...
გიჩქუდას, სქან ცოროფა
გურსხ ენინაცხე კეესო...
რამაზ კუპრა

ქართველური ენები და “ევროპული ქარტია რეპიონალური და უმცირესობათა ენების შესახებ”

**ქართველური ენები და
“ევროპული ქარტია
რეპიონალური და
უმცირესობათა ენების შესახებ”
(ქართველი “ფუტ-ლინგვისტები”
და „ერთობლივი
საქართველოსთვის“ მებრძოლი
მათი ისტორიკოსი მიმდევრები)
მინცი თოფი გილულ, მარა
იშენ ვარე მონადირე,
შხვაშროტყელც გაზუმინუ,
მუჭოთ ჭანდი – მოლადირე,
თოლი არძას ალაბრსხუნა,
მარაზღვა-ქეინც აკაორწყე...
ტიფელია ჭინიშ ღობერ
სქემასირკოც ვაწიროწყე.
(ლაშა ბახარია, მეგრული
პოეზია)**

ასე ლაკონურად არ ჯობდა? ამ 200-გვერდიანი და სხვა კიდევ ბევრი იგივე შინაარსის მქონე წიგნების გამოცემისა და თარგმნის ხარჯებს კი ბატონი ფუტკარაძე თავის ინსტიტუტში მოიხმარდა „მეგრულ-ლაზურის, სვანურის“ თუ სხვა დიალექტების საკვლევად. თანაც ასე მოკლედ ჩამოყალიბებული იქნებ თვალში თურქებსაც და აზერბაიჯანელებსაც არ მოხედროდათ, თორემ ესლა რა გამოდის: ამხელა წიგნი, ასეთი თეორიული მსჯელობებით, მათაც რომ მოეწონოთ?

ის ოთხი ნიშანი რომ ჩამოაჭიკჭიკეთ და მიუყენეთ საქართველოში მცხოვრებ არაქართველ თანამემამულეებს, ამათაც რომ დაუჯდეთ ჭკუაში? მაშინ რას შერებოთ?

1. ავტოქონები – დიახ, ავტოქონები ნამდვილად არიან ინგილოები აზერბაიჯანში და „ლაზების და გურჯების სახელით ცნობილი ქართველები“ თურქეთში, იმ ადგილას სადაც ესლა ცხოვრობენ, მაგრამ თვითონ ის ადგილი რომ გახდა ჩვენთვის „ისტორიული“, რა ვქნათ ესლა?

2. 1%-ზე მეტი უნდა იყონ, თუ უნდათ, რომ უმცირესობად ვაღიაროთ – რამდენი ათასი ქართველი ჩავასახლოთ, აზერბაიჯანსა და თურქეთში, რომ ეს კრიტერიუმი დააკმაყოფილონ?

3. “მეზობლად არ არის ისეთი ქვეყანა,

სადაც სახელმწიფო ენაა მათი დედა-ენა”-ო, იქნებ ჩვენი ქვეყანა გადავიტანოთ სადმე, რომ ეს პირობა მაინც დაგვაკმაყოფილოთ?

4. ემუქრებათ დედა-ენის დავიწყების საფრთხე – აქამდე ემუქრებოდათ პატივცემულო ავტორებო – თქვენი თეორიებით თუ მიუდგნენ აზერბაიჯანელები ან თურქები ამ საკითხს, მაშინ მართლაც ვერც “ენების ქარტია” და ვერც სხვა საერთაშორისო დოკუმენტები უშველის მათ ენებს!

განსაკუთრებით მძიმეა ლაზების საქმე. მათ ფუტკარაძე-გვანცელაძისეული, თუ ხორავა-გუჯუჯიანისეული “ზოგადქართული” საუკუნეების წინ დაავიწყდათ და ძალიანაც რომ მოინდომონ, ვეღარ აღიდგენენ ალბათ. ლაზურის სწავლებას კი ითხოვენ თურქეთის მთავრობისგან, მაგრამ დღემდე მაინცდამაინც დიდი ხალხით არ უსრულებს თურქეთის სახელმწიფო ამ მოთხოვნას. ერთ-ერთი მექანიზმი ამ მოთხოვნის შესასრულებლად უცილობლად იქნება “ევროპული ქარტია რეგიონალური და უმცირესობათა ენების შესახებ”, განსაკუთრებით მას შემდეგ, როცა თურქეთი ევროგაერთიანების წევრი ქვეყანა გახდება. მერედა ამ მოთხოვნის საპასუხოდ თურქებმა, რომ “ფუტ-ლინგვისტების” თეორიები გამოაჩინონ და განაცხადონ, ლაზური დიალექტია და დიალექტებს კი არ ეხება “ენების ქარტია”, განა მართლები არ იქნებიან?! თუ საქართველოში ვერ მოხვდა ლაზურ-მეგრული “ენების ქარტიაში”, თურქებს გაამტყუნებს განა ვინმე?!

ამაზეა ნათქვამი “თაგემა თხარა თხარაო...” საკუთარი თავისთვის რომ გაგეთხარათ მარტო, რა გეჭირდა, ინგილოებსა და ლაზებს (თუ მთლიანად საქართველოს) რომ უთხრით ძირს, ის არის სადარდელო.

წიგნის დასაწყისშივე თითქოსდა გაკვირვებულნი რომ წერთ: “1999 წელს საქართველო გახდა ევროსაბჭოს წევრი; შესაბამისად ჩვენმა ქვეყანამ აიღო ვალდებულება 1 წლის ვადაში შეერთებოდა “ევროპულ ქარტიას რეგიონული და უმცირესობის ენების შესახებ” (“ენის ქარტიას”); ვალდებულება დღემდე არ შესრულებულა.” (ე. დადიანი, ტ.

ფუტკარაძე, რ. შეროზია 2010, გვ.2) თქვენისთანა “ტოლერანტი” თეორეტიკოსები, თავიანთი მიმდევრებით და კიდევ თქვენგან “განსწავლული” სტუდენტები, რომ ჰყავს ამ ქვეყანას, იქნებ იმიტომაც იკავენს თავს ხელისუფლება დღემდე.

ჩვენი ქვეყნისთვის უაღრესად სახიფათო “ქარტიის” პრინციპები კი არ არის, სახიფათოა თქვენისთანა “მცენიერების” მიერ გამოყენებული ტერმინები: “ლტოლევილები”, “შემოხიზნულები”, “შეფარებულები”, “აშკარა მიგრანტები” და იმ წლებისა თუ საუკუნეების “დათვლა”, რომლებსაც როცა გაწყობთ რუსული წყაროებიდანაც დიდი წარმატებით იმოწმებთ ხოლმე; ანდა ის პროცენტები, რომელიც 1-ის ტოლია, ან “მრავალეთნიკურობის” ის განსაზღვრება, რომელიც 6-ზე მეტი უნდა იყოს.

და ეს იმის მაგივრად, რომ განვლილი 20-წლეულიდან მაინც გამოგვეტანა რაიმე დასკვნები და ყველაფერი სხვისთვის არ დაგვებრალდებინა, იმის მაგივრად, რომ გვეთქვა: არა აქვს მნიშვნელობა, ვინ როდღან ცხოვრობს ან საიდან ვინ ჩამოასახლა, ყველანი ამ ქვეყნის მოქალაქეები ვართ და ამაში ყველანი თანასწორნი ვართ. ყველამ პატივი უნდა ვცეთ სახელმწიფო – ქართულ – ენას, მაგრამ არა ჩვენი არაქართველი თანამემამულეების ენების უპატივცემულობის ხარჯზე.

ვითომ რითი განხვადება დადიანი-ფუტკარაძე-შეროზიას მიდგომა იმ რუსული თუ საბჭოთა იმპერიის მიდგომისგან, რომელსაც აღწერს ჯონათან უითლი: “საბჭოთა საგანმანათლებლო სისტემა აძლევდა განსაკუთრებულ პრივილეგიებს გარკვეულ ენებს, კერძოდ კი იმ ენებს, რომელზეც საუბრობდა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ეროვნება (რესპუბლიკა, ავტონომიური რესპუბლიკა, ავტონომიური რეგიონი), უფრო მცირერიცხოვან ერებს კი მოუწოდებდნენ ესაუბრათ ან რუსულად ან იმ რესპუბლიკის ტიტულარული ეროვნების ენაზე, რომელშიც ცხოვრობდნენ.” (ჯ. უითლი 2006, გვ.18).

საბჭოთა სისტემა არა გვაქვს, მაგრამ თქვენისთანების სახით მისი შეილება ეტყ-

ობა კიდევ შემოგვრჩენ, რომლებიც ჩვენს არაქართველ თანამოქალაქეებს, არავითარ არჩევანს არ უტოვებენ.

ნუთუ ჩვენს ქვეყანაში მცხოვრებ ნორმალურ ადამიანს შეიძლება წამოსცდეს, რომ ტერმინი “მულტიეთნიკური ქვეყანა” საქართველოსთვის შეუსაბამოდ მიგვაჩნია“-ო. იხ. ტ. ფუტკარაძის წიგნი „ქართული ენის ისტორია“ – 2006 წ. – სახელმძღვანელო უნივერსიტეტის ბაკალავრიატის სტუდენტებისთვის. – გო. ქალბატონი მანანა ტაბიძე: “საქართველომ ისტორიულ წარსულში საზოგადოებრივი ინტეგრაციულობის შესანიშნავი მაგალითები მოგვცა, სწორედ მის წარსულში იძებნება მსოფლიოსათვის ის იდეალი, რომელიც ტოლერანტობის, სხვათა უფლებების დაცვისა და შინაგანი ერთიანობის ატმოსფეროს აღწევდა იმათთან ურთიერთობაშიც, ვინც აქაურობას თავშესაფრის ძიებისას აკითხავდა და ისე ცხოვრობდა ამ ქვეყანაში ხანგრძლივად, რომ არავინ აიძულებდა, რომ ასიმილირებულიყო, წარმოშობის ქვეყანა დაეოწმებინა და რჯული ან დედაენა დაეთმო“ (“საქართველოს კონფლიქტური რეგიონების ლინგვოკულტურული ანალიზისთვის“. ტაბიძე გვ. 192).

იქნებ ერთმანეთთან მაინც შეგეთანხმებით სანამ გამოაქვეყნებდით, თორემ რომელს დაგიჯეროთ ახლა – ფუტკარაძეს და მის თანაავტორებს თუ ქალბატონ ტაბიძეს?

თუ “მულტიეთნიკური ქვეყანა” არ ვართ, მაშინ მსოფლიოსთვის მისაბადი “იდეალი” ტოლერანტობისა და ა.შ. როგორღა ვიქნებოდით?

დავუშვათ, მართლა ისე “იდეალურად” იყო ყველაფერი, როგორც ქალბატონი ტაბიძე აღგვიწერს, მაშინ ახლა XXI საუკუნეში, როცა ევროპა ამ ტოლერანტობის განსავეითებლად და განსამტკიცებლად კიდევ ერთ ახალ ინსტრუმენტს გვთავაზობს, თქვენ რაღამ დაგაწყებინათ ლინგვისტური თეორიების ისე გადაკეთება, რომ მეგრულ-ლაზურსა და სვანურს “დიალექტებად” ახადებთ, ოღონდაც “ენების ქარტიაში” არ მოხვდნენ როგორმე!

ბია ოკუპაზა

ვკვრებით წარსულს, აწმყოს, ვიყურებოდათ წინ!

ბამოვიარბთ რეპოლუციის ეტაპები, მბარამ ვერ ჩამოგყალიბდით, ვერ ავმდით იმ სიმაღლემდე, რომ საკულოოდ დამაზუსტოთ და ღამამკვიდროთ პირითაღი და უმთავრესი – არჩენვანს ვისთვის და რისთვის ვატარებთ, ვის და რატომ ვიძრებთ! რა პრეტენზიებით და რა თვალსაზრისით?

კითხვებზე პასუხების ზერელედ გაცემამ ამომრჩეველი ჩიხში შეიყვანა. არჩეული კი აღზევდა, თბილ საგარძელში მოკადათდა და ღალი, ბედნიერი ცხოვრება გაინადდა.

ამომრჩეველი ვიღას ასხენდება?! ჩვენი უნიათობის, მამებლობის, არწყენიების, არაპირდაპირობის და არასამართლიანობის, გონების დაუძაბავად მიმხრობის მწარე გაკვეთილები როდი გვინელდება.

როგორც იქნა სწორ გზაზე გავედით, რაშიც 2012 წლის პირველი ოქტომბრის არჩევნებმა დავგარწმუნა – იმედი და რწმენა განგვიმტკიცდა, მოკლე პერიოდი გადაწყვეტილების არჩევანის სამართლიანობას ნათლად ცხადჰყოფს.

მოახლოებულია საპრეზიდენტო არჩევნები. ერს და ბერს გემართებს დიდი განსჯა, შორსმჭვრეტელობა, გაანალიზება, სწორი დასკვნების გამოტანა, რომ კვლავაც არ დაგუშვათ შეცდომა, არ აფეკეთ დამაბრმავეებელ, მომსყიდველ, ამბიციურ პროპაგანდას და არ გამოვიჩინოთ გულუბრყვილობა, სულდამცრობილი ლიბერალიზმი, ჩვენდა საუბედუროდ, ქვეყნის საზიანოდ.

გადახედოთ წარსულს, დღევანდელობას, გავაცნობიეროთ მომავალი, ის ამოცანები, რაც უნდა დავისახოთ ქვეყნის და ერის საკეთილდღეოდ და საბედნიეროდ; წინსვლის, აღორძინების, აღმშენებლობის ქვაკუთხედად, ქვეყნის გამთლიანების საწინდრად.

როგორც ყოველთვის, პრეზიდენტობის კანდიდატი მოავლდაა, ყველა თავისი გამოცდილებით, უნარით, ხედვით. მინდა აღვნიშნო ბატონ ალექსანდრე ჭაჭიაშვი,

რომელიც, ჯერჯერობით, არ გახლავთ პრეზიდენტობის კანდიდატი.

ბატონ ალექსანდრე ჭაჭიას კარგად იცნობს საქართველო, ქართველი ერი, როგორც ჩვენი დროის ერთ-ერთ ბრწყინვალე პიროვნებას, ძლიერ ერულდებულ, პოლიტიკურად საღად და ჯანსაღად მოაზროვნეს. ლოგიკური დასკვნებით, ნაღდი ჭეშმარიტი მამულიშვილობით. ბატონმა ალექსანდრე ჭაჭიამ, როგორც სახალხო მოძრაობა “სამეგრელოს” დამფუძნებელმა და ხელმძღვანელმა, ბევრი რამ სასიკეთო გააკეთა საქართველოსა და ქართველი ხალხისათვის. მისი პუბლიკაციები სამშობლოსადმი უანგარო მსახურების პათოსითაა გაჟღენთილი. მათში მოცემულია ის პროგრამები, რაც ესოდენ სჭირდება დღეს ჩვენს ქვეყანას.

ბატონი ალექსანდრე აფხაზეთშია დაბადებული და აღზრდილი. აფხაზეთი მისთვის ისეთივე საქართველოა, როგორიც ჩვენი სამშობლოს სხვა კუთხეები. იგი საფუძვლიანად იცნობს აფხაზთა ისტორიულ ფესვებს, კულტურას, სისხლისმიერ ურთიერთობებს და მისი პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში ყველაფერს გააკეთებს ქვეყნის გამთლიანებისათვის!

ბატონი ალექსანდრე გახლავთ პირად ცხოვრებაში მისაბადი, თავშეკავებული, მაღალი ინტელექტით დაჯილდოებული ჯენტლმენი, კოლხური ზრდილობით დამშვენებული მაღალღირსეული ადამიანი!

ეს მისი გარეგნობიდანაც თვალნათლად გამოსჭვივს!

ამიტომ ვთხოვთ ბატონ ალექსანდრეს, რომ კენჭი იყაროს საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებში!

პატივისცემით,

**ნუზუარ ზარძუა,
წალენჯიხა**

მიგაპეთო ვლადიმერ პუტინს, უთხრეს ბარაქ ობამას და დევიდ კემერონს

ვლადიმერ პუტინს დასავლეთში თანამედროვე სახელმწიფო მოღვაწის ლამის ნიშნად მიიჩნევენ. შოტლანდიის მთავარ გაზეთ “სკოტსმენს” წამყვანმა მიმოხილველმა ვერადად უორენმა გამოაქვეყნა სტატია სათაურით “პუტინის ახალი აღმშა”.

იგი არასტანდარტულად იწყებს თავის წერილს ინგლისურენოვანი “ფეისბუქიდან” ამოკრებილი ციტატებით: “არ იმავროდ, ოდესმე თუ ვიტყვოდი, რომ უფრო დავითანხმებოდი ვლადიმერ პუტინს, ვიდრე რომელიმე დასავლელ ლიდერს”.

სტატიის ავტორი აღიარებს, რომ ჩანაწერები სოციალურ ქსელებში, რომელთა რაოდენობა სულ უფრო მატულობს, ასახავს ხალხის მზარდ უმპაყოფილებას აშშ-სა და ევროპის ხელმძღვანელობისადმი, ამასთან, არ მალავს პატივისცემას რუსეთის ძლიერი პრეზიდენტის მიმართ. დღეს, ამტკიცებს უორენი, ჩვენ ევრო-ამერიკულ პოლიტიკურ კლასში გულგატეხილობის ისეთ დონეს მივაღწიეთ, რომ დროა ვაღიაროთ მისი უვარგისობა. კემერონსა და ობამას ხელისუფლების სათავეში მხოლოდ

ადამიანების აპათიურობა აჩერებს. მაგრამ მოახლოებული ეკონომიკური ცუნამი ადგვის პირისპირა მიწისა საპარლამენტო ფსევდოდემოკრატიის დისკრედიტირებულ მოდელს, რომელიც ზედმეტად დიდხანს იტანდა ხელისუფლებაში მყოფ არამზადებსა და ბრიყვებს.

საშინაო პოლიტიკის მიმოხილვისას შოტლანდიელი აღნიშნავს, რომ რუსეთის პრეზიდენტი რაციონალურად მოქმედებს. “სანამ დასავლეთში ლიდერები ერთმანეთს შორიდან ახანგრძლივებენ, ვლადიმერ პუტინი, მართლმადიდებლური ეკლესიის თხოვნით, რუსეთის მთელ ტერიტორიაზე აკანონებს ანტიბერძნულ კანონებს,” – აღნიშნავს ავტორი და ასკვნის, რომ “დედალი” დასავლეთისა და რუსეთის შაზრო ლიბერალიზმის, კულტურული მაზოხიზმის, ძირმგმლი მისახლეუბის ამოყვებით, ოჯახური ცხოვრებისაღმ მიზნისა და პირადი პასუხისმგებლობის ნაცვლად გაფორმების მიუღებლობით გამოირჩევა. რუსები ვაშაკეზოი ერიბა, მას მართაჟს კლიერი ნება, რომელიც ეროვნულ ინტერესებს იცავს”.

მერაბ შათირიშვილი: რუსეთთან ურთიერთობის მოგვარებას ხელს პერაფერი შემუშლის

ბოლო დროს განვითარებულ მნიშვნელოვან მოვლენებზე გვესაუბრება მწერალი მერაბ შათირიშვილი.

– ბატონო მერაბ, რაც უფრო ახლოვდება სამრეზიდენტო არჩევნები და მიმდინარე სამართლებრივი პროცესი აქტიურ ფაზაში შედის, ჩვენი დასავლელი პარტნიორები სულ უფრო მეტს საუბრობენ პოლიტიკურ დენაზე. წინა კვირას ეშთონ-მაც მიიღო რეზოლუცია, რომელშიც შემოთავაზდა გამოთქვა ყოფილი პრემიერის, ვანო მერაბიშვილის, დაკავების გამო. ეს ყველაფერი, ალბათ, სამართლიანად გვაფიქრებინებს, რომ ევროპა და ამერიკა ცალსახად მხარს უჭერს სააკაშვილს. როგორ ფიქრობთ, საბოლოოდ ამას ხომ არ მივეყვართ იქით, რომ „ნაცმოძრაობის“ უმაღლესი ეშეღონები ხელშეუხებელი დარჩეს და მართლმსაჯულების ჯოხი მხოლოდ შემსრულებლებზე გადატყდეს? არის საუბარი მერაბიშვილის შესახებ გამოშვებაზეც.

– ამგვარი შიში საზოგადოებაში სრულიად სამართლიანად ჩნდება. იმავე ნატო-ს გენერალური მდივნის ვიზიტიც რომ ავიღოთ, მის განცხადებებში მე ბევრი რამ არ მომეწონა. ადრეც მითქვამს და კიდევ ვიმეორებ, თუ ჩვენს კეთილის მოსურნეებს, ამერიკელებს და ევროპელებს, უნდათ, რომ საქართველო მართონ მათი სურვილისამებრ, ეს ნამდვილად არ გამოუვათ. კანონი ყველგან უნდა კანონობდეს და სამართლის უზენაესობა ყველამ უნდა დაიცვას. აქ არის ერთი ფაქტორიც: თქვენ თუ დააკვირდებით, ხელისუფლებაში „ქართული ოცნების“ მოსვლის შემდეგ დასავლეთის რიტორიკა, ჩვენსა და რუსეთს შორის საერთო ენის გამონახვასთან დაკავშირებით, ძალიან შეიცვალა, ანუ, ადრე თუ გვესმოდა საუბარი ურთიერთობის მოგვარების აუცილებლობაზე, დღეს უკვე პირიქითაა – ოცდაოთხი საათი გვაძინათებენ, დასავლურ კურსს არ უნდა გადაუხვიოთ და პრორუსულად არ უნდა გახდეთ. ახლა რა გამოდის? მთელი მათი მაშინდელი მითითება და მოწოდებები, რომ პრობლემები მშვიდობიანად უნდა მოგვარდეს, მხოლოდ ფასადური პოლიტიკა იყო. სინამდვილეში კი ძირს გვიოხრიდნენ ჩვენც და რუსებსაც...

– კი მაგრამ, რატომ იყვნენ დარწმუნებული, რომ ეს მოწოდებები და ფასადური პოლიტიკა ჩვენი მხრიდან რეალურ ქმედებებში არ გადაიზრდებოდა?

– მათი ეს რწმენა დაფუძნებული იყო იმაზე, რომ ზუსტად იცოდნენ, სააკაშვილი და „ნაცმოძრაობა“ ვერასოდეს მოაგვარებდნენ რუსეთთან ურთიერთობას. ამას თვითონ რუსეთის ხელისუფლებაც ღიად აცხადებდა, მაგრამ, როგორც კი მოვიდა ახალი ძალა, რომელმაც სულ სხვა პერსპექტივები გააჩინა, ვითარება კარდინალურად შეიცვალა. დღეს კრემლის მესვეურები არ ამბობენ, რომ საქართველოს არ დაელაპარაკებიან, პირიქით, ისინი მზადდებიან გამოთქვამენ. აი, ესაა დასავლეთისთვის ყველაზე დიდი მოულოდნელობა და ყველაზე დიდი თავსატეხი.

– კონკრეტულად რაში გამოიხატება ეს? – იმ განცხადებებში, რომლებსაც დასავლელი დიპლომატები აკეთებენ – თითქოს საქართველომ პროდასავლურ კურსს გადაუხვია. რას ნიშნავს ეს პროდასავლური კურსი, მე უკვე, სიმართლე გითხრათ, აღარც მესმის; თუ იმას ნიშნავს, რომ საერთოდ არ ვახსენებთ რუსეთი, ბოლოში, მაგრამ ასე არ გავიგა, ჩვენ რუსეთშივად ზეწოლის ქვეშ ვერ ვიქნებით. ბავშვიც კი ხედება დღეს, რომ ამხელა სახელმწიფოსთან ჭიდაობა და ძიძგილი ჩვენთვის სიკეთის მომტანი არ არის. თავის დროზე ევროპაც მიხვდა ამას და მთელი მსოფლიოც. ასე რომ, ყველამ უნდა გაიგოს ერთი რამ: საქართველო საჯილდაო ქვა ვერ იქნება, საქართველომ განვითარების საკუთარი გზა უნდა მოძებნოს...

– ამგვარი პოლიტიკით ევროატლანტიკურ სტრუქტურას დაეშორდებით. ამაზე ისინი ღიად და დაუფარავად მიანიშნებენ.

– ჯერ ერთი, ვინ გიღებს ამ სტრუქტურაში და მეორეც, თუ ჩვენ გვინდა, ევროპულ ოჯახში შევიდეთ, როგორც სრულუფლებიანი ქვეყანა, მაშინ ერთიანი სახელმწიფოებრიობა უნდა გავაჩნდეს. მე ვფიქრობ, რომ დღეს ქართული სახელმწიფოებრიობა არ არსებობს. ასე რომ, რომელ ევროკავშირზეა საუბარი ან ნატო-ზე? სააკაშვილი ასრულებდა კონკრეტული პოლიტიკური ჯგუფის კონკრეტულ დავალებას, რომელსაც თავისი მიზანი ჰქონდა. იმის მეტი მათ აქ არაფერი აინტერესებდათ. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის, რომ არც ერთხელ დასავლეთიდან მისთვის არ

მიუთითებიათ კატეგორიულად, დემოკრატიული გზებით დაარეგულირე ურთიერთობა რუსეთთან. დარწმუნებული ვარ, მას რომ ეს მითითება ჰქონოდა, ცხრა ტყავში გაძვრებოდა და შეძლებდა, მაგრამ, ჩვენდა საუბედუროდ, ყველაფერი პირიქით იყო, ამ კაცს არწმუნებდნენ, რომ სწორად იქცეოდა, სწორ ნაბიჯებს დგამდა და უკან არ უნდა დაეხია.

– პრინციპში, ივანიშვილსაც იმავეს ეუბნებიან, ამასწინათ რიჩარდ ნორლანდმა განაცხადა, ამერიკა თქვენთან არისო.

– გასაგებია, მაგრამ ბიძინა ივანიშვილი ამ ყველაფერს ცოტა სხვა პრიზმაში ატარებს, მისთვის ამგვარ განცხადებებს არ აქვს წაქეზებისა და წახალისების ეფექტი. ამას უკვე ხედავენ დასავლეთში და, როგორც ჩანს, ნერვები ეშლებათ. ამიტომდა, რომ ახლა ჩვენს შიდა პროცესებზე აკეთებენ აქცენტს; ანუ ისინი იმ პოლიტიკას და კანონმდებლობას ეხებიან, რომელიც თვითონ ქვეყნის გადასაწყვეტია, მის სუვერენულ ჩარჩოებშია. იმავე ამერიკის ფიჩი რომ ახსენებ, ფაქტობრივად, ყველგან უფრობებს, ყველაფერში მონაწილეობს, თითქოს ის არის ცენტრალური ფიგურა. ეს თავისთავად კითხვებს აჩენს, ბოლოს და ბოლოს ვინ ვართ ჩვენ – სახელმწიფო თუ კოლონია?!

– თქვენი აზრით, ის პოლიტიკა, რომელსაც დასავლეთი ატარებს დღეს ჩვენთან დაკავშირებით, რეალურად რა გავლენას მოახდენს საქართველოზე?

– თუ ჩვენ აქ კანონიერად ვიქცევით, მათი შეფასებები, ყველა შემთხვევაში, დარჩება შეფასებებად. უბრალოდ, ეს გარკვეულწილად ხელს შეუშლის ჩვენი ევროპული პოლიტიკის წინსვლას, რაც თავისთავად სირთულეებთან იქნება დაკავშირებული. რაც შეეხება რუსეთთან ურთიერთობის დალაგებას, ვერავინ და ვერაფერი ამას წინ ვერ აღუდგება, იმიტომ, რომ ესაა ჩვენი, რუსი ხალხის, აფხაზებისა და ოსების ნება; ზოგადად, საერთო სამეზობლო ფორმატია ეს, რაც დიდი უგუნურება იყო, რომ დიდიგადა მტრობა გაჩნდა.

– ნატოზეც გკითხავთ. თქვენი აზრით, უნდა ჩატარდეს თუ არა ხელახალი საყოველთაო გამოკითხვა იმის თაობაზე, გვინდა თუ არა ალიანსში შესვლა?

– ერთი ასეთი გამოკითხვა სააკაშვილმა ჩაატარა 2008 წელს და მაშინ, გახსოვთ, მოსახლეობის აბსოლუტურმა უმრავლესობამ შეკითხვას დადებითი პასუხი გასცა. იმ დროს ყველა ამბობდა, რომ არჩევნები გაყალბდა, მაგრამ არავის დაუყენებია საკითხი, ის რეფერენდუმი რამდენად ობიექტური იყო. ჩემი აზრით, სრულიად ლეგიტიმური უფლება გვქონდა, დაეკავებულიყავით. რაც შეეხება ხელახალ გამოკითხვას, მიმანია, რომ ის უნდა ჩატარდეს არა მარტო ამ ერთ კონკრეტულ საკითხზე, არამედ ბევრად უფრო ფართო და მრავალსიმომცველ კონტექსტში. კერძოდ, რას ვგულისხმობ, წლების მანძილზე ხალხი არ მონაწილეობდა ქვეყნის მართვაში, ამიტომ ახალმა ხელისუფლებამ, თუ მას არ უნდა, რომ წინამორბედივით მოსწყდეს საზოგადოებას, მოსახლეობა უფრო მეტად უნდა ჩართოს გადაწყვეტილებების მიღებაში. ეს შეეხება იგივე საგარეო პოლიტიკური ორიენტაციების განსაზღვრასაც, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია ჩვენი სთანა მცირერიცხოვანი ერისთვის და რუსეთთან ურთიერთობის მოგვარების საკითხსაც.

ჩვენ 9 წლის განმავლობაში გვესმოდა, რომ ევროპულ ოჯახს ვეკუთვინო, მაგრამ წარმოდგენა არ გვქონდა, რა არის ეს ოჯახი. მერე, საქმე საქმეზე რომ მიდგა, აღმოჩნდა, რომ თურმე მთლად ჩვენი სახლიც არ ყოფილა ეს ევროპა. მეტიც, ზოგი რამ ისეთებიც აღმოვაჩინეთ მასში, რაც ჩვენთვის აბსოლუტურად მიუღებელია. აი, ზუსტად იმავე გაუგებრობაში რომ არ აღმოვჩნდეთ ახლაც, ბიძინა ივანიშვილმა ყველაფერი უნდა გააკეთოს მოსახლეობის ინფორმირებისთვის. ხალხმა უნდა იცოდეს, რას ვირჩევთ და საით მივდივართ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამ დაბნეულობიდან ევროპულს გამოვალთ, ევროსოდეს გავხდებით სტაბილური ქვეყანა.

– საპრეზიდენტო არჩევნებამდე ოთხ თვეზე ნაკლები რჩება. პოლიტიკური დაძაბულობა დღითიდღე მატულობს. იმის მიუხედავად, რომ „ნაცმოძრაობა“, ფაქტობრივად, არანაირ ძალაუფლებას არ ფლობს, საზოგადოების გარკვეულ ნაწილში მაინც არის შიში, რომ სააკაშვილმა ბოლოს შეიძლება სიტუაცია არიოს. თქვენი აზრით, რამდენად რეალურია ეს საფრთხე? რას უნდა ველოდოთ?

– ბუნებრივია, ასეთი შიში იარსებებს. 9 წელი რომ მუდმივი ტერორის ქვეშ იქნები, მერე იქიდან გამოსვლა ძნელია, მაგრამ ა-

ლიან დიდ პატივს ვცემ თქვენს გაზეთს და მინდა, თქვენი მკითხველი დაგამშვიდო, – ეს არის უსაფუძვლო შიში. „ნაციონალურ მოძრაობაზე“ აქ ლაპარაკი აღარაა, სააკაშვილის რეჟიმი დასრულდა 1 ოქტომბერს. რა თქმა უნდა, გველემშია ბოლომდე ჯერ არ განგმირულა, მაგრამ მისი კულის მოქმედა უკვე ვერავის ზიანს ვერ მიაყენებს. ეს თვითონაც კარგად იციან. ასე რომ, მთავარი საფრთხე ქართველმა ერმა უკვე გადაიტანა; „ნაცმოძრაობა“ პრაქტიკულად დამთავრებულია.

– არჩევნების თარიღის დასახელება სააკაშვილმა ერთგვარად გაართულა. ჯერ 27 ოქტომბერი გამოცხადდა, შემდეგ – 31, შემდეგ ისევ – 27. თქვენი აზრით, რას ნიშნავდა ეს?

– ამათ ქმედებებსა და გადაწყვეტილებებში ლოგიკის დანახვას ტყუილად არ უნდა შეეცადო. ჩვენ ვერასოდეს გავიგებთ, რაში სჭირდებოდა სააკაშვილს არჩევნების თარიღის ერთ დღეში სამჯერ შეცვლა. თუ ამით ვადის გახანგრძლივება სურდა, მაშინ თავიდანვე 31 ოქტომბერი უნდა დაესახელებინა, თუმცა არა მგონია, ოთხი დღე რამეს ნიშნავდეს. საერთოდ, სააკაშვილს ჭკუა რომ ჰქონდეს, ვადას კი არ უნდა იხანგრძლივებდეს, პირიქით, უნდა იმოკლებდეს; ვინაიდან ის ახლა რეალურად თავისი პარტიის განადგურებას და მოსპობას ახანგრძლივებს. სააკაშვილი საბოლოოდ აცამტკევებს „ნაციონალიზმს“, შანსს არ უტოვებს მას. ასევე არ უტოვებს შანსს მისი პარტიის წევრებსაც, რომლებსაც მთლად იმდენი დანაშაულოც არ აქვთ დადენილი, რომ ხალხმა ვერასოდეს აპატიოს. მან იცის საკუთარი შეცდომები, იცის, რომ მისთვის ყველაფერი დამთავრდა პოლიტიკაში. ამიტომ სხვებიც უნდა, ჩაიყოლონ და გემს ძირავს. ჩაძირული გემიდან ვინც გარბის, კარგად იცით თქვენ...

– ვირთხები. ისე, არის საუბარი იმაზეც, რომ მათი ნაწილი, შესაძლოა, „ქართულ ოცნებაში“ შევიდეს.

– მეც გავიგე ეს და, სიმართლე გითხრათ, არ ვიცი, რა ვიფიქრო. გინდა, არ გინდა, შენია და ამ ვირთხებს კარი უნდა გაუღო, მაგრამ მერე იმის შიშში უნდა იყო მუდმივად, რომ არ გამოუხრან...

– დღესდღეობით უკვე ძალიან ბევრი ყოფილი „ნაციონალი“ ქართულ ოცნებაში, რას ფიქრობთ ამაზე?

– ვფიქრობ, რომ ძალიან დიდი საფრთხეა ეს კოალიციისთვის, მაგრამ იმედი მაქვს, არჩევნები ყველაფერს გაწმენდს. სხვანაირად მუდმივად ნადმზე ვიქნებით. განსაკუთრებით რამდენიმე რეგიონს ეხება ეს.

– კერძოდ?

– ერთ ფაქტს გეტყვით, ძალიან დიდ პატივს ვცემ ზვიად ძიძგაურს, მაგრამ ფოთში, მაგალითად, მისი პარტიის ხელმძღვანელი გახდა ვილაც წერეთელი, ყოფილი დეპუტატი „ნაციონალური მოძრაობიდან“. თავის მხრივ, მან ძირითადი პირთა შეავსო ასევე ყოფილი „ნაციონალებით“. იქ ვილაც ასანიძეა კიდევ ერთი გაქანებული „მიშისტ“... აი, ესაა უკვე საფრთხე და ამას უნდა მიაქციონ ყურადღება პარტიის ლიდერებმა...

– ვაღამდელ საპარლამენტო არჩევნებზე რას ფიქრობთ?

– არ მინდა, მკვეხარობაში ჩამომერთვას, მაგრამ ჯერ კიდევ 1 ოქტომბრამდე ვამბობდი, ეს არჩევნები, როგორც უნდა შეფასდეს, დემოკრატიული ვერ იქნება-მეთქი. ამ ყველაფერს ძალიან მარტივი ახსნა აქვს, – ის ჩატარდა ავტორიტარული რეჟიმის პირობებში. მაშინ ყველა ვთანხმდებოდა იმაზე, რომ უნდა მომხდარიყო გარდატეხა და შემდეგ ჩაგვეტარებინა ხელახალი, ობიექტური არჩევნები. მხოლოდ ასე მიიღწეოდა სამართლიანობა და მხოლოდ ასე შეიძლებოდა, ხალხს საკუთარი ნების გამოხატვის საშუალება მისცემოდა. მე დღესაც იგივე აზრი მაქვს და, იმის მიუხედავად, რომ „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი დამფუძნებელი ვარ, ამას ხმამაღლა ვამბობ – საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ უპირანი იქნება, ჩატარდეს გადამდელი საპარლამენტო არჩევნებიც. ამით გადაწმინდება კოალიცია და პოლიტიკური სივრცე გაჯანსაღდება.

ესაუბრა ჯაბა შვანიძე

პოეზიის კუთხე

სამი სათრეველა თემაზე:

თავს დაგვატყდა რისხვად ბანდები, უცხოელი და მიშისტური ოკუპანტების!

თქვენს პრეზიდენტს დავეციდებო, რითაც მინდა, მათ „ვლადიკას“ რადგან უღალატა, ციხისძირს რომ შევინს ყელმოდერებითა, შევახსენებთ, იმ ძველ ციხეს რა პქვია! არ იფიქროთ, რომ თახსირი გვიყვარს დიდად, მაგრამ დასჯა მხოლოდ ჩვენი საქმეს!

დღეს დასტამბული „სამი სათრეველა“, რომლის გამოქვეყნების ექსკლუზიური უფლება ავტორის თავაზიანი თანხმობით ჩვენ გადმოგვცა, საგანგებოდ უსვამს ხაზს, რომ საქართველოს არა ერთი, არამედ ორი ოკუპანტი ჰყავს – ჩრდილოელი და შინაური მტერი – უცხო თესლის მიერ ნაკვები გრანტიჭამიები – პირველი ოქტომბრის არჩევნებში დამარცხებული მიშისტურ-ფაშისტური ხროვის წარმომადგენლები.

შემთხვევითი არ არის ტოლობის ნიშანი ოკუპანტთა ამ ორ ფრთას შორის.

ის, რაც ნაციტური ხროვის იატაკქვეშა წარმომადგენელმა – უზენაესი სასამართლოსა და იუსტიციის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ბ-ნმა ზაზა მუიშვილმა ევროპის სახალხო პარტიის მუშაობაში ერთიანი ნაცმოძრაობის თავგაცებითა ერთად მონაწილეობით ჩაიდინა, ერთხელ კიდევ თვალნათლივ ადასტურებს, თუ, როგორც პოლიტიკურად, ისე სამართლებრივად რა უშიშესია საქართველოსთვის „ნაციტური“ ოკუპაცია და მისი მბეზღარა, ამასთან დემაგოგი ლიდერების არაკაცობა. გაზეთ „ილორის“ რედაქცია

წითელმანდატა

სამართალი

რა რწმენის არის, რა ჯურის ქვეყნის მეორე მსაჯული, ვინც ბრიუსელში „ნაციტის“ პარტიოზანა გამართა? „აი, ეგეთას სამართალს“, წითელმანდატა სამართალს! ტოვავც შესწირა, მანტიაც ნაცი-ბაცების პარტიას და მბეზღარა ტიკინამ ჭორები წაიტლიკინა, მაგრამ სიბილწის მომცხების კვლავ ამტკველდნენ ცოცხები და თქვენს: – ვაი, იმ სამართალს, მიეშვილი რომ წარმართავს!

27-ის მოლოდინი

შიშშილმა და ყოფნამ შიშში გაგაცალა სიქაც, ღდინიც და დიდა 27-ში მიხოს წასვლის მოლოდინი. ვერ უშველა დაუდლარს საარჩევნო ღვინობისთვემ და ვის რატომ რად უღირდა, ვერ გაგიგეთ, მიდის ისე. პრეზიდენტის სასახლეში უკანასკნელ წუთებს ათვეს და არჩევნებს თავის დღეში ვეღარ მიახუთშაბათებს. თითით წვინტლის მწმენდავ „რაინდს“, არა მხოლოდ მისი ცოცხი, რადგან მიდის, მისდევს მაინც უფუნქციო ცხვირსახოციც!

ალექსანდრე შენგელია

გახარიების გზარის დალოცვა

2013 წლის 1 სექტემბერს საქართველოს კათალიკოს პატრიარქი ილია II დალოცავს გახარიების გვარს. ამისათვის აუცილებელია საგვარეულო ხატის ერთობლივი ძალით დაწერა (დახატვა), რისთვისაც „ლიბერთი ბანკი“ გახსნილია ანგარიში. GE36LBO11199431911000 (პ.ა. ლიანა გახარიას სახელზე) მნიშვნელოვანია, ყველა გახარიამ მიიღოს მონაწილეობა ამ სასიკეთო საქმეში და შესაძლებლობის ფარგლებში ჩარიცხოთ ნებისმიერი თანხა. დეტალების დასაზუსტებლად შეგიძლიათ დარეკოთ: 599728591 – ზაურ ბახარია.

კოლხეთი – კაცობრიობის ცივილიზაციის სათავე



დასაწყისი “ილორი” №171-227

ალბათ, არც ის უნდა იყოს შემთხვევითი, რომ 1492 წლის აგვისტოში ქრისტეფორე კოლუმბოს 90 კაციან ეკიპაჟში (სამი გემით – „სანტა მარია“, „პინტა“, „ნინია“) გავიდა ესპანეთის ნავსადგურ პალოსიდან და გადალახა ატლანტის ოკეანე. ეკიპაჟში შედიოდნენ კოლხი ძმები მოლაშხიები და ლიპისკუა, ჩანს ისიც მეგრელი იყო; 2004 წელს ქართულ პრესაში გამოქვეყნდა ვრცელი წერილი „ამერიკა კოლუმბოზან ერთად კოლხებსაც აღმოუჩენია“ (მაშუკა ვაშაკიძე, თამაზ შოთაძე, ამერიკა კოლუმბოზან ერთად კოლხებსაც აღმოუჩენიათ, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 2004, 25 ივლისი, გვ. 1, 10.). ექსპედიციის აღნიშნულ მონაწილეებს მაშინ ესპანეთში უცხოვრიათ, ეს მასალები ორ ათეულ წელზე მეტი ხნის წინ მოუპოვებია გამომჩენილ მეცნიერს, ნეეროპათოლოგს, შემდგომში მსოფლიოს მრავალი აკადემიის საპატიო აკადემიკოსს, პროფესორ იური ამბერკის ძე მოლაშხიას, რომელსაც აღნიშნული დოკუმენტების გამოქვეყნება კომუნისტური ხელისუფლების დროს ვერ მოუხერხებია.

პროფ. იურა მოლაშხია ქ. მესიკოში (მექსიკა) შეხვედრია თავის მოგვარეს – მექსიკაში მცხოვრებ მოლაშხიას, რომელიც კოლუმბოს ექსპედიციის მონაწილე უმცროსი მოლაშხიას შორეული მეგობდრე ყოფილა და რომელსაც იურისათვის გადაუცია ამის დამადასტურებელი ფოტო-მასალები გვარების მითითებით და სხვა დოკუმენტები.

აღრე, 1998 წელს, მწერალმა თამაზ შოთაძემ (ფიფიამ) აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გამოაქვეყნა საინტერესო მასალები, რომელშიც მიუთითებს, რომ ბასკონელი მოლაშხიები აღმირალმა კოლუმბოზან მეთაური გემის „სანტა მარიას“ ეკიპაჟში შეიყვანა, რომლის კაპიტანი თვითონ იყო, ამ ეკიპაჟში სიით მეთხე იყო ლიპისკუა, რომელიც, აშკარად, მეგრული გვარია. ირკვევა, რომ კოლუმბოს ეკიპაჟში სამი მეგრელი მეზღვაური იყო.

აღსანიშნავია ის, რომ ცნობილი ამერიკელი მწერალი ერსკინ კოლდუელი წიგნში „ამერიკა სივრცე-სივანით“ წერს: „არ ვიცი, როგორ მოხვდა პირველი ბასკი ამერიკაში – შესაძლოა, ეს იყო ქრისტეფორე კოლუმბოს ქარავანის მეზღვაური, რომელიც დარჩა იქ, გაამერიკელდა და გამდიდრდა“ (იხ. თამაზ შოთაძე, ქართველი მეზღვაურები ძმები მოლაშხიები ამერიკის კონტინენტის პირველ აღმოჩენთა ექსპედიციაში, ჟურ. „აია“, 1998, №1, გვ. 129-138 და გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 2004, 25 ივლისი, გვ. 10.).

ი. მოლაშხია იყო ჩემი რაიონიდან – წალენჯიხიდან, ჩემი უახლესი მეგობარი, მაღალი ადამიანური ღირსებებით შემკული უსაყვარლესი პიროვნება (იური მოლაშხია წარდგენილი იყო ნობელის პრემიაზე, მაგრამ განუკურნებელი სენით მალე გარდაიცვალა, და როგორც ჩანს, უყურადღებობით, პრემიის მიღების საკითხი ჩაიშალა. წალენჯიხელი მოლაშხიების შთამომავლების, ამერიკის აღმოჩენაში მონაწილე, ესპანელი აღმირალი კოლუმბოს ექსპედიციის წევრის მემკვიდრე, ქ. მესიკოს

ერთ-ერთი უდიდესი ფოტოატელიეს მემკვიდრეა.).

აღსანიშნავია, ქრისტეფორე კოლუმბოს ერთ-ერთ კარაველას, რომლის კაპიტანი იყო ვინსენტე იანესი, ერქვა მეგრული სახელი – „ნინია“.

საინტერესოა ისიც, რომ 1492 წლის 26 დეკემბერს, კუნძულ ჰაიტის მახლობლად, წყალქვეშა კლდეს შეეჯახა და ჩაიძირა კოლუმბოს ექსპედიციის ფლაგმანი, იალქნიანი ხომალდი „სანტა-მარია“. ეკიპაჟის ყველა წევრი გადარჩა. ისიც საინტერესოა, რომ 1493 წლის 25 სექტემბერს კოლუმბოზან ამერიკისკენ მეორე მოგზაურობა დაიწყო.

უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ იელის უნივერსიტეტის ქიმიკოსმა ჟაკლინ ოლინმა განაცხადა, რომ გეოგრაფიული რუკა, რომელიც ქრისტეფორე კოლუმბოს მიერ ამერიკის აღმოჩენამდე 500 წლით ადრე დაუხატავთ, ნამდვილია. რუკა 1957 წელს აღმოაჩინეს და პირველად 1965 წელს გამოქვეყნდა. რუკის მარცხენა მხარეში ლათინური წარწერა მიუთითებს თუ როგორ აღმოაჩინა ორმა სკანდინავიელმა მეზღვაურმა – ბიორნე პერიოლგსონმა და ლეიფ ერისკონმა ნაოფიერი მიწა, სადაც ყვრძენი ხარობდა, ამიტომ ამ მიწას ვინლენდი უწოდეს. რუკა 999 წლით არის დათარიღებული, ანუ კოლუმბოს მიერ ამერიკის აღმოჩენამდე 493 წლით ადრე. ზოგიერთი მკვლევარი მიუთითებს, რომ აღნიშნული რუკა კარგად შესრულებული ფალსიფიკაციაა და ფაქტობრივად XX საუკუნეშია დამზადებული.

საქმე ის არის, რომ რუკის მედნის შემადგენლობაში აღმოაჩინეს ანატოზი, რომელიც ძველი რუკის მედნაში არ უნდა ყოფილიყო, თუმცა ჟაკლინ ოლინმა აჩვენა, რომ ანატოზი შესაძლოა, მინერალ ილმენიტისაგან წარმოშობილიყო, ისინი შუასაუკუნეებში საღებავების წარმოებაში ძირითად ნედლეულს წარმოადგენდა“.

იმასაც ამტკიცებენ, რომ ქრისტეფორე კოლუმბო ქვრათმიანი იყო მაშასადამე ის წარმომავლობით ბასკი (კოლხი) იყო.

რა თქმა უნდა ამერიკის აღმოჩენა უკავშირდება კოლუმბოს, მაგრამ მას ეს ქვეყანა ინდოეთი ეგონა. აღნიშნული კონტინენტი აღმოჩენის 15 წლის შემდეგ 1503 წელს იტალიელმა მოგზაურმა ამერიგო ვესპუჩიმ შეასწავლა და აღწერა სამხრეთ ამერიკა და „ახალი სამყარო“ უწოდა. 1507 წელს გერმანელმა მეცნიერმა ვალ დემიულერმა წინადადება წამოაყენა ახლა აღმოჩენილ ქვეყნისათვის ამერიგო ვესპუჩის საპატივცემულოდ ამერიკა ეწოდებინათ. პირველად ამერიკა ეწოდებოდა სამხრეთ ამერიკას, მოგვიანებით, ეს სახელი გავრცელდა ჩრდილოეთზეც (საუკუნის 40-იანი წლიდან)

არგონავტების ეპოქის საქართველო (კოლხეთი) ყველაზე უკეთესად არის ცნობილი მთელი მსოფლიოს მითებში, პოეზიაში, დრამატურგიაში, ლიტერატურაში, ისტორიაში. აქედან ყველაზე მნიშვნელოვანია აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკა“. ბერძნული და ლათინური მითების თანახმად, კოლხეთის ტოლი ქვეყანა ანტიკურ სამყაროში არ არსებობდა: ეს შეიძლება ვიდაცეებისათვის ერთგვარად გასაკვირი იყოს, მაგრამ ფაქტია. ასეთ მისიას ქართველები ჩვენ კი არ მივაწერეთ ჩვენს თავს, არამედ ბერძნული და ლათინური მითები და ბერძენ-რომაელ-ბიზანტიელი სწავლელები მოგვაწერენ, – ამას ქართველებს, ამბობს ვლ. აღფენიძე (ვლ. აღფენიძე, ეგვიპტური ენისა და იეროგლიფების კოლხური საიდუმლოებანი, გაზ. „ური და საზოგადოება“, 1997, თებერვალი, №5, გვ. 7, 11-12.).

* *

მკვლევარი, სერგი (გიორგი) საჯავია წერს: „... საქართველო თავიდან ლაზურ (მეგრულ) სივრცეში წარმოიშვა და აქედან განივრცო სხვადასხვა მხარეში.

მეგრული ენაკავი კაცობრიობის ერთ-ერთ საწყის მეტყველებას მიეკუთვნება, რომელიც მაშინ, ჯერ კიდევ ჩანასახოვან მდგომარეობაში, უკვე ქმნიდა და სრულ-

ყოფდა ბგერათა გრაფიკულ გამოსახვის საშუალებას, გააჩნდა სიტყვა “ზარშა” (წერა) და განივრცო ზოგად ქართულ შინაარსად.

მან, ქართველი ერის მრავალწლოვან ისტორიაში ერს ცნობიერ-მისტერიული სამყაროს ერთი ეპოქა დაასრულა და შემოაზადა ახალი, ქრისტეს წინმსწრები და გამგები საზოგადოება.

სვანურ და მეგრულ (ლაზურ) ენაკაგებს ისეთი დიდი სიტყვიერი მარაგი თუ ცნობათა საუნჯე გააჩნიათ, რომ დღევანდელი თაობა, საკუთარი ქვეყნის ისტორიაში, მის სულიერ მისიაში სამწესარო გაუთვითცნობიერებლობის გამო, ჯერ კიდევ ფსიქოლოგიურად არაა მზად მის ასათვისებლად“, რასაც მთელი რიგი მიზეზებით ხსნის.

ს. საჯავია გარკვევით აღნიშნავს, რომ ქართველთა უხსოვარი ისტორია მივიწყებული იყო, ფალსიფიკატორმა ე. წ. მეცნიერებმა ხელი შეუწყვეს საზოგადოებაში ქართველი ერის ვინაობასა და წარსულის შესახებ ყალბი შინაარსის დადგენას, რომლის მიხედვითაც, საქართველოს უკიდევანო ისტორიიდან გამომდევს ჩვენი დასაბამის ამთვლელი – ქართული დამწერლობის შემქმნელი კოლხური სამყარო.

ამასთან, როდესაც საუბარია მეგრული ენაკავის (?) მდებარეობაზე, ნუ გვაგონდება, რომ საქართველოს – როგორც სახელმწიფოს შემქმნელი ცხებული მეფეთა დინასტია – ბაგრატიონები წარმოშობით ლაზები, ანუ ეგრების (მეგრელები, იგივე აფხაზები) არიან. ქართველი ერის ცნობიერი წარსული მოისახლვრება შუმერების, ხეთების, ურარტუს, ხმელთაშუა ზღვის, ყუბანურ და ა. შ. სივრცეში.

აი, ამ მხარეში შეიქმნა ქართული ენა – როგორც საკულტო – ლიტერატურული (ახალი მისტერიების) ენა და მისდა შესაბამისი დამწერლობა, აქედან გადაიტოვა დანარჩენ საქართველოში ქრისტიანობა (თვით იუნესკო აღნიშნავს საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების ორი ათასი წლისთავს, ე. ი. უკვე ირდევვა საბჭოთა მზაკერული სტერეოტიპი, რომელიც საქართველოს ისტორიიდან ძირითადად აძევებდა კოლხურ სამყაროს).

სხვათა შორის სამეგრელოს ფენომენის „გამდებობის“ დივერსიულმა მცდელობამ აფხაზეთში უკვე მიაღწია მიზანს, – ეს მხარე არაქართულ მიწად მოიაზრება... როდესაც დღეს თურქეთის იმპერიაში ქართული დამწერლობის შემქმნელი ლაზები-სათვის მზრუნველობის ნიშნით ლათინური შრიფტის საფუძველზე იქნება „დამწერლობა“, ეს სხვა არაფერია თუ არა ამ ხალხის ცნობიერი გენოციდის გაგრძელება დემოკრატიის სახელით. ლაზებმა, ანუ პირველმა ქორთუებმა კაცობრიობის გარიჟრაჟზე თავად შექმნეს ანბანი, ქართული სულიერების სიბრძნე.

მიუხედავად იმისა, რომ თითქმის თვითმეტი საუკუნეა, რაც ერთი სახელმწიფოებრივ სივრცე არა გვაქვს, ლაზები დღემდე ასე ილოცებიან: „სკიდას ლაზიშა დო მთელი ოქურთუე“.

2000 წელს ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარებულ საერთაშორისო სიმპოზიუმზე, რომელიც მიემდგნა ქრისტიანობის ორი ათას წლისთავს, გერმანელ მკვლევარ ეთნოლოგს ვოლფგანგ ფორშტაინს, ვიმეორებ წარმოუჩენია „ახალი სამეცნიერო სამუშაოები და სასწავლო პედაგოგიური პროექტები ლაზეთის, სამეგრელოს და სამცხეს ენისა და კულტურისათვის“. აქ „იგი წარდგა თავისი ახალი გამოცემებით ლათინურანბანის ლაზურ-ქართული გერმანული ლექსიკონით“. „ასევე მან ლაზებს შესთავაზა ლათინური ანბანით აწყობილი წიგნი, რამაც ქართველი მეცნიერების დიდი მღელვარება გამოიწვია“. „ისინი განსაკუთრებით აქტიურად აბათილებენ იმ არგუმენტებს, რომელსაც იყენებდა გერმანელი ეთნოლოგი იმის საჩვენებლად, რომ მეგრელები არ არიან ქართველები, ისინი ქართულის კითხვით იზღუდებიან და რომ არ ეძლევათ თავიან-

თი კულტურის დამოუკიდებლად განვითარების საშუალება“. როგორც ჩანს ვ. ფორშტაინი „თავის“ საქმეს აკეთებს. ამასთანავე, იგი ამ საქმეში „მარტო არ არის“, სარგებლობს გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით. ქართველებს კი – ასეთი ექსპანსიისაგან თავდაცვისა და ჩვენი ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს გასაკეთებელი.

ვ. ფორშტაინმა გაიხსენა, რომ ოდესღაც საქართველოში გამოდიოდა მეგრული გაზეთები „მას მიაჩნდა, რომ მეგრელებს ჰქონდათ თავისი დამწერლობა და მწერლობა“ და სხვა. წერილის ავტორის და ინტერვიუერის აზრით, ვ. ფორშტაინისეული გაყვლების წადილში მონაწილე შეიძლება იყოს მისი თბილისელი კონსულტანტი, რომლის დახმარებით შეძლო გაცნობოდა მასალებს (გულისკო ბალაძე, იმპერია მეგრელების გახლენკვას და გარუსებასაც შეეცადა, გაზ. „ახალი თაობა“, 2000, 13 მაისი, ინტერვიუ მანანა ტაბიძესთან (მასალები აღებული მაქვს გ. ციციშვილის წიგნიდან „მაფალუ“. თბ., 2007, გვ. 65, 99)).

უკანასკნელ პერიოდში გარკვეული მუშაობა წარმოებს თურქეთში მცხოვრებ ლაზებს, ლაზ მეცნიერებს, ჟურნალისტებს, პოლიტიკოსებსა და ქართველ მეცნიერთა ერთ ნაწილში, ლაზეთისათვის საკუთარი ეროვნული ისტორიის, კულტურის, წარმომავლობის ფსევდოსა და გენეალოგიის სწორად შესამეცნებლად. ამისათვის შეიძლება გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდეს XX საუკუნის 20-30-იან წლებში სამეგრელოში მიმდინარე დაღვბობი და უარყოფითი პროცესების გათვალისწინებას და შესაფერის გამოყენებას.

აქ უნდა აღინიშნოს დიდი ქართველი პედაგოგის იაკობ გოგებაშვილის სრულიად ქართველური მოთვალსაწიერების გენიალური უნარი: – განა ეროვნული მეხსიერების შესაბამისად „დგდა ენას“ ასე აღადგენინა ენა – „აი ია“. ამით ბაგეში თავისი სამშობლოს ათიათასზე მეტი წლის წინანდელ სახელს წარმოთქვამს „აია“...

ამასთან ერთად, იაკობ გოგებაშვილი წერს: „მეგრელები ნიჭიერი და მოხერხებული ხალხია. საქართველო მათ სხვა ქართველზე თუ მეტად არა ნაკლებად არ უყვართ“...

„აქაურ მეგრელებს ქართველები ჰქვია“.

მეგრულისადმი გარკვეული წრეების მიერ წაქეზებული შეუფასებლობა, მისი წმინდა ქართული ცნობიერი თუ სიტყვათმომხმარებლობით მიმოქცევაში დაუღვევარი გვერდის ავლა, ნოყიერ ნიადაგს ქმნის ავისმოსურნელ ჩასაფრებული წრეებისათვის.

მეგრულის (ლაზურის), სვანურთან ერთად დგდა ქართულიდან განცალკევების (დინტეგრაციის) მცდელობა ნიშნავს მეგრულის მყისიერ, ხოლო სალიტერატურო ქართულის თანდათანობით სიკვდილს (ასეთივე ბედი ეწევა სვანურსაც)“.

სერგი საჯავია აგრძელებს: „თითოეული მეგრული (ლაზური) ბგერა, სიტყვა, სიმღერა, გულისძგერა თუ სუნთქვა, სვანურთან ერთად, სრულიად საქართველოს მიწეიერი ხანგრძლივობის განმსაზღვრელია“.

„გიორგი ჭყონდიდელსა და ცოტნე დიანზე დიდ მეგრელობას ჯერჯერობით მაინც ნურვინ ეცდება და თუ ცდილობს, გაისივრძეგანოს, რომ ამ დიდმა მეგრელმა ბერმა აღმაშენებლური საქართველო შექმნა და დიდგორზე „ძლევაი საკვირველის“ განპირობებელი სულიერება დაუტოვა შთამომავლობას, ხოლო მეორემ ქრისტემხედრულად დაიცვა იგი“ (სერგი (გიორგი) საჯავია. „დემოკრატიული“ გაღაგვარებით ... გვ. 250-252.).

კლიმენტე შელია, პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (გაგრძელება შემდეგ ნომერში

“ოქროს საწმისი”

ოქროს საწმისის შესახებ სხვადასხვა ეპოქის წარმომადგენლება საინტერესო ცნობები დაგვიტოვეს, თუმცა სანამ გავცნობით ცნობებს „ოქროს საწმისის“ შესახებ მანამდე გავეცნოთ ბერძნული მითების მიხედვით „ოქროს საწმისის“ კოლხეთში მოხვედრის ისტორია.

გიორგი მელიქიშვილი წერს: „კოლხეთის სამეფოს ძლიერებამ და ბრწყინვალეობამ ისეთი გავლენა მოახდინა ძველ ბერძნებზე, რომ მათ კოლხეთს საპატიო ადგილი მიუჩინეს თავიანთ მითებში. თქმულება არგონავტიკის შესახებ მოგვითხრობს: ოქრომენის მეფე ათამანტს ქალღმერთ ნეფელესაგან პყავდა ორი შვილი ფრიქსე და ჰელე. ათამანტმა შემდეგ უღალატა ნეფელეს და დაქორწინდა ინოზე, რომელმაც მოინდომა ათამანტის შვილების დაღუპვა. როდესაც ათამანტის სამეფოს უბედურება დაატყდა თავს, ინომ მოისყიდა მისანთან გაგზავნილი ხალხი და მოატანინა ამბავი, ვითომ ქვეყანას იხსნის მეფის ძის ფრიქსეს მსხვერპლად შეწირვა. მეფე მზად იყო შეეწირა ფრიქსე, მაგრამ უკანასკნელ მომენტში მისი დედისაგან, ქალღმერთ ნეფელისაგან გამოგზავნილმა ოქროს საწმისიანმა ვერძმა შეისვა ზურგზე ფრიქსე და ჰელე და გააფრინა ისინი ჩრდილოეთისაკენ. გზაში ჰელე გადმოვარდა ცხვრის ზურგიდან და დაიდარწო ზღვაში. ამ ადგილს ამიერიდან ეწოდა ჰელესპონტი („ჰელეს ზღვა“, დღევანდელი დარდანელის სრუტე). ღვთაებრივი ცხვარი, რომელზეც ფრიქსე იჯდა დაეშვა კოლხეთში, სადაც მეფობდა ღვთაებრივი წარმოშობის აიგტი. მან შეიხიზნა ფრიქსე და მიათხოვა თავისი შვილი ქალკითაზე. ვერძი მსხვერპლად შესწირეს ღვთაება ზევსს მისი ოქროს საწმისი კი შეინახეს და დარაჯად საშინელი ურჩხული დაუყენეს“. მითი ოქროს საწმისის შესახებ ლიტმოტივად გასდევს ანტიკური ხანის ავტორებს. აკაკი გელოვანი წერს: „თქმულება ოქროს საწმისისთვის არგონავტიკის კოლხეთში ღაშქრობის შესახებ ფართოდ იყო დამუშავებული ბერძნულ მწერლობაში. არ დარჩენილა ელინური ეპოქის არათუ მწერლობის

არამედ ხელოვნების არცერთი დარგი რომელსაც ეს თქმულება მთლიანად, ან მისი ეპიზოდების სახით არ დამუშავებინოს. პირველ ცნობებს არგონავტიკის თქმულებისა და კოლხური გარემოს შესახებ ელინური მწერლობის ჩვენამდე მოღწეული ყველაზე ადრინდელ ძეგლებში ჰომეროსის „ილიადა“ და „ოდისეაში“ გხვდებით. ფიქრობენ, რომ ჰომეროსმა გამოიყენა მანამდე არსებული ეპოსი, რომელშიაც არგონავტთა თქმულების გარკვეული ნაწილი იყო გადმოცემული“.

და მაინც რა იყო ოქროს საწმისი? ზვიად გამსახურდია წერს: „ოქროს საწმისი კლასიკურ პერიოდში, ანტიურ პერიოდში არის იგივე, რაც შუა საუკუნეებში გრალი და ფილოსოფიური ქვა. ფილოსოფიური ქვა და გრალი არის აგრეთვე იდენტური ცნებები. ფილოსოფიური ქვის ძიება არის არამარტო ფიზიკური ოქროს ძიება არამედ სულიერი ინციაციის ძიება, ღვთის ძიება, სულიერი ცნობიერების განვითარების გარკვეული დონის ძიება, რომელიც ანტიურ მისტიკებში, ძველ ბერძნულ მისტიკებში გადმოცემული იყო როგორც ოქროს საწმისის ძიება. ხოლო ოქროს საწმისი, როგორც მოგვხსენებათ, იყო კოლხეთში. თავდაპირველად ოქროს ვერძი საბერძნეთიდან არის წასული კოლხეთში, მაგრამ ეს იმ პერიოდის საბერძნეთია, როდესაც იქ ყვავის პელაზგური კულტურა, კერძოდ, პელაზგური არგოსის კულტურა. შემთხვევით არ არის, რომ ხომალდსაც „არგო“ ჰქვია და „არგო“ თავისი ძირით კოლხეთიდან მომდინარეობს – არგო, არგეეთი, ეგრისი „გრ“ ფუძე; ესეც კოლხეთია ღაშქრობა კოლხეთში სიმბოლურად, იმაგინატურად არის ღაშქრობა სულიერი სიბრძნისა, მისტერიალური სიბრძნის მოსაპოვებლად, რომელიც ამჟამად შემონახული იყო მხოლოდ კოლხეთში და აღარ არსებობდა საბერძნეთის ტერიტორიაზე, აღარც ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყანაში. ისევე, როგორც კრეტაზე წასვლა თეზოსისა, არის აგრეთვე იმ სიბრძნის მოპოვება, რომელიც ელინურ საბერძნეთში იმჟამად აღარ არსებობდა.“

ქართულ საისტორიო წყაროებში

ცნობები „ოქროს საწმისის“ შესახებ არ მოიპოვება და უფრო მეტიც – ვახუშტი ბატონიშვილი საერთოდ უარყოფს საქართველოს კავშირს ოქროს საწმისთან. იგი წერს: „ხოლო ესე ოდიშისასხელა ორი სახელითა: პირველად მეგრელნი, რამეთუ ეგრის აღაშენა ქალაქი და უწოდა ეგრი ამას წერენ ევროპელნი კოლხიდად, იაზონ წაიღო ოქროს რუნი, ანუ საწმისი, არამედ ჭალაქი იგი აქა არსად მოიპოვების, არცა მატთანე ჩვენი მოიხსენიებს მას“. და მაინც, რასაც იხსენიებს მთელი ანტიკური სამყარო, არ იხსენიებს ჩვენ ეროვნულ ისტორიად წოდებული „ქართლის ცხოვრება“. ვლადიმერ ალფენიძე წერს: „ქართლის ცხოვრებაში თითქმის არაფერია დაწერილი კოლხების „ოქროს საწმის“ შესახებ. არაფერია დაწერილი კირიკეს ღვთისმშობლობის შესახებ. რატომ არ მიაჩნდათ საჭიროდ მხოველს და ავტორებს მოესხენიებნათ ერთი წინადადებით მაინც ის რაც ასე აღაფრთოვანებდათ ევროპიდეს, სენეკას, პეროლოტეს, კანტს. რატომ? რატომბა გაბრაზებული ჩვენი ისტორია და ეროვნული ცნობიერება საწმისიდანვე, ფარანავიდან და ლეონტი მროველიდან დღემდე რატომ წერდნენ ოქროს საწმისზე ჰომეროსი, პესიოდეს, ვერგილიუსი, როდოსელი, ევროპიდეს, სენეკა და რატომ დუმს ქართული ისტორიოგრაფია სამი ათასი წელი“.

აკაკი ურუშაძე წერს: „ცნობა იმის შესახებ, რომ ოქროს საწმისი ტყავეზე ნაწერი წიგნი, იმის შემცველი, თუ ვით გაკეთდეს ოქრო ქიმიის საშუალებით, გხვდება ანონიმურ ავტორთან, ხარაქს პერგამონელთან, იოანე ანტიოქიელთან, სვიდასთან“ და იქვე აგრძელებს „ხარაქსი ამბობს, რომ ოქროს საწმისი არის ეტრატზე აღნუსხული ხერხი ოქროს დამწერლობისა, რომლის გამოც, როგორც ღირსაწმისოა, „არგოს“ ღაშქრობა მოეწო“. ა. მაშოსკისის მოსაზრებით „ოქროს საწმისი“ იყო წიგნი, რომელშიც ეწერა ოქროსა და ხელის დამუშავების საიდუმლო. „ოქროს საწმისის“ შესახებ ბიზანტიელი სვიდას მიერ შედგენილ ლექსიკონიდან ვკითხულობ: „საწმის-ოქროს ბეწვიანი საწმისი, რომელიც იაზონმა და არგ-

ონავტებმა მოიპოვეს, როდესაც შავი ზღვით კოლხეთში მივიდნენ. მოიპოვეს მედია, მეფე აიეტის ქალიშვილი. ეს ისე კი არ იყო როგორც პოეტურად არის გადმოცემული, არამედ ეს იყო ტყავეზე დაწერილი წიგნი, რომელშიც ის ეწერა, თუ როგორ უნდა გაკეთდეს ქიმიის საშუალებით ოქრო. ცხადია, მაშინდელი ხალხი იმ ტყავს ოქროსას უწოდებდა, მიღებული შედგენის გამო“. იმ ფონზე, როცა წყაროთა უმეტესობა უთითებს, რომ „ოქროს საწმისი“ იყო ტყავეზე ნაწერი წიგნი, ორმაგად ფასეული ხდება აპოლონიოს როდოსელის ცნობა. იგი წერს: „კოლხებს შენახული აქვთ თავიანთ მამათაგან ნაწერი კვირბები, რომელზედაც ირგვლივ მოგზაურთათვის ნაჩვენებია ყველა გზა და საზღვარი. დღეს კოლხურად (მეგრულად) კირიბი ეწოდება ბატკანს რომლის ტყავისაგან მზადდებოდა საწერი მასალა“. ამრიგად, მართალს ბრძანებს აკაკი ურუშაძე: „ძნელაა ვიფიქროთ რომ მდიდარი კულტურული წარსულის მქონე და ანგარიშგასაწევ ხალხად მიეჩნიათ კოლხები, ბერძნებს მათში უძველესი დამწერლობის გარეშე“. გ. მელიქიშვილი წერს: „აპოლონიოს როდოსელის ცნობა არის ისტორიული მოწმობა იმის შესახებ, რომ ძველ კოლხეთში დამწერლობა არსებობდა, ხოლო ნაწერები კვირბებზე უნდა მიეკუთვნოთ ძველი კოლხეთის სამეფოს“. საინტერესოა კარლ ჰაინგის ფონ გაირბერგის ცნობა კოლხეთის და ოქროს საწმისის შესახებ. იგი წერს: „ესაა დასაბამიდან ოქროს საწმისი – მდიდარი ქვეყანა კოლხეთი. ფაზისს ჰქონდა ოქრო არგონავტიკის ჟამიდან. აქ იცოდნენ ოქროს მოპოვების ხელოვნება, რომელთა ძირებიც ღამის ადამის ჟამსაა საძებელი“.

შევეცადე მოკლედ გადმოგეცა ის ცნობები რომლებიც ნათლად გადმოსცემენ ჩვენს დიად წარსულს. როგორც ზემოთ მოყვანილი ფაქტებიდან ჩანს, „ოქროს საწმისის“ შესახებ ცნობებს გვიტოვებენ ის ადამიანები, რომლებმაც შექმნეს ანტიკური და არა მარტო ანტიკური ეპოქა.

ამრიგად, დროა, ქართველმა ერმა გაითავისოს თავისი დიადი წარსული.

თემურ სახურია

შეგვეშვიტო, გაატონებო!

(ანუ, “ყველამ თავის ბ... მამიდას მოუაროს”)

უკანასკნელ პერიოდში “ჩვენი დიდი გულშემატკივარი” ამერიკის კონგრესის მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებამ დიდი აუიოტაჟი გამოიწვია, რამაც დროებით პირში წყალჩაღებულ “ნაცმოძრაობის” უკიდურესად შეთხელეებულ წარმომადგენლობას ახალი საყაყანო თემა მისცა. თუ ამერიკის გულისწყრომა გამოიწვია იმან, რომ დაპატიმრებულ იქნა ყოფილი პრემიერ-მინისტრი ვანო მერაბიშვილი, მაშინ სრულიად სამართლიანად იბადება კითხვა – სად იყო მაშინ იგივე კონგრესი, როდესაც მერაბიშვილზე ასი თავით თუ არა, ათი თავით მაინც მაღლა მდგომი პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიას ლიკვიდაცია მოხდა? თუ მერაბიშვილის სამართლიან დაპატიმრებაზე კონგრესი ასეთ რეაგირებას აკეთებს, მაშინ ის კონგრესი ჯერ კიდევ სიბნელეშია და დემოკრატიზაციას თამაშობს.

რატომ? რა მიზეზით უნდა გახდეს ამერიკის კონგრესის გასარჩევი საქართველოს საკითხი? მართალია, ამერიკის შეერთებულ შტატებს ჩვენს არაერთგზის გაჭირვებაზე, ბევრჯერ გამოუთქვამს “გულისწყრომა”, “შეშფოთება”, რომელთა მიმართაც არავის არც რეაგირება მოუხდენია და არც ყურად უღია. ეს იგივეა, ნაცნობს მიუსამძიმრო ახლობლის გარდაცვალება და სხვა ვერაფრით ვერ დაეხმარო.

ისეთი გულუბჟყვილო არა მგონია ვინმე იყოს, როგორც ყოფილ, ისე ახალ ხელისუ-

ფლებში, რომელიც დაიჯერებს, რომ საქართველოსათვის ამერიკა და, თუნდაც ევროპა, რუსეთს დიად დაუპირისპირდება. ეს იყო და არის მხოლოდ “ნაცმოძრაობის” იაფფასიანი პროპაგანდა, რითაც თავიანთი ჭკუით თვალში ნაცარს გვაყრიდნენ, მათ კი ამერიკა და ევროპა “აბოლებდნენ”, რაც ნათლად დაადასტურეს ავგვისტოს მოვლენებმა, სადაც, ნაცვლად სამხედრო დახმარებისა, მივიღეთ პამპერსებისა და სასმელი წყლის დიდი რაოდენობა (რაც “ნაცებს” მაშინ მართლაც სჭირდებოდათ).

ამერიკას არა აქვს იმის მორალური უფლება, რომ გვიკოინონ ჩვენ და აკეკრძალონ იმ პირთა დასჯა, რომლებმაც სახელი გაითქვეს, როგორც საღისეებმა, რასაც ნათლად ადასტურებს ყოველდღიურად გამოვლენილი სულ ახალი და ახალი შემზარავი დანაშაულებრივი ფაქტები. ღამისაა, სისხლის სამართლის კოდექსში არ დარჩეს არცერთი მუხლი, რომლის შესაბამისი მძიმე დანაშაულობები არა აქვს ჩადენილი “ნაცმოძრაობას”. დროა, აშშ-მ და ევროპამ შეიკრიბა, რომ სულელები და გიჟები მმართველებად არ გაბოდვებიან, ასეთ პირთა მხარდაჭერა სხვა არაფერია, თუ არა ერის განადგურებისა და გადაგვარების საქმეში მონაწილეობის მიღება.

აშშ-ს მიერ წლების განმავლობაში სხვა ქვეყნების მიმართ საშინაო თუ საგარეო საქმეებში ჩარევამ მატინანეზე დაყრდნობით საბოლოოდ თითქმის ყველგან კრახი განიცადა და ჩვენ რატომ უნდა

ჩავვარდეთ მათ ხახაში? ამერიკის რომელ დემოკრატიულობაზეა საუბარი, მას შემდეგ, რაც მათ ჩაიდინეს პიროსიმასა და ნაგასაკიში, ვიეტნამში, კონგოში, ჰონდურასში, ერაქში... რას სჩადიან ავღანეთში და ა.შ. სამწუხაროა ის ფაქტი, რომ ყოველდღიურად მატულობს ავღანეთში დაღუპული და დაჭრილი ქართველ მეომართა რაოდენობა და ეს სისხლი იღვრება სხვის ომში. რატომ არ შეიძლება – “ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნოდეს”? ბოლოს და ბოლოს, გასარკვევია, ჩვენ ამერიკის ახალ შტატად ხომ არ მოგვიპოვებს მათი კონგრესი. თუ ამერიკა გვჭირდება, როგორც პარტნიორი, კი ბატონო, ვიპარტნიოროთ თანასწორ სახელმწიფოებრივ ფარგლებში, პატრონად კი ნამდვილად არ გვჭირდება. საზოგადოებაში მუსირებს ის აზრი, რომ თუ ამერიკა გვიპირებს გავხდეთ მისი ვასალი, ჩვენივე ისევე ერთმორწმუნე რუსეთი სჯობია – გეების, ჰომოსექსუალების, ბისექსუალების და ათასი საზიზღრობიდან მაინც ვიქნებით დაცული.

კონგრესი რატომ არაფერს ამბობს ბოლო პერიოდში “ნაცების” მიერ შენახულ საბრძოლო იარაღებსა და მასალებზე, საზიზღარ ვიდეომასალებზე? ეს ხომ კვლავ ჩვენი ხალხის გასაწვევად, დასაშინებლად, დასატერორებლად იყო შენახული. ბოლო დროს პრეზიდენტად წოდებული არარაობა გამოდის და აცხადებს, რომ აღნიშნული იარაღების სამალავების შესახებ მისთვის ცნობილი იყო და დათანხმდა იმიტომ, რომ თუ

რუსეთის მხრიდან აგრესია განმეორდებოდა, გამოიყენებდნენ ამ შეიარაღებას. ეს განცხადება მართლაც სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს! შე კაი დედ-მამის შვილო, იმდენი შეიარაღება თუ გქონდა კონფლიქტის დაწყების წინ, ორი ქვეყნის არმიას რომ ეყოფოდა, რატომ ვერ გამოიყენე?

დალოცვილო, შენს ხელთ არსებული უახლესი ტექნიკით და შეიარაღებით ვერაფერი დააკელი მოწინააღმდეგეს და ახლა გადაჭრილი თოფებით და ნახევრად ჩამოწერილი იარაღით გინდა დაამხო რუსეთის იმპერია?

აი, სწორედ ასეთმა გამოხდომებმა და ყოველად გაუზარებელმა ქმედებებმა მიიყვანა “ნაცმოძრაობა” კრახამდე. მათ არავისი ეშინოდათ, თემიდაც თავად ბრძანდებოდნენ – სასწორ-მახვილიანად. მათი ხელისუფლებაში მოსვლაში, ამა თუ იმ ხარისხით, ყოველი ჩვენთაგანია დამნაშავე – ვხედავდით მმართველი კლასის დანაშაულს, მაგრამ ვუფმდი.

“ნაცმოძრაობაში” კი, ნაცვლად იმისა, რომ მოეგვარებინა ქვეყანაში არსებული პრობლემები, საკუთარ ხალხზე დაიწყო ძალადობა და შედეგად ლოგიკური დადგა.

ახლა კი, დროა ყველამ ერთად ვაქეთოთ საერთო საქმე და ჩვენვე განვსაზღვროთ ჩვენი მომავალი, რადგან, ცხოვრებამ უკვე საბოლოოდ დაამტკიცა, რომ ამერიკა არ არის ჩვენი ძირითადი ორიენტირი.

როზმირ ბოშენია, ზუგდიდი

მიმართვა ამა ძველის კლიერო და მდიდართ!

„სცნათ ჭეშმარიტი და ჭეშმარიტმან განგანთავსუფლოთ თქვენ...“
ბიბლია

არის ცნობები, რომ წარდგამდელი კაცობრიობა ფლობდა უზენაეს გონს, შესისხლორცებული ჰქონდა თანდაყოლილ თვისებად ქცეული ღვთიური ცხოვრების წესი, უზენაესი გონის შესაბამისი უნივერსალური ტექნიკური საშუალებანი და ცხოვრობდა თავისუფალი, ბედნიერი ცხოვრებით.

მარადარსებული უსაზღვრო სამყაროს უსასრულო არსებობასთან დაკავშირებული კატაკლიზმების შედეგად გამოწვეულმა სამყაროსუფლმა ტრაგედიაში – წარდგამა წართვა, წაუღეკა იმდროინდელ ადამიანს გონებრივი განვითარების შესაბამისი ყველა ის ტექნიკური საშუალება, რითაც ცხოვრობდა, და ყველაფრით უზურნველყოფილი, კავშირს ამყარებდა გარე სამყაროსთან. წარდგანს გადარჩენილი საზოგადოების უმცირესი ნაწილი, სხვა ცოცხალ არსებათა მცირე ნაწილთან ერთად, დარჩა გონებრივადც ტრამვირებული, ცარიელი ხელებით, მარტო წარდგამდელი ცოდნის ნაწილის ამარა.

დედამიწის სხვადასხვა წერტილში მცირე ჯგუფებად დარჩენილ ადამიანებს, ბუნებრივია, სხვადასხვა პირობები შეხვდათ წარდგამდელი ღვთიური ცხოვრების წესისა და ცოდნის შესანარჩუნებლად. გარე სამყაროსგან მოწყვეტილთ, არ გააჩნდათ თავიანთი გონებრივი შესაძლებლობების არც რეალიზაციის საშუალება და არც ასპარეზი. ძველმა თაობებმა ამიტომ ვერ გადასცეს შემდგომ თაობებს თავიანთი ღვთიური ცოდნა და ზნეობა, ადრე რომ გენეტიკურად გადაეცემოდა შთამომავლობას. და ასე – თანდათან, წარსულის ნიშტთან ხელის ერთი დაკვრით კავშირშეწყვეტილთ, აზროვნებაც მოუღუნდათ და წარსულიდან ჩარჩენილი ცოდნის განვითარების შესაძლებლობაც, და ხელახალი განვითარება ქვის ხანიდან დაიწვეს.

როგორც ეტყობა, ჩვენს უძველეს წინაპართ, – კოლხებს, – სხვებისგან განსხვავებით, განსაკუთრებული ხელსაყრელი პირობები შეხვდათ წარდგამდელი ცხოვრების ნაწილობრივ მაინც შესანარჩუნებლად და გასაგრძელებლად. ამიტომ იყო ჩვენი უძველესი წინაპრის ქვეყანა ცნობილი „ოქრომზრავალი კოლხეთის“ სახელით. ეტყობა, მათ ახსოვდათ წინაპართა გადმოცემები და შეგნებული ჰქონდათ, თუ რა გზით შეიძლებოდა დაებრუნებინათ წარდგამდელი პერიოდის ღვთიური ცხოვრება. ამიტომ ცდილობდნენ დედამიწის სხვადასხვა ტერიტორიებზე მოიხიდადრე აბორიგენთა ცივილიზებას, მათ განათლებას; ამიტომ ანათებდა ჰელიოსი კაცობრიობას კოლხეთიდან; ამიტომ უწოდებდნენ აბორიგენები თავიანთ განმანათლებლებს „მზის შვილებს“; ამიტომ ამჩნევია დედამიწის ზურგზე ოდესღაც არსებულ ცივილიზაციებს კოლხური ცივილიზაციის კვალი; ამიტომ არაა ერთი სიტყვითაც ნახსენები „კოლხეთის იმპერია“ – მაშინ, როდესაც ზიზღით მოიხსენებიათ ბაბილონის იმპერია, რომის იმპერია, ბიზანტიის იმპერია და სხვანი მრავალნი. მაგრამ ეტყობა, წარდგანამ გარკვეული უარყოფითი კვალი ჩვენი ღმერთ-წინაპართა ცხოვრებაშიც დატოვა, რის გამოც მათაც კი ვერ გაითვალისწინეს ყველაფერი, რაც საჭირო იყო წარდგამდელი ბედნიერი და ღვთიური ცხოვრების დასაბრუნებლად...

ამიტომაც ვერ მიაღწევს მიზანს... შეგნებული ჰქონდათ რა ადამიანური ცხოვრების თანამდევი უბედურების მიზეზი, ყველა დროის ჰუმანისტები ქადაგებდნენ ურთიერთ პატივისცემასა და სიყვარულს, რამეთუ უთანხმოება, ურთიერთ მტრობა და სიძულვილი, ყოველივე ანგრევს სიკეთეს, ხოლო ურთიერთ თანხმობა, ერთპირი, ერთმანეთის პატივისცემა და სიყვარული სიკეთესა და ბედნიერებას აშენებს.

ამიტომაც გვმოძღვრავდა მაცხოვარი: „...სცნათ ჭეშმარიტი და ჭეშმარიტებამან განგანთავსუფლოთ თქვენ“...

ჭეშმარიტების შეუცნობლობის, სწორი ცხოვრების წესის უცოდინარობის გამო, ადამიანის გონებრივი შესაძლებლობების არასწორი ორიენტაცია, ცხოვრებაში სამოქმედო საქმიანობის არასწორი გზა-გეზის

აღება იწვევს საზოგადოებრივი აზროვნების დონის თანდათანობით დაქვეითებას და ჯერ ცალკეული ქვეყნების, შემდეგ კი, საბოლოოდ, მთელი კაცობრიობის გარდაუვალ დაღუპვას.

ადრე, საბჭოთა კავშირის შექმნამდე პოსტსაბჭოთა სივრცეში ადამიანთა დიდ ნაწილს ღვთის შიში მაინც ჰქონდა და უკეთურ საქმიანობას ერიდებოდნენ. ათეიზმმა ჭეშმარიტების შეუცნობელ საზოგადოებას ღვთის შიშიც დაუკარგა, და თუ პიროვნება დარწმუნებული იყო, რომ დანაშაული უპასუხიმგებლოდ ჩაუვლიდა, ყოველგვარ კრიმინალს ჩაიდენდა თავისუფლად. საზოგადოებრივი აზრის არასწორმა ორიენტაციამ მშრომელი მასის უდიდესი უმრავლესობის საქმიანობა საერთო ძლიერების ნგრევისკენ წარმართა; პირდაპირ რომ ვთქვათ, საზოგადოებრივი ქონებიდან, ვისაც რისი მისაკუთრება შეეძლო, – ჩინოვნიკიდან დაწყებული უბრალო მუშამდე, – ცდილობდა მიეთვისებინა მოურიდებლად. ხალხის თვალში ნაცრის შესაყრელად, ხელისუფლებაში მყოფი საზოგადოების ნაწილი ვითომ ცდილობდა წესრიგისა და კანონის დაცვას და სჯიდა კიდევ მავანთ და მავანთ, მაგრამ სჯიდა მხოლოდ სუსტთა და უსუსურთ, ძლიერ მფარველთა არა მყოფთ, რომლებიც მოსალოდნელი დამღუპველი შედეგის არსში აბსოლუტურად გაურკვეველნი იყვნენ.

შედგმაც არ დააყოვნა: არასწორმა საზოგადოებრივმა წყობამ, საზოგადოებრივი აზრის არასწორმა ორიენტაციამ ადამიანის გონების სრული დეგრადაცია, თვითნგრევა და დღევანდელი საველადო მდგომარეობა გამოიწვია.

მართალია, კაცობრიობამ მიაღწია მაღალ ტექნიკურ პროგრესს, მაგრამ თუ ტექნიკურ პროგრესს თან არ ახლავს ადამიანის ზნეობრივი განვითარების შესაბამისი ღონე, იგი მიმართული იქნება, პირველ რიგში, ამ პროგრესის შემქმნელი საზოგადოების, შემდეგ ქვეყნის და ბოლოს – მთელი კაცობრიობის წინააღმდეგ.

ამიტომ ამა ქვეყნის ძლიერთა და მდიდართ მართებთ იმის გაგება და შეგუება, რომ საზოგადოებრივი აზრის არასწორი ორიენტაცია, სხვათა საკუთრების მითვისება, მშრომელი საზოგადოების – პროლეტარების შემქმნელი მასის ჩაგვრა და შევიწროება სამოქმედო გზების გადაკეტვით, მათი გონებრივი შესაძლებლობების იძულებითი შეზღუდვით, გამოიწვევს საზოგადოებრივი აზროვნების დაქვეითებას და საბოლოოდ – ქვეყნის, საერთოდ, – მთელის კაცობრიობის გარდაუვალ დაღუპვას; უნდა შეიგნონ, რომ მშრომელი მასის არსებობით არიან ისინი ძლიერნი და მდიდარნი, და თუ მშრომელმა მასამ არ იაზროვნა და არ იარსება, ვერც ძლიერნი და მდიდრები იქნებიან მუდამ. ეს არაა ვინმე ბრძენკაცის მიერ მოსალოდნელი მოვლენის წინასწარმეტყველება, არამედ ეს ის სრული რეალობაა, რომელმაც კაცობრიობა შეიძლება მიიყვანოს მეორე წარდგამდე.

ასევე დამღუპველია, ხელქვეითის მიერ არსებული პრობლემის რაციონალურ გადაწყვეტაზე ზოგიერთი ხელმძღვანელის ბრიყველი რეაგირება: ახლა ექსპერიმენტების დრო არ არის, ვფიქრობ და ვწყვეტ მე, შენ კი აკეთე ჩემი გემოვნების მიხედვით.

სხვაზე არაფერს ვიტყვი, მაგრამ პირადად მე არც გამიგონია და არც წამიკითხავს, პრესტიჟულ საგარემოში ჩაჯდომის შემდეგ ასეთ ბრიყვე მბრძანებელს, პრეზიდენტს ან ჩინოვნიკს შეექმნას რაიმე პროგრესული ტექნიკური, თუ სხვა საჭირო საშუალებანი. განუკითხავი განცხრომის ნეტარებას მინდობილთ, ამისათვის დრო არცაა რჩებათ. ასევე საეჭვოა, პროფესორი, რომელიც ღუქმაპურის შესაძენად თავის ბიბლიოთეკას ჰყიდის, ახალი აღმოჩენის ძიებით იყოს დაკავებული.

არადა, ადამიანი თავისი გონებრივი შესაძლებლობით პოტენციური ღმერთია, ოღონდ აუცილებელია მისი აზროვნების სწორი ორიენტაცია, რაც ამა ქვეყნის ძლიერთა და მდიდართა დაუოკებელი და ურყევი ნებით თუ მიიღწევა.

უსაზღვრო სამყაროს უმცირეს ნაწილსა – ადამიანს გააჩნია გონება, მაგრამ, საშუალოდ, დღეისათვის მისი გონებრივი შესაძლებლობის მხოლოდ სამი პროცენ-

ტია მოქმედებაში. რადგან უსაზღვრო სამყაროს უმცირეს ნაწილსაც, ადამიანს, გააჩნია გონება, ბუნებრივია, მსგავსი და სხვა უსასრულოდ მრავალი ნაწილაკებისაგან შემდგარი უსაზღვრო სამყაროს გონებრივი შესაძლებლობანი, ასევე უსაზღვროა. ამიტომ იგი ყველაფრის მცოდნეა, ყველაფრის მომცველია, ყველგან და ყველაფერშია („მე მამაში ვარ, მამა ჩემში“); შესაბამისად, ყოველის შემძლეა, აბსოლუტური ჭეშმარიტების მფლობელია, სამყაროს თვითგამგებელი და ყველაფრის თვითდამარეგულირებელია; ამაღლნად – უზენაესი გონია. ადამიანი, ურყევი ნებას და დაუოკებელ სწრაფვას სამყაროს ჭეშმარიტი არსის შემცნებისაკენ, მიჰყავს – ყოველისმცოდნეობასთან, უზენაეს გონთან, ე.ი. ყოველისმცოდნე და ყოველისშემძლე ღმერთთან აახლოებს მას. ოღონდ, ამა ქვეყნის ძლიერნი და მდიდარნი, – ჭეშმარიტების შეუცნობლობის, უმეცრების, სიხარბისა და გაუმაძღრობის (მომიტყვეთ კანდიერებისათვის) გამო თუ არ შებოჭავთ საზოგადოებრივი აზროვნების გენიას და გასაქანს მისცემთ მას, თავისი გონებრივი განვითარებით დაუახლოვდეს უსაზღვრო სამყაროს უზენაეს გონს, იგი უდაოდ მოუტანს კაცობრიობას ჭეშმარიტად თავისუფალ, ბედნიერ და ღვთიურ ცხოვრებას.

ამიტომაც, – ამა ქვეყნის ძლიერნი და მდიდარნი! – ნუ დაეცემით მხეცთა და ნადირთა ღონემდე, იგაჰკვეთილეთ მწყემსებისაგან, – ისინი ლუქმას არ მიიღებენ მანამდე, სანამ თავიანთი მარჩენალ ცხვრის ფარას საძოვრებზე არ მიუშვებენ. უბედურთა გარემოცვაში ბედნიერი ცხოვრება ხომ მაინც გამორიცხულია. ამიტომ გაუფრთხილდით, განსაკუთრებით, საზოგადოების საშუალო ფენას, რომელიც უდიდესი უმრავლესობაა მოსახლეობისა და რომელსაც ძალუქს მდიდრებიც იყოლიოს და ღარიბებსაც მოუაროს!

ნუ ჭრით იმ ტოტს, რომელზეც ზიხართ! **P.S. ეს წერილი, კონა კოლხის ფსევდონიმით, თავიდან გაზეთ საქართველოს რესპუბლიკის რედაქციაში მივიტანე. რამდენიმე დღის შემდეგ რედაქციის ერთმა პასუხისმგებელმა პირმა მოკრძალებით მითხრა: თქვენ არ ჩანხართ ისეთი კაცი, რომ უარით გასტუმრების ღირსი იყოთ, გეჯერა თქვენი გულგუთილობის, გასაგებია თქვენი გულისტკივილის მიზეზი, მაგრამ ასეთი წერილის გამოქვეყნებას ჩვენთან ვერ შეეძლებოდა (შემდეგ ეს წერილი გამოქვეყნდა გ-თში, „ჩვენი ერთობა“. 7-14 ოქტომბერი 2001 წ. №3(7)). ამით, ნებით თუ უნებლიეთ, მიმახვედრა, რომ ეს საცოდავები ამა ქვეყნის ძლიერთა, მაგრამ უმეცართა, იგივე „ანტიქრისტეს“ მონება არიან, რამეთუ ისინი ემსახურებიან იმათ, ვისაც ხელთ უპყრიათ ჩვენი ბედკრული სამშობლოს მართვის ბერკეტები და საზოგადოებრივი აზრის არასწორი ორიენტაცია მათი გონებრივი სიმახინჯისა და ჭეშმარიტების შეუცნობლობის შედეგია. სწორედ რომ ჭეშმარიტების შეუცნობლობის გამო მილიონობით შემოსული გრანტები და კრედიტები, რაც ვითომ ჩვენი ქვეყნის აღორძინებისათვის უნდა გახარჯულიყო, ერთ მუჭა ხელისუფალთა და ამ გრანტებისა და კრედიტების მომწოდებელი ქვეყნების ძლიერთა უძირო ჯიბეებში მივიდნებოდა უკან. და ეს ხდებოდა მხოლოდ იმისათვის, რათა ჩვენი ბედკრული სამშობლო და ხალხი შემდგომ უცხო ქვეყნის მონოპოლისტთა თაღაღულწვევლი კაბალის ქვეშ და მძიმე მარტოხეობაში მოქცეულიყო. ამიტომ მოჰყვებოდა ამ გრანტებს და კრედიტებს ბორზოტები და ბალცეროვიჩები, რათა მათი ნების გარეშე არ დახარჯულიყო ერთი ცენტიც. ასე რომ არ იყოს გაზეთებში დაფიქსირებულია სახალხო, უკლდელოე ყველა, თუ ვის გასცეს ეს გრანტები და დაიხარჯა თუ არა ისინი დანიშნულებისამებრ. ამიტომ ჰყავდათ ხალხი სპეციალურად შიმშილის და შიმშილის შიშის ქვეშ, რამეთუ შიმშილი გონებრივად ფიტავს ადამიანს, უკარგავს აზროვნების უნარს [საჭმლის, კვების გარეშე ადამიანი ვერ აზროვნებს; საჭმელს მეგრულად ჰქვია „ოტკუმაღე“ ე.ი. „ოტკუ(სა) მღე“ (ოტკუ(სა) მოუხდება)], რომ ქართველმა ხალხმა პურის გარდა არაფერზე იფიქროს, რადგან შიმშილის შიშის ქვეშ მყოფნი სულ მცირედს სჯერდებიან, ხოლო შიმშილით**

მომაკედავნი, ლუქმა პურისთვის, ყველაფერს თმობენ ხოლმე. ჩვენი ხელისუფლება კი არ ცდილობდა, რომ საქართველო ეკონომიკურად აღორძინებულყო და მოსახლეობას სული მოეთქვა, პირიქით, მოწოდებული იყო წელში არ გამართულიყო ქართველი ერი. ამ მზაკერულ საქმეში ჩადებულია ყვეერ-მასონურიათა ვერაგული გეგმა, რომელიც მიზნად ისახავს გამოათავყვანოს, მონებად და მართვად რბობად აქციოს მთელი კაცობრიობა, რომლის განხორციელებას (ნებით, თუ უნებლიედ) დიდად უწყობდა ხელს შევარდნამე-სააკაშვილის ხელისუფლება, მაგრამ ამაში ქართველი ერის სახით გადაულახავ ბარიკადებს ხელავენ, და ამიტომაც ყოველნაირად ცდილობდნენ დაეკნინებინათ, მიეჩქმალათ, ტაბუ დაედოთ ქართველი ერის წარმომავლობის საიდუმლოებისა და მისი ჭეშმარიტი ისტორიისათვის. ამიტომაც, რომ უბედურესი კულტურისა და ღვთაებრივი, ლეგენდარული კოლხური-ბერძნული ცივილიზაციის მეშვედრეთა სამშობლოს – საქართველოს განვითარებადი ქვეყნის სტატუსი დაუღვინეს და დაუწესეს, რომ იგი უნდა იყოს მომხმარებელი და არა მწარმოებელი. ამიტომაც, რომ ეკონომიკის აღორძინება და ამ საქმეში საქართველოს მთელი მოსახლეობის ჩაბმა კი არა, იმათ, ვინც თავისით ცდილობდა ეწარმოებინა ეროვნული პროდუქცია, ათასწარი ხრიკებით ხელს უშლიდნენ და ავიწროვებდნენ. მაგრამ ამა ქვეყნის ძლიერთა, როგორც ეტყობათ, სამწუხაროდ, არ ცოდნიათ, რომ ასეთი არასწორი ცხოვრების წესი და პროცესი უაშკევადია.

ვინ იტყვის, მასონებმა ცოტა იციან, მაგრამ მათი საქმენი მეტყველებენ, რომ ისინი ვერ ფლობენ აბსოლუტურ ჭეშმარიტებას და აბსოლუტურად სწორი ცხოვრების წესს, რომელიც კაცობრიობას მოუტანდა საერთო სიკეთეს, თავისუფალ, ბედნიერ და ღვთაებრივ ცხოვრებას. ამიტომაც დააღებენ მცდარ გზას, კაცობრიობის უდიდესი უმრავლესობის გამოთავყვანების, აზროვნების ზომბირების გზას, ამიტომაც მაღავენ, ამუხრუჭებენ და საერთოდ სპობენ იმ სიახლეებს, რაც ძილბურანიდან გამოიყვანს უმეცარ საზოგადოებას. ერთადერთი, რაც აბსოლუტურად სწორ გზაზე დააყენებდა ადამიანს და დაუბრუნებდა ბედნიერ ცხოვრებას, ეს ღვთიური კანონზომიერებების სრულყოფილად შეცნობა, და ამ კანონზომიერებებთან ჰარმონიულ თანაცხოვრებაა. ამიტომ დევნიდნენ, კვეთავდნენ თავს, ახრჩობდნენ, აწამებდნენ, კოცონზე წვაგდნენ და ჯვარზე აცმევდნენ მათ, ვინაც შეიცნეს ჭეშმარიტება და ცდილობდნენ თვალი აეხილათ გაუთვითცნობიერებელი კაცობრიობისათვის, რომ გაერკვიათ დედაშიწაზე დამკვიდრებული ჯოჯოხეთური ცხოვრების მიზეზებში და დაებრუნებინათ მიწიერი სამოთხე, – ღვთიური ცხოვრება. ვიმიოვრებ, მასონები, უდავოდ, ბევრ ცოდნას ფლობენ, მაგრამ აბსოლუტურად ჭეშმარიტ ცოდნას არა და არ იციან, რომ მათ მიერ აღებული ცხოვრების მიმართულება კაცობრიობას გარდაუვალ დაღუპვას უმზადებს.

ბუნებრივია, ძალად მოსული შევარდნაძის ხელისუფლებისა და უარესი შეცვლილი სააკაშვილის ხელისუფლების მდიდარმა და ძლიერმა ნაწილმა ვერ შეისმინა ჩემი შეგონება – ვედრება.

ამიტომ, ისევ მოგმართავთ ამა ქვეყნის ძლიერნი, გონს მოდიეთ, ქართველი ერის აზროვნების გენიას, რომელსაც ძალუქს არამარტო საქართველოს, არამედ მთელი კაცობრიობის ხსნაც, აუხსენით უმეცრებით დადებული ბორკილები, ნუ გადაუტეხავთ სამოქმედო გზებს, ნუ გგონიათ, საქართველოს დაღუპვის შემდეგ, თქვენსავით მოაზროვნე და კაცობრიობის უკუღმართად მმართველმა ძალებმა გულში ჩაგვიტრან და ბედნიერად გაცხოვრონ. ამას მაღაპარაკებს ძლიერთა გაუმაძღრობითა და არასწორი ცხოვრების წესით მოსალოდნელი დაღუპვის საშიშროება, თორემ პირადად ჩემთვის სულერთია, მე ისედაც მალე წავალ ამ ქვეყნიდან და ჭირისუფალთ ნუ დაუთმობთ, თუ არ შეგაწუხებენ, ჩემი ცხედარი ხეზე დაკიდეთ!

კუპური ვიფიია, „ფაზისისა“ და „აიას“ საეროსამეცნიერო აკადემიების წევრი

სამეგრელოს ღირსეული შვილები

ჩვენი გაზეთის 224-ე ნომერში მკითხველებს დავპირდით, რომ გამოვაქვეყნებდით მასალებს მწერალ ემზარ კეიტაიშვილის წიგნიდან, რომელიც ეძღვნება სამეგრელოს ღირსეულ შვილებს, ტრაგიკული ბედის მქონე მამულიშვილებს გვანჯი ჩიქოვანსა და მუშნი დადიანს. ვასრულებთ დაპირებას და ვიწყებთ ამ ჭეშმარიტად დიდი ადამიანების ბიოგრაფიების ბეჭდვას.

(ჩაწერილია ექიმ დავით კეიტაიშვილის მიერ თბილისის მეორე კოლონიაში, ორთაჭალაში, 1948 წელს)

ბიპაჩიშის – ბიდ ემხვარის – სიკვდილი და ჩემი ბაციმბირება

თავდაპირველად სასტიკად ვიტანჯებოდი, ვერაფრით ვერ შეგვეუბნო ბორკილებს. თუმცა ადამიანი, მით უმეტეს ახალგაზრდა, ყოველგვარ ჭირ-ვარამს ეუბება და მალე მივეჩვიე ჩემს ბედსა და მდგომარეობას. რამდენიმე ხნის შემდეგ თვრამ-ეტი კატორღელი ბორკილების ჩხარუნით გამოგვიყვანეს დერეფანში და საეტაპო საკანში შეგვიყვანეს. ჩვიდმეტი ქართველი ვიყავით, ერთი რუსი კრავალი გვერია, გვარად გოლდბერგი – გამოუსწორებელი ქურდი, მაგრამ გასაოცრად ენამახვილი კაცი და, ამავე დროს, საკმაოდ განვითარებული, ნაკითხი. შემოდგომის გრილი დღე იყო. დილით გაიღო კარები და გამოგვიცხადეს – წასასვლელად მოემზადეთო. ტანში ცივმა ჟრუანტელმა დაშიარა. სამუდამოდ ვშორდებოდი ჩვენს საყვარელ სამშობლოს, მაგრამ ყველანი ერთმანეთს ვაიმედებდით, გულს ვუმაგრებდით. გულმოდგინედ, დაწვრილებით გაგვხსნიკეს. მე მქონდა ნემსი და ძაფი. ოფიცერმა წამართვა და ტალახში გადამიღო. ვთხოვე, ნემსი თუ არა, ძაფი მაინც დაებრუნებინა. მან უხეშად დამიყვია, ხმა ჩაიწყვიტე, თქვენ კატორღელები ხართ და არაფერი არ გაქუთვნიოთო. ეს პირველი შეურაცხყოფა იყო, რაც დაპატიმრების შემდეგ განვიცადე. გული ბოლმით ამევსო, ცრემლები ძლივს შევიკავე. მინდოდა სათანადო პასუხი გამეცა, მაგრამ გამახსენდა რუსთაველის ბრძნულად ნათქვამი – საცა არა აჯობს, გაცლა სჯობს კარგისა მამაცის-ჯაან... და გავეჩერდი. ამ დროს ებრაელმა კატორღელმა გოლდბერგმა ხელი წამკრა და როცა მისკენ მივბრუნდი, ყურში ჩამქურჩულა: დაწყნარდი, ნუ დღავ, ჩემო კარგო. ეგ ოხერი მალე მოვა შენთან შესახვეწნადო. მე გაოცებულმა ვკითხე, ჩემთან შესახვეწნი მაგას რა ექნება-მეთქი. გოლდბერგმა ჩაიცინა და მითხრა, შენ რომ ნემსი და ძაფი წაგართვა, მე მას ჯიბიდან ამოვაცადე რვეოლვერ, რომელიც უკვე ციხეში შევზავნე, ამას სულ მალე გაიგებს და მერე ნახავთ მაგის სეირსო. ოფიცერი განაგრძობდა ჩხრეკას, ყვიროდა, ილანძლებოდა, იგინებოდა, უხეშად ეპყრობოდა პატიმრებს. უცებ შეერთა და ჩხრეკა შეწყვიტა. საქციელწამხდარმა, მთლად გაფითრებულმა ჯიბეზე ხელის ფათური დაიწყო, სიმწრის ოფლი ასხამდა. მერე ჩემსკენ გამოიხედა, პირდაპირ მომვარდა, ხმის კანკალით მითხრა – შენ, გეტყობა, კარგი ახალგაზრდა ხარ, კარგი ოჯახის შვილი, ვიღაცამ რვეოლვერ ამომაცალა, შენ ეს გეცოდინება ან მონაწილე იქნები, მითხარი, ნუ დაიდებ ჩემს ცოდვას, ნუ დამღუპავო. მე ცივად და ამაყად ვუპასუხე – თუკი იცოდა, რომ კარგი ახალგაზრდა ვარ და კარგი ოჯახის შვილი, ისე უსინდისოდ არ უნდა მომქცეოდი და არ უნდა დაგეჩაგრეთო. შენს რვეოლვერს რაც შეეხება, მე იმის ამოცლის მონაწილე არ ვარ, მხოლოდ ის ვიცი, რომ ეს ჩემი შეურაცხყოფის გამო გაგიკეთეს და ახლა შენი რვეოლვერი ციხეშია შეგზავნილი და მალე პასუხსაც აგებ, ჩვენს გზას გამოყვები-თქო. გამშრალი და გაფითრებული ციხეში შევარდა რვეოლვერის საძებნელად. ჩვენ ჩაგვაბარეს მცველებს, რომელთაც უნტერ-ოფიცერი მეთაურობდა და ვაგონში ჩასაჯომად ქუთაისის სადგურზე გაგვიყვანეს. ცოტა ხნის მერე წერილი გამოგვიგზავნეს ამხანაგებმა, შეგვაცემინეს, რომ იმ ოფიცრის რვეოლვერი ციხის საპირფარეშოში ენახათ გატეხილი, თვითონ კი პაუპტეხტში ჩაესვათ. ამ ამბავმა ყველანი გაგვახარა. ქუთაისის სადგურზე აუარებელი ხალხი იყო.

სიბრალეულით შემოგვცქეროდნენ და გვამხსენებდნენ. უამრავი საჩუქარი გადმოგვცეს მეც და სხვებსაც. დაიძრა მატარებელი და ჩაგვიყვანეს ბათუმში. სადგურზე აუარება ხალხი გვიყურებდა. ვაგონიდან ჩასულს მომესმა ხმები: აი, ის მაღალი ახალგაზრდაა გვანჯი ჩიქოვანი... რამდენიმე ქალმა მომაძახა, მაგრამ იყავით, გვანჯი! ჩვენ ნატალია კირთაძის მეგობრები ვართ და რითაც შევძლებთ, დაგეხმარებითო. ნატალიას სხენებამ გამამახსენა და გული გამიხარა. შეგვიყვანეს ბათუმის ციხეში. მეორე დილით, ადრე, ციხის კარებს ამხანაგებთან ერთად მოადგა ნატალია და მშვენიერი ხელით საუზმე მოგვიტანეს. ისევ გათენდა თუ არა, ყველანი ბათუმის ნავსადგურში წავგიყვანეს და გემზე გამცილებლებს გადაგვაბარეს. იქაც, გემის ბაქანზე, ამოვიდა ნატალია კირთაძე თავის ამხანაგებთან – მოწინავე მუშები ახლდნენ – მოგვიტანეს უამრავი სურსათი, მე კიდევ ცალკე – საჩუქრები. ის სურსათი თვრამეტე კაცს მოსკოვამდე გვეყო. ნატალია ძლიერ დედად და ცრემლებს ვერ იკავებდა, მეხვეოდა და მამხსენებდა, გამოთხოვების დროს მგრძნობიარედ გადამოკცნა და მითხრა, ნუ გეშინია, ჩემო გვანჯი, მალე რვეოლვერის ქარიშხალი დაიქროლებს და შენს ბორკილებს დაღუწავსო. გემი დაიძრა. ნატალია და მისი ამხანაგები დიდხანს თვალცრემლიანები გვიქნევდნენ ხელს და პაეროვან კოცნას

საეტაპო საკანში შეგვიყვანეს. საკანში ყველას უცნაურად ყვითელი ფერი ედო, რადგან ფანჯრებში მწვანე მინები ჩაესვათ. ეს გარემოება რადაცინაირ შიშის ზარს სცემდა იქ შესულ პატიმარს, რაგინდ ვაუკაციც უნდა ყოფილიყო. სასწრაფოდ გაგვეხადეს საკუთარი ტანსაცმელი და ყველას ჩაგვაცვეს უცნაური შარვალ-ხალათი და ძველი ჩუსტები. მე გალიაში გამოკეტილი უცხო ფრინველივით ვიყავი დაბნეული. არ ვიცოდი, რა მექნა. გავიხედე და კრებთან დგას ის კაპიტანი, რომელმაც პატივი მცა და გვერდით მდგომ ხნიერ პოლკოვნიკს ელაპარაკება. მე მივედი მასთან, შემომხედა, შემატყო რისი თქმაც მინდოდა, რაღაც ჩუმად გადაულაპარაკა პოლკოვნიკს და იმ წუთასვე გასცეს ბრძანება – ჩვენ, თვრამეტევეს, ისევ გაგვხადეს ციხის ტანსაცმელი და საკუთარი დაგვიბრუნეს. ამის მერე მალე აგვიყვანეს მეორე სართულზე და ე.წ. “ტუზენი” საკანში მოგვათავსეს. მოსკოვის ციხეში დაყვავით ოთხი თვე, რის შემდეგაც, კატორღაში გასაგზავნად, საქემო კომისია დაინიშნა. ყველას ემინოდა სახალინზე გაგზავნისა, რადგან რუსეთის იმპერიის კატორღათა შორის იგი ყველაზე შემზარადი და დამღუპველი იყო. კომისია მუშაობას შეუდგა. ყველანი ველავთ, გული გამალებით გვიცემს. ბოლოს მოაღწია ჩემმა ჯერმაც, საკომისო დარბაზში ვიღაცამ შეირიდან დაიძახა: **На Сахалин!** ამ სიტყვის გაგონებამ თავზარი დამცა. ისე

დავუსახელე ჩემი გვარი. იგი ისევ გამომეხმაურა, რომელი ჩიქოვანი ხარ, გვანჯი თუ სხვაო? მე გამამხსენა და გამახარა ჩემი სახელის სხენებამ უცხო მხარეში და ისიც კატორღაში. ახლოს მივედი კარებთან და ისევ გავეცი პასუხი, ჩემი ვინაობა დავეუბნებო. ამის შემდეგ ხელად გააღეს კარი და შემოვიდა ხუთი თუ ექვსი კაცი, ქართველები. პირველი მათგანი, ვინც გამომეცნაურა, იყო მალხაზ ჩაჩიბაია. იგი გაცნობილი მეყვდა ქუთაისის ციხეში, ჩემამდე ერთი წლით ადრე გადაასახლეს და მაშინ დავეშორდით ერთმანეთს. მალხაზი გადამეხვია და გამამხსენა. შემდეგ მომიხლოვდა კეთილი სახის ჭაღარა კაცი და მითხრა, მე, ბიძია, მელიტონ ჩხეტია ვარ და ზუგდიდიდან მახსოვხარ, იქ ათი-თორმეტი წლის ბავშვი დაგტოვეო. გამომკითხა ყველაფერი ჩვენი ოჯახისა და საერთო ამბებიც. ეს მელიტონ ჩხეტია უკვე კარგა ხნის გადმოსახლებული იყო, მისჯილი ჰქონდა სამუდამო კატორღა. ჩემი ამბავი ჩემს ჩასვლამდე გაეგო მალხაზს, მელიტონს და სხვა ქართველ პატიმრებსაც. ამათ გარდა, მახსოვს კიდევ მაკალათია, თბილისელი ამილახვარი და სომეხი ხუშუტ ოვანესიანი – სომეხ-თათართა შეტაკების მონაწილე, მთელ კატორღაში “ყაჩად ხუშუტის” სახელით ცნობილი. მეტად კარგი ვაჟკაცი იყო, პატიმრები დიდ პატივს სცემდნენ. როგორც მითხრეს, იმ ხოცვა-ჟლეტვის დროს მაგრად უბრძოლია თათრების წინააღმდეგ, ბლომად დაუღვრია მტრის სისხლი.

გული რომ ვიჯერეთ საუბრით, ამის მერე მელიტონმა და მალხაზმა სხვებთან ერთად შემოიტანეს საჭმელი – პური, ძეხვი, ყველი, “ვიინა”, გაშალეს პატიმრული სუფრა და შევექცით ვახშამს, ერთმანეთს გულისტკივილს ვუზიარებდით. მელიტონი და მლხაზი ყველას გვამხსენებდნენ და მათი ლაპარაკი ჩემს ახალგაზრდულ გულს სიმხნეს და ნებისყოფას მატებდა. ვახშმის შემდეგ ისინი წავიდნენ და ჩვენც წამოვეწვიით დასაძინებლად, რადგან ნამეტანი დაქანცულები ვიყავით. ვიძინე იმ დამით და დილას, როდესაც სარკმელში სინათლის შექმა შემოანათა, კარებთან მოიხსია ზეღამხედველის უსიამოვნო ხმა: აბა, ადგით და მოემზადეთ სამუშაოდ! მე წამოვდექი, გადავხედე თადა ხარნილავას და ჩავბახე: აბა, ჩქარა ავდგეთ და გავყვეთ სამუშაოდ, სადაც გვინებებენ. ამ დროს გაისმა საკნის მამასახლისის (სტაროსტას) ხმა: თქვენ, როგორც ახლად-ჩამოსულები და დადლილები, ორ კვირას დაისვენეთო. ამ ცნობამ ძლიერ გაგვახარა მე და ჩემი ყველა ამხანაგი, რადგანაც ფიზიკურად და სულიერადაც მეტისმეტად მოქანცულები და მოღუნებული ვიყავით.

დასვენების შემდეგ გავედით ეზოში, სადაც საეატრო ფარდული იყო გამართული. ფარდულში ვიყიდე ორასი კოლოფი “**მახორკა**” და ჩვენი საკნის ორასივე პატიმარს ჩამოვურივე. ამ უბრალო, მაგრამ გულითადად საჩუქარმა ყველანი უზომოდ გაახარა; ხელად შემითვისეს. ჩემთან ყველას გულთბილი, მამაშვილური და ძმური დამოკიდებულება ჰქონდა. მალე მიველი კატორღის პატიმრები გავიცანი. იმხანად ალექსანდროვის კატორღაში სამი ათას ხუთასი ბორკილდავებული პატიმარი იმყოფებოდა. გულშემზარავი სანახავი იყო, როდესაც დილით კარები იღებოდა და ასეულობით პატიმარი ბორკილების რაზმარუნებით კატორღულ სამუშაოზე მიჰყავდათ.

(გაგრძელება იქნება)

ცხოვრება გვანჯი ჩიქოვანისა

გვიგზავნიდნენ, გვემშვიდობებოდნენ.

ჩავედით ნოვოროსიისკის ნავსადგურში, სასწრაფოდ გადაგვიყვანეს ციხეში. ციხის უფროსი მეტად უხეში გამოდგა. საშინელი ლანძღვა-გინებით შეგვეყარეს საკარანტინო საკანში, მოგვაწოდეს საძაგელი საჭმელი და ძველი პური. ჩვენ ავტეხეთ ხმაური და სასწრაფოდ მოვითხოვეთ პროკურორი. პროკურორი მალე მოვიდა და ჩვენ მოვახსენეთ ჩვენი უკმაყოფილება, ლანძღვა-გინების და ცუდად მოპყრობის გამო. მან დაუყოვნებლივ გამოიძახა ციხის უფროსი და უთხრა – ესენი ქართველები არიან, გინებას და უხეშობას არ მოითმენენ და საჭიროა თავაზიანად მოეპყროთ და კარგად კვებოთო. მერე ჩვენ მოგვიბრუნდა და გვითხრა – ბიჭებო, მე თქვენი მეზობელი სომეხი კაცი ვარ და ნუ გეშინიათ, უკანონოდ თქვენს თავს არავის დაგაჩნავსო. ჩვენ მას მადლობა ვუთხარით. ამის შემდეგ ნოვოროსიისკის ციხეში სამ დღეს დავჩრით და უნდა ვთქვა, რომ ციხის უფროსი და დანარჩენი მოხელეებიც თავაზიანად გვეპყრობოდნენ, კარგადაც გვაკვებდნენ. მეოთხე დღეს გაგვამგზავრეს როსტოვის ციხეში. როსტოვის ციხეში დიდი უწყსრიობა იყო. იქ ბლომად ისხდნენ თაღლითები და რეციდივისტები, მაგრამ ჩვენ ვერაფრის ვგებოდავდნენ. მეხუთე დღეს ჩაგვიბარა მოსკოვის საეტაპო მცველთა რაზმმა. გამოგვიყვანეს ციხის ეზოში, რათა გაეჩხრიკათ ჩვენი პირადი ნივთები აქწვრათ ჩვენი პირადი საკუთრება და იქვე გავგვებინებდნენ ანექტას. გამოყოფილი იყო საგანგებო კომისია, თორმეტი კაცი. ჩემი რიგი როცა მოვიდა, თვითონ კომისიის თავმჯდომარემ, რუსმა კაპიტანმა შემისო ანექტა, მერე მიუბრუნდა სალდათს და უბრძანა – გამოართვი ნივთები, დათვალე, ადრე და ვაგონში აუტანეო. მე გამაოცა ამ კაპიტნის ასეთმა კეთილშობილურმა მოპყრობამ. ამის შემდეგ მალე გაგვიყვანეს სადგურში და ჩაგვსვეს ჩვენთვის განკუთვნილ საეტაპო ვაგონში. ვიჯექით დაღონებულები და ვმღეროდით მწუხარებით სავეს მელიდორე ხალხურ სიმღერას “**ავაგას**”. გზაში მცველები თავაზიანად გვეპყრობოდნენ და სივარტეს გვაწოდებდნენ. ჩავადრეით მოსკოვში. მოვლივართ ქუჩებში, ბორკილებს მოვანახარუნებთ. ხალხი ფანჯრებს მიდგომია და სიბრალეულით გვიყურებს. გზადაგზა მცველების საშუალებით საჭმელებსა და საჩუქრებსაც გვაწოდებენ. მიგვიყვანეს უზარმაზარ ციხეში და დიდ

გამსინჯეს, რომ არ მახსოვს, ვინ რას ამბობდა. წამოვედი და დავდექი კარებთან. ძლიერ ველავ, მინდა ისევ შევიდე და ვთხოვო კომისიას, შემიცვალონ სახალინი. ამ დროს იღება კარები და ისევ მეჩახის კომისია. შევდივარ აღელვებული და კომისიის უფროსი მეუბნება – დამშვიდდი, ნუ დღავ, კავასიელი, შენ გაგამწყესე ალექსანდროვის კატორღაში. ამან უსაზღვროდ გამახარა, რადგან ალექსანდროვის კატორღას ყველა აქებდა. მე მადლობა გადავუხადე კომისიას და გამოვედი. მეორე დღეს დავემშვიდობე ამხანაგებს. მათ შორის კარგად მახსოვდა ალმახანს და სიმონ ბუზადაძეები, სვანი ფილიპე შარვაშიძე, გოლდბერგი... ჩემთან ერთად ალექსანდროვკაში გაგზავნეს მხოლოდ ერთი ქართველი, მოხუცი კაცი, თადა ხარ-მილავა; მოსკოვის ქუჩებში ხალხი კვლავ გაუფაცოცებით გვიყურებდა, ქალები ნაირ-ნაირ საჩუქრებს გვაწვდიდნენ; მხლებელი ფელდფეხელი ართმევდა მათ ამ საჩუქრებს და ყველას გვინაწილებდა. მიგვიყვანეს სადგურში და ჩაგვსვეს ციმბირის მატარებელში. ეს იყო 1903 წლის პირველი იანვარი. გზაში რამდენიმე დღე შეჩერდით კრასნოიარსკში, სამარაში, ბოლოს ჩავედით სოფელ უსოიაში და ზამთრის საშინელ სიცივეში ოცდარი ვერსი ვიარეთ ფეხით და 19 იანვარს, სასტიკად დაქანცულებმა ჩავადრეით ალექსანდროვის უზარმაზარ ციხეში, სადაც უნდა მომეხალა 4 წლის კატორღა.

ალექსანდროვის ციხეში მოვინის ამერილი

იქაური ციხის უფროსის მოადგილის, კულაკოვის განკარგულებით გაგვხადეს საზამთრო ტანსაცმელი, რომელიც ყინვისაგან გახეშეშებული იყო. ჩავიცვით საკუთარი ტანისამოსი და შეგვიყვანეს ვეებერთელა საკანში, სადაც ორასამდე კაცი დაგვხვდა. საკანი საკმაოდ ნათელი ჩანდა, არც სისუფთავის მხრივ იყო სასაყვედურო, მხოლოდ თვალში გეცემოდათ პატიმართა დაღვრემილი, მეღან-ქოლიური სახეები. სხვადასხვა ასაკისანი იყვნენ, ახალგაზრდებიც, მოხუცებიც; სასჯელის ვადაც სხვადასხვა ჰქონდათ. მე ჯერ გამორკვეული არ ვიყავი მგზავრობის ბურანიდან, მაგონებოდა მხოლოდ სამშობლო და ჩემიანები. მიწმედა პატიმართა ხმაური. უცებ გადაიწია საკნის კარის საჭერეტელი (“**ვალროკი**”) და ვიღაცამ შემოიძახა: **Кто здесь из Куйтйсской губернии?** მე გავეცი პასუხი და



მეგრული ენის, სხვა ქართველური ენების, სხვადასხვა ენის ასაკისა და გენეტიკური კავშირურობის შესახებ

არანაკლებ საინტერესოა შემდეგი გარემოება: კოლხები, ისევე როგორც სვანები და საკუთრივ ქართველები, იაფგეტოიდები ანუ ნოეს უმცროსი შვილის იაფგეტის შთამომავლები არიან. მაგრამ, ნოეს შვილები, თანაც უფროსი შვილები, ხომ, სემი და ქამიც არიან? მაშ, რატომ არ ამბობენ პლატონი და სხვები, რომ სემიტები, ქამიტები და იაფგეტოიდები ატლანტიდებიდან გადმოსახლებული ხალხები არიანო? როგორ უნდა აეხსნათ ეს გარემოება? ამ კითხვებზე ზუსტ პასუხს, ცხადია, აქ ვერ გავცემთ. ამასთან, აღნიშნულთან დაკავშირებით უპირაინა გავიხსენოთ შემდეგი ფაქტი:

დედამიწის შემსწავლელი მეცნიერების ერთი ნაწილი ვარაუდობს და ამტკიცებს კიდევ, რომ მილიონობით წლის წინ დედამიწაზე ცალკეული კონტინენტები არ არსებობდა. იყო, ერთიანობაში წარმოდგენილი, უზარმაზარი ხმელეთი და მის გარშემო არსებული ოკეანეთი. შემდგომში მოხდა ხმელეთის დანაწევრება, ერთმანეთისაგან დაშორება და ცალკეული კონტინენტების შექმნა, და, რომ დედამიწა შედგება 6 დიდი ბლოკისაგან, რომლებიც ნელ-ნელა, მაგრამ მძინკ მუდმივ მოძრაობა-გადაადგილებაში იმყოფებიან. თუ ეს პიპოთეზა სწორია, დედამიწაზე ადამიანის განსახლება-განფენის საკითხის შესწავლისას, მისი გათვალისწინება უთუოდ აუცილებელია. ამჯერად საჭიროა გავახანალოთ მეცნიერებაში დამკვიდრებული შემდეგი შეხედულებანი:

ნიკო მარი თვლიდა, რომ თავდაპირველად ადამიანი არ ფლობდა ბგერით მეტყველებას. მისი აზრით, პირველად იგი ამტკიცებდა ექსტ-მიმიკებით; უფრო პერიოდში მრავალჯერ უფრო ხანგრძლივი იყო, ვიდრე ექსტ-მიმიკით ანუ ხელის ენით მეტყველების (იგივე კინეტიკური ენის) პერიოდი. მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების შესხედულებით კი, ადამიანმა ითავიდანვე დაიწყო ბგერითი მეტყველება და მას არავითარი ექსტ-მიმიკის ენა წინ არ უძღოდა.

ახლა იყო თუ ისე, ერთი რამ ცხადია: იმ დონემდე რომ განვითარებულიყო ჯერ კიდევ ენაუფლებელი პირველყოფილი ადამიანის სახმოსნო ორგანოები, რომ ბუნებაში მოცემული ბგერებისადმი ხმაშიაბაძვის საფუძველზე გარდაქმნილიყვნენ სამეტყველო ორგანოებად, ანუ ადამიანს განვითარებოდა საარტიკულაციო ბაზისი ანუ საწარმოთქმო ჩვევა, უდავოდ ასეულობით ათასი წელი იქნებოდა საჭირო.

აქამდე, როცა ადამიანის ასაკს დაახლოებით ერთი მილიონი წლით საზღვრავდნენ, მორგანისა და ენგელსის მონაცემებით, „წინარეკლასობრივი საზოგადოების ისტორია იწყება 500 000 წლებიდან „პირველი“ ადამიანის – სინ-ანთროპის წარმოშობით, როდესაც პირველად ჩნდება ქვის უმარტივესი იარაღები, და დაახლოებით გრძელდება – თუ ბარბაროსობის ზედა საფეხურიდან ცივილიზაციისაკენ გარდამავალ პერიოდს მას მიეკუთვნება – ძველი წელთაღრიცხვის 4000-იან წლებამდე. ამ ხანებში კი უძველეს ქვეყნებში – ეგვიპტესა და ბაბილონში იწყება ცივილიზაციის ეპოქა და მეკიდრდება კლასობრივი საზოგადოება ყველა თავისი ძირითადი ატრიბუტით: მონოგამიური ოჯახით, კერძო საკუთრებით, კლასებითა და სახელმწიფოთი“. (მ. ალექსიშვილი, აი რას ამბობს ისტორია, თბ., 1953, გვ. 108). „ნ. მარის მოწაფე ი. მეშჩანინოვი კი ბაქოში წაკითხულ თავის მოხსენებაში „იაფგეტოიდოლოგია და მარქსიზმი“, ადამიანის მიერ პირველი ქვის იარაღების გაკეთებას ათარიღებს დაახლოებით 360 000 წლებით და წერს: „იარაღების დამზადების შემდეგ ადამიანის 360 000 წლის სიგრძის არსებობიდან ხშიერი ენით მოლაპარაკე ადამიანს მხოლოდ 60 000 წელი მოუდისო“ (იქვე, გვ. 110).

ცხადია, არც ერთი ზემოთ დასახელებული ავტორისათვის მაშინ ცნობილი არ იყო, რომ ენის წარმოშობის საფუძველს წარმოადგენს ბუნებითობა, კერძოდ, ხმაბაძვითობა. მეტიც, ხმაბაძვითობის თეორია იმ დროისათვის საერთოდ უარყოფილი იყო. აი, რას ამბობდა კარლ მარქსი მის შესახებ: „რომელმე ნითვის სახელწოდებას არაფერი აქვს საერთო მის ბუნებასთან. მე სრულებით არაფერი ვიცი ამა თუ იმ ადამიანზე, თუ მხოლოდ ის ვიცი, რომ მას იაკობი აქვია“ (კ. მარქსი, კაპიტალი, I, 1936, გვ. 59). ის, უთუოდ, იგივეს არ იტყოდა ხმაბაძვითი სახელების (სიტყვების,

მაგალითად: ბაყაყი, გუგული, ზუზუნი და სხვა) შესახებ, მაგრამ რადგანაც მისი ასეთი გამოხატულება არსებობდა, მსოფლიო მასშტაბით ისედაც უარყოფილი და ტაბუდადებული ხმაბაძვითობის თეორია ყოფილ საბჭოთა (მთლიანად სოციალისტურ) სივრცეში ლამის კანონგარეშე იყო გამოცხადებული.

როგორც ზემოთ ითქვა ხმაბაძვითობის საფუძველზე ადამიანის სახმოსნო ორგანოების სამეტყველო ორგანოებად გარდაქმნა-ჩამოყალიბებამდე, რის გარეშე შეუძლებელი იყო საწარმოთქმო ჩვევის ანუ საარტიკულაციო ბაზისის განვითარება, საჭირო იქნებოდა არა მხოლოდ 60 000 წელი, არამედ ასობით ათასი წელი.

ბოლოდროინდელმა არქეოლოგიურმა აღმოჩენამ „ზეზვასა“ და „მზიას“ ჩონჩხების სახით, მათი ასაკის დადგენით სწორედ ის გვიჩვენა, რომ ადამიანის ასაკი დედამიწაზე დაახლოებით 2 მილიონ წელს ითვლის.

ადამიანი კი, უდავოა, ეს არის მეტყველი, მოაზროვნე და გონიერი არსება.

აი, რა გვაძლევს, ჩვენ, საფუძველს აქ წარმოდგენილი მოსაზრებებისა და დასკვნებისათვის.

რაც შეეხება საკითხს ექსტ-მიმიკის ენის პირველადობა-არაპირველადობის შესახებ, დაკვირვება გვიჩვენებს, რომ მას იყენებენ არა მხოლოდ ადამიანები (მათ შორის არა მხოლოდ ყრუ-მუნჯები), არამედ ცხოველებიც. ასე, მაგალითად, ექსტ-მიმიკაა ის, რომ, ვთქვათ, ობობა (რომლის ასაკი მრავალჯერ უფრო მეტია ადამიანის ასაკზე) აიფოფრება რაიმე საშიშროების შეგრძნებისას, რომ კატა აიფოფრება და დაიჯდვალვებს კიდევ ძაღლის დანახვისას და ა. შ.

ამიტომაც, უთუოა, რომ ექსტ-მიმიკა დამახასიათებელი იყო ადამიანისთვის ჯერ კიდევ მისი დანაწევრებული ბგერებით ამტკიცებულამდე, რაც საგნის (სხვა მონაცემის) სახელდგებასა და ენის წარმოშობაში გამოიხატა. ეს პროცესი კი, თავისთავად ცხადია, ერთდროულად არ მომხდარა. მას უდავოდ, მრავალი ათასი წელი დასჭირდებოდა. ექსტ-მიმიკის გამოყენება თანამდევნი მოვლენაა თანამედროვე განვითარებული ენებისთვისაც.

დავუბრუნდეთ ქართველური ენების ასაკისა და გენეტიკური ურთიერთდამოკიდებულების საკითხს. ევოლუციონი, ზემოთ ჩვენ საკმაოდ დამაჯერებელი საბუთ-მტკიცებულებანი წარმოვადგინეთ იმის შესახებ, რომ მეგრული, იგივე კოლხური ენა უშუალო გაგრძელება იაფგეტური ენისა და, იგი, თავისი მონაცემების მიხედვით, გვევლინება როგორც ადამიანური ენა, ადამიანის ენა.

ასევე დამაჯერებლად წარმოვანინეთ, რომ, საერთოდ ქართველური ენები – მეგრული, ლაზური (ჭანური), სვანური და საკუთრივ ქართული (ქართლური) – წარმომავლობენ წინარექართული, იგივე პროტოქართული, პრექართული თუ იაფგეტური (სულერთია, მას რასაც ვუწოდებთ) ენიდან.

ეს ენა ნიშნავს, რომ ამ ენებიდან არც ერთი არ არის სხვა რომელიმე მათგანიდან წარმოშობილი ენა, მით უმეტეს, – დიალექტი. ისინი, ცალ-ცალკე დამოუკიდებელი ენებია; მათ, სათითაოდ, გააჩნიათ თავ-თავიანი დიალექტები ანუ კილოები (ეს დეტალურად მოცემულია ჩვენს ნაშრომებში, განსაკუთრებით, შეიღრმეშულიში).

მეგრული, ლაზური (ჭანური), სვანური და საკუთრივ ქართული ენები, თავის დროზე, წარმოიშვნენ რა იაფგეტური ენიდან, როგორც ასეთ შემთხვევაში საერთოდ ხდება, იაფგეტური ენა გაქრა, გავიდა არენიდან. ამასთან, მეგრული და ლაზური, ადრე, ერთობლიობაში შეადგენდნენ ერთ ენას – კოლხურ ენას, ანუ, ცალ-ცალკე შეადგენდნენ მის დიალექტებს, მაგრამ ესინიც იქცნენ ცალკე დამოუკიდებელ ენებად, ისე, რომ აქამდე შეინარჩუნეს კოლხურის მთელი რიგი საერთო ნიშან-თვისებები.

თქმა არ უნდა: მეგრული, ლაზური და სვანური ენები ქართული (საკუთრივ ქართული ანუ ქართლური, და, გნებავთ, საერთო ქართული) ენისგან რომ იყვნენ წარმოშობილნი, ქართული ენა უკვე აღარ იქნებოდა, ანუ, აქამდე იქცეოდა მეგდარ ენად. უკანასკნელ პერიოდში, ცალკეული მეგდარები გამოთქვამენ სხვა-დასხვაგვარ მოსაზრებებს ცნებების კოლხეთი და იბერია (შესაბამისად: კოლხები და იბერიელები ანდა ივერიელები) შესახებ. ზოგიერთები თვლიან, რომ ძველად, ყოველ შემთხვევაში,

გარკვეულ პერიოდებში მაინც, სახელწოდებები კოლხეთი და იბერია მოიცავდა (მსჭავლადა) სრულიად საქართველოს. შეინიშნება ერთგვარი ცდაც (სპეკულირება) ამ სახელწოდებების ქვეშ ნაგულისხმევი ცალკეული ფასეულობების აღმოსაგლეყოელი თუ დასაგლეყოელი ქართველებისადმი მიკუთვნება-არმიკუთვნების თვალსაზრისით.

ასეთი მოსაზრებანი, გარკვეულ პიროვნულ მისწრაფებებს რომ ემყარებიან, ჩვენის აზრით, საფუძველიანდება შემდეგი გარემოებით:

ძველ ლიტერატურულ წყაროებში, სადაც დასახელებულია დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე განსახლებული ქართველური ტომები, არსად ჩანან ქართველები ანუ საკუთრივ ქართველები. ამიტომაც, რიგი ავტორებისა ხშირად გაცდებან გამოთქვამენ იმის გამო, თუ საიდან და როგორ გამოჩნდნენ, ასე უცბად, ქართლის ტერიტორიაზე ისინი.

სინამდვილეში, არც ერთ ძველ წყაროში, არც ერთ ავტორთან არ არის ნათქვამი იმის შესახებ, რომ კოლხები და ქართველები ანუ საკუთრივ ქართველები ერთი და იმავენი იყვნენ, ანუ, ერთი და იმავე ტომობრივი წარმომავლობის ხალხები იყვნენ.

კოლხეთის, – როგორც ძლიერი დამოუკიდებელი სახელმწიფოს – არსებობა, ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვის XVII საუკუნიდან, წყაროებში მრავალგან არის დადასტურებული. ასევე დადასტურებულია კოლხური ენისა და კოლხური თვითმყოფადი კულტურის არსებობა. მისი დეტალურად წარმოდგენა, აქ, შესაძლებელიც რომ იყოს, ჩვენს მიზანს არ შეადგენს, იმდენად, რამდენადაც ეს საყოველთაოდ ცნობილი რეალობაა. ამასთან, ამის შესახებ ძალიან მოკლედ აღვნიშნავთ შემდეგს: რად ღირს მარტო გადმოცემები იმის შესახებ, რომ ამერიკის კონტინენტზე მცხოვრებმა პიაას ტომმა დაშქერლობა 10 000 წლის წინათ ატლანტიდაზე მცხოვრები კოლხებისაგან ისწავლეს (პლატონი), რომ კოლხური სიბრძნის წიგნი „ეგუთი“ დაწერილი იყო 7 000 წლის წინ (ხალხური გადმოცემები), რომ „კოლხებს ოდესღაც დამწერლობა ჰქონდათ“ (პეროლოტი, V ს. ძვ. წ.), რომ „კოლხებს შენახული აქვთ მამათაგან ნაწერი კვირბები, რომელზედაც ირგვლივ მოგზაურთათვის აღნიშნულია ზღვისა და ხმელეთის ყველა გზა და საზღვარი“ (პროკოპიუსი, რომის ისტორია, IV ს. ძვ. წ.), რომ „ფესტოსის დისკოს“ დამწერლობა კოლხურია, კოლხური ოქროდამწერლობის ნიმუშია და მისი ტექსტი არის კოლხური საგალობელი „ნინენა“ (დიდი ღვთის, ანუ დედა ღმერთის) საგალობელი (მ. ძეგში, გ. კვაშილავა), რომ ამ საგალობელს უმღეროდა მარიამ ღვთისმშობელი აკანში მწოდლარე თავის ღვთიურ პირში. მასვე გალობდნენ ძველად საქართველოდან შორს, საბერძნეთში, ათონის მთაზე მოღვაწე ბერები და ნინენას ურთავდნენ მისამღერში ბერძენი მღვდლები (არქიმანდრიტი პორფირი; მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე); რომ „კარტოგრაფიული ხელოვნების გამოგონების პატივ-დიდება კოლხებს ეკუთვნის“ (გ. რიტიკი, რომ IV–VII საუკუნეებში კოლხეთში არსებობდა აკადემია (ფაზისის აკადემია), და სხვა.

ამრიგად, ძველი, ესოდენ დიდმნიშვნელოვანი და თავისთავადი კოლხური კულტურის არსებობის ფაქტი უტყუარია და მისი იგნორირება, უარყოფა არა მხოლოდ აბსურდია, არამედ დანაშაულია ქართველი ერისა და კაცობრიობის წინაშე.

სამწუხაროდ, ისტორიული ქართველების თუ ცალკეული ადამიანების შეგნებული, მიხანმიმართული ძალისხმევის შედეგად, ძველკოლხური კულტურა მიჩქმალულია, იგნორირებულია, უარყოფილია, ბურუსით მოცულია.

სამაგიეროდ, შეძლებისამებრ სრულად არის წარმოჩენილი, – და განდიდებულიც, – საკუთრივ ქართული კულტურა, ქართლური კულტურის მეწინავეობის თვალსაზრისით. ასეთ პირობებში, სხვაზე რომც არაფერი ვთქვათ, ცალკეული „სპეციალისტების“, ფსევდოპატირიტი ადამიანების ძალისხმევით სიკვდილით საფრთხის წინაშეა დაყენებული მეგრული, ლაზური და სვანური ენები; ამგვარი მისწრაფების მქონე კვანძებიერები ყოველნაირად ცდილობენ, რომ ამათ არ ჰქონდეთ ენის სტატუსი, და მაშასადამე, დაცვის ბერკეტები; უბიძგებენ ამ ენებს გაღაშებულსავე.

ასეთ პირობებში, თქმა და მტკიცება იმისა: რომ, არ არსებობდა კოლხეთი,

როგორც ცალკე სახელმწიფო; რომ, არ არსებობდა კოლხური კულტურა, მათ შორის, კოლხური დამწერლობა, კოლხეთის აკადემია, და, არსებობდა მხოლოდ და მხოლოდ საკუთრივ ქართული (ქართლური) კულტურა, სახელმწიფო და ენა, საერთო ქართული ფენომენების სახით, და რომ საერთო ქართულთან და თვით იბერიულთანაც კი კოლხური არაფერი ან თითქმის არაფერი ესაქმებოდეს, – რა მიზნით და ფორმითაც არ უნდა გამოითქვას იგი, – ისტორიული სინამდვილის აბსოლუტურად დამახინჯებაა, ყოველივე კოლხურის იგნორირება-უარყოფა და სხვა არაფერი.

ფაქტიური სინამდვილეა და პირდაპირ უნდა ითქვას: ქართულს – ქართულ კულტურას, ქართულ ენას, ყოველივე ქართულს, რაც ქართლურიდან მომდინარეობს, არც რაიმე ატრიბუტი და არც რაიმე სახით გამოიხეურება აკლია. მას თითქმის ვერაფერს დაამატებ. მაგრამ იგივე არ ითქმის კოლხურ კულტურაზე, კოლხურ (მეგრულ-ლაზურ) ენაზე, ანუ, თანამედროვე მდგომარეობის მიხედვით, მეგრულ და ლაზურ ენებზე, კოლხეთის ისტორიაზე, ყოველივე კოლხურზე, რაც, უდავოა, ისტორიის ქართველების მიერ, და, ადამიანთა გარკვეული ნაწილის შეგნებული თუ შეუგნებელი ძალისხმევითაც ნაცარიმყრილია, ბურუსშია მოქცეული, მიჩქმალულია, იგნორირებულია. მართალია, უკანასკნელ პერიოდში, წინგამხედვარი და კეთილდონიერი ადამიანების ძალისხმევით, დემოკრატიისა და თავისუფლების ნიავის ხელის-შეწყობითაც, კოლხური კულტურა, კოლხეთის ისტორია თანდათან გამდიდრდა ბურუსიდან და გარკვეულწილად იკავებს თავის ადგილს საერთო ქართულ ისტორიაში, საერთო ქართულ კულტურაში, მაგრამ სამწუხაროდ, ჯერაც არიან ადამიანები და ძალები, რომლებიც ამას ხელს უშლიან და ზიანს აყენებენ სრულიად ქართველი ხალხის, ქართველი ერის ჭეშმარიტ ინტერესებს.

პირადი ამბიციებიდან, პირადი განდიდების თუ აღზევების უზრუნველყოფისა და პატრიოტი ადამიანის მანტიის მოსხმის მანკიერი მისწრაფებიდან მომდინარე ყოველი ქმედება, რაც ამავე დროს ვერო-კუთხით ინტერესებს გამოხატავენ, სავსებით შორს არის საერთო ეროვნული ინტერესებისაგან. ამიტომაც, ყოველივე არარსებულზე, არაჭეშმარიტზე, არარეალურზე მოსაზრებების წამოყენება და მათი დამტკიცების ყოველგვარი ცდა, საბოლოო ანგარიშით, არა მხოლოდ არაპერსპექტიულია, არამედ მიუღებელია და დასაგმობიც, – როგორც უვარგისი და საზიანო.

ამჯერად, სხვაზე რომც არაფერი ვთქვათ: ხომ ყველანაირად დასტურდება, რომ არსებობდა წინარექართული, პრე-ქართულ, პროტოქართული, იგივე იაფგეტური ენა, და მისგან არიან წარმოშობილნი კოლხური, სვანური და საკუთრივ ქართული (ქართლური) ენები, იგივე, – თანამედროვე ქართველური ენები: მეგრული, ლაზური (ჭანური), სვანური და ქართული ენები?

რა! განა საკმარისი არ არის ის ფაქტი, რომ მეგრული, ლაზური (ჭანური), სვანური და საკუთრივ ქართული (ქართლური) ენები მძა ენები არიან, რომ ამ ენების მატარებელი ხალხები – მეგრელები, ლაზები, სვანები და საკუთრივ ქართველები მძები არიან?!

განა საჭკვოა, რომ, ის, რაც კოლხურია, რაც მეგრულია ან ლაზურია და რაც სვანურია ანდა საკუთრივ ქართულია (ქართლურია), ამავე დროს საერთო ქართულია, მოკლედ, – ქართულია?!

მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამის გამო არ ვცნობდეთ, და მეტიც, – უარყოფდეთ კოლხურ, სვანურ და საკუთრივ ქართულ (ქართლურ) კულტურებს საერთო ქართულ კულტურაში, ანუ ქართველურ კულტურათა ერთიან სივრცეში. ასეთის დაშვება, რა გასაკვირია, მიუღებელია, – შეუ-რაცსმყოფელიც კი, – ამ კულტურების მფლობელი ხალხებისათვის; იგი, როგორც ითქვა, არა თუ ხელს არ უწყობს ქართველთა ერთიანობას, არამედ დიდად უშლის ხელს მას და გამორიცხული არ არის, რომ დროთა განმავლობაში მან ფრიად სავალალო შედეგებიც მოვიტანოს.

ამანაზი აკაპია,
პროფესორი, აკადემიკოსი,
ცირა აკაპია
პროფესორი, აკადემიკოსი

ახალგაზრდა მამაოს უცნაური ამბავი

ორიოდე წლის წინათ ჩვენს ეზოში მამაო გამოჩნდა, – ქირით დაღვა მეზობლის ბინაში. მამაო ახალგაზრდა კაცია, – მაღალი, ახოვანი, ტანწერწერა, ერთი შეხედვით მშვიდი, წყნარი და მუდამ ფიქრიანი. ღია შავი, ბეჭებზე შეფენილი სწორი თმა, კუპრივით შავი წვერი, თაფლისფერი თვალები, მცირედ კეხიანი ცხვირი, პატარა პირი და სათნო ღმილი, – არ ვაპირებ, წმინდანის იერს აძლევდა.

პირველი ნახვიდანვე მოვიხიბლე მამაოთი. ადრე დილით გადიოდა ბინიდან და ჩვეულებრივ ძალიან გვიან, შუა ღამით ბრუნდებოდა. იქნებ ამიტომაც მეზობლებთან თითქმის არ ურთიერთობდა, თუმცა, როგორც მითხრეს, მეტისმეტად თბილი და ყურადღებიანი ადამიანია, თითოეული ოჯახის ცხოვრება აინტერესებს და ეზოს ამბებზე კარგად იცის. ყოველ ნახვაზე თავის მდაბლად დაკერით და ღმილით მესალმებოდა.

ერთ, კვირადღეს მამაოსთან ქალი გამოჩნდა, ნინო ერეკა. იგი გრძელი, მიწამდე დაშვებული შავი კაბით და ჩიხთიკობის მსგავსი თავსაბურთით იყო შემოსილი. უჩვეულოდ ღამაში თვალები და თეთრი სახე ჰქონდა, თუმცა თავი თხელი მუქი ქსოვილით ჰქონდა შებურული. ვიგრძენი, რომ ნინოს სადა და მონახეური სამოსელი უძლური იყო დაეძალა ამ ქალის სრულყოფილება, ხორციელი სისრულე და ქალური მიმზიდველობა.

ნინო და მამაო მუდამ ერთ დროს, ერთად და ღამის ერთმანეთზე მიტყუებული გამოდიოდნენ ეზოდან. ჩემი ყოველი შეხვედრა მათთან შორიდან მოკრძალებულ მისალმებას და თავის დაქვევას არ გასცილებია, თუმცა რატომღაც ძალიან მინდოდა ამ წველის გაცნობა. ხელს ისიც მიშლიდა, რომ სხვა ქალაქში მქონდა სამუშაო და იშვიათად მიწვედა დედაქალაქში ჩამოსვლა.

მხოლოდ ახლა, ამასწინათ ჩვენს ეზოში მომხდარი გაუხმაურებელი ამბის შემდეგ დაიწყო ნინოსა და მამაოზე ფიქრი, თუმცა, გითხრათ სიმართლე, ბევრი ვერაფერი გავიგე მათზე და ახლა კითხვები უფრო მეტი მაქვს, ვიდრე პასუხები. დღესაც არ ვარ დარწმუნებული, ვინმემ რამე იცოდეს თუ რა მოხდა სინამდვილეში.

რატომღაც ამ ამბის მონაწილე აღმოჩნდა ჩვენი მეზობელი ზურაბი, რომელზედაც მინდა გაკერით მოგიყვებო.

როგორც ყველა იტალიურ ეზოში, ჩვენც კარგი მეზობლობა გვაქვს, თუმცა, უჩვეულოა, ყველანი განსხვავებული, ღირსებითა და ნაკლით მეტნაკლებად გამორჩეული ადამიანები ვართ, როგორც ყველა-ყველა, მაგრამ მიმანია, რომ ჩემი კარის მეზობელი ზურაბი სხვებისგან გამორჩეულია, – რამდენადაც ეს ახლა უნდა გეგონებოდეს, ტრადიციების მიმდევარი კაცია, ეზოს წინამძღოლი და ლიდერი. იგი უსიტყვო და მამაცი ადამიანია, ლხინსა და ჭირში ყველას შემწე და თანამდგომი, უჩვეულოდ ხელგაშლილი, თუმცა ხან-დროს მეტისმეტად თავდაჯერებული, ფიცხი და თავშეუკავებელი. ბევრჯერ დარწმუნდი, რომ ეს მაშინ ხდება, როცა ვინმე ცდილობს სხვა დაჩაგროს და უსამართლოდ მოექცეს. ზურაბი ვერ იტანს დიდგულობას და თავხედობს, ენატანობას, სხვის საქმეში ცხვირის ჩაყოფას; ადრე, როცა ეზოში ბინა შევიდინეთ, მოხდა გაუგებრობა, – ერთ-ერთი მეზობელი შეეცადა კუთვნილი სარდაფის წართმევას. სადამოს ზურაბი მოვიდა, თქვა სიტყვა და ამით დასრულდა. ერთხელ, იმ საუკუნეში, წველიადისა და არეულობის ეპოქაში, ზურაბი ამილახვართა ნაქონი უშველესი ხმლით ხელში სადარბაზოში მართლმართო გადაუდგა ქურდებსა და მამაძაღლებს, რომლებიც მოურიდებლად შემოდისდნენ ეზოში და ყველას თვალწინ ძარცვავდნენ ბინებსა და ადამიანებს. მოგვიანებით ზურაბმა შავ ბიჭებთანა და მათ მეგობარ პოლიციელებთან გაიფუჭა ურთიერთობა, როცა გაიგო, რომ ჩვენი ეზოს ერთ-ერთ ობოლ ბიჭუნას ყოძარბაზეთან დაუჭერია საქმე და დედამისის ბინის გაყიდვამდე მისულა საქმე.

ზურაბს დიდგულობა, ალბათ, თავისი დიდი წინაპრებიდან მოსდგამსო, ამბობდნენ ეზოს ხანდაზმული ქალები, – თავადუბის მემკვიდრე და მათი სისხლი უდღესო ძარღვებში. გვარიშვილობაზე რა მოცახსენოთ, მაგრამ ზუსტად ვიცი, რომ ჯერაც უწვევრულაშო ზურაბი მოხალისედ წავიდა აფხაზეთის ომში და ერთ-ერთი ბოლო გამოვიდა დაცემული სოხუმიდან. ამით ამაყოფს კიდევ, – ომის ჯილდო – ვარდისფერი ნაირევი დღემდე უმშვენებს სახეს.

ახლა სხვა დროა და ზურაბი საქმის

კაცი გახდა, როგორც ახლა ამბობენ, ახალი ქართველია – რამდენიმე მაღაზია, სააქმრო და რესტორანი აქვს ქალაქში, რომელსაც დღემდე თავს დასტრიალებს.

ზურაბს აქვს რაღაც ძველბიჭური, ძველზნური, რომლის გარეშეც რაღაც-რაღაცების დაღაგება და გადაწყვეტა უთუოდ გაჭირდებოდა ეზოში. როგორც ოდესღაც ბევრი ქართველი მამაკაცი, ზურაბსაც უყვარს იარაღით, მისი ბინის კედლები ძველისძველი თუ თანამედროვე თოფ-იარაღითა და ქამარ-ხანჯლებითაა მოფენილი.

ზურაბს რამდენიმე მანქანა აქვს ეზოში, ქალაქგარეთ სახლები აიშენა, თუმცა იტალიურ ეზოს ვერა და ვერ შევლია. ხუთი შვილი ჰყავს ზურაბს, – ერთი ბიჭი და ოთხი ქალიშვილი. გოგონებზე გიჟდება განსაკუთრებით, როცა სახლშია, ეზოში გამოდის, გოგონებს კისერსა და ზურგზე შეისვამს, ოთხზე დადგება და ცხენობანას თამაშით ართობს.

ასეთი მახსოვს ზურაბი მანამ, სანამ მამაო არ გამოჩნდა ეზოში.

ზურაბის და მამაოს ბინები ეზოში ერთმანეთის პირისპირ მდებარეობენ. ზურაბის ბინა მეორე სართულიდან გადაკეურებს მამაოს კარ-ფანჯარას, თანაც ისე, რომ მამაოს სამზარეულო და საძინებლები იქიდან ხელისგულივით მოჩანს.

ახლა მოდავია, მაგრამ მაინც გაგვიკვირდა, როცა შევიტყვეთ, რომ ბოლო დროს ზურაბი უჩვეულოდ ეკლესიური გახდა, – დამისთევებზე მოუხშირა სიარულს, მდიდრული სალონკები მოაწყო სახლში და ბინაში, სტუმრებისა და მეგობრების, ღვინისა და ქვიფობის მოყვარული ზურაბი ახლა მარხვებს იცავს, გულისყურით ასრულებს საეკლესიო წესებსა და რიტუალებს. ამბობენ, – მამაოს ტაძარს აუარებელი ფული შესწირაო ზურაბმა.

ზურაბი და მისი ოჯახი, მამაოს თხოვნით, ახლა მეექვსე შვილს ელოდება თურმე, თუმცა ყველამ კარგად იცის, რომ ამილახვარებს მალე მეხუთე ქალიშვილი ეყოლებათ, ზურაბის საოცნებო ნაბიჯარა ბიჭი კი თავის რიგს კიდევ დიდხანს დაელოდება.

ბოლოს ზურაბი ივნისის დასაწყისში ენახე. ნადვლიანი და შეწუხებული იყო, ბოლთას სცემდა ეზოში, – ეს რა ბიჭები დაგვიხოცესო ავღანეთში, ცრემლებს ვერ იკავებდა. შემოშნივდა თითქოს, – ვერ ვხვდები რა ხდება, არ ვარ დარწმუნებული, რომ ავღანეთში ჩვენი ომი. მერე დაამატა, – ალბათ გახსოვს აფხაზეთი, მოხალისეები სამეზობლოდან, რუსეთის სამშვიდობოებიო... და ბინაში შევიდა.

იმ დღეებში ქაშუეთში დადიოდა, დამეს იქვე, ავღანეთის მისიმი დაღუპული ბიჭების ცხედრებთან ათევედა.

* * *

17 მაისს აბაზანაში გაქაფული ვიდექი, წვერს ვიპარსავდი. კარზე კაკუნი გაისმა, – ჯერ ფრთხილი, მერე ნერვიული და ხმაურიანი. კარი გავაღე, – შე-მოსასვლელთან ზურაბის ბიჭი იდგა, აკანკალებული, ფერდაკარგული.

– რა იყო შვილო, რა ხდება?
– მამას სცემენ...
– ვინ, სად?
– სახლში...
ბიჭმა თავი დახარა, ტიროდა, ზურგს უკან სუფრის დანას მალავდა.

– მოვდივარ...
– არა, თქვენ არა, თქვენი შვილი სახლშია?

– ჰო, სახლშია, ახლავე.

ჩემი ბიჭი უძალ გავიდა ეზოში. ბნელოდა, მალე მამაო გამოჩნდა და ჩემს ბიჭთან განმარტოვდა. მშვიდი და წყნარი ჩანდა, გადიმებას ცდილობდა...

მეჩქარებოდა, სამსახურში გამომიძახეს. ნახევარ საათში შვილს დავეურეკე, რა ხდება, რა მოხდა-მეთქი.

– არაფერი, დაწინარდი, ყველაფერი კარგადაა.

– ზურაბი როგორ არის?

– ტუჩებზე ნაკერს დაადებენ და სახლში დაგებრუნდები.

– ეს როგორ იკადრა, ნორმალურია?

– ნორმალურია, რა თქმა უნდა, თავად იცის თავისი საქმე.

– მისალოცია, გადარჩენილა მამაო, ეს როგორა?

– შემეშვი მამა, ხომ იცი ზურაბი რა კაცია, ხელს ვერ ასწევდა თავის სახლში...

– გასაოცარი ამბავია...

– დაწინარდი, არაა შენი საქმე, ზურამ უკეთ იცის თავისი საკეთებელი... ამასე არ სურს საუბარი.

– ჰო, გასაგებია, მაგრამ...

– მორჩა და გათავდა, სულ ეს არისო და ტელეფონი გათიშა.

* * *

იტალიურ ეზოს არ უყვარს უპასუხო კითხვები, ის ეძებს და ყოველთვის აქვს პასუხები და დასკვნები, თანაც ისეთი, რომელიც ჩვენს რეფორმირებულ სასამართლოს და მის ბევრ უწიგნურ და მშიშარა მოსამართლეს შემუშავდა.

17 მაისს ზურაბი მამაოსთან ერთად მისულა არატრადიციულთა ადლუმის საპასუხო სტიქიურ შეკრებაზე. იმ დღეს ჩვენი ეზოს ქალები, მათი დაქალები და სხვა ბევრი მოქალაქე ყოფილა მოედანზე. მამაო მეხთა მტყორცნელ ზეგეს ჰგავდა თურმე, ხალხსა და არატრადიციულებს შორის იდგა და აშოშმინებდა; მოედნის ყველა კიდეც ეფინებოდა მამაოთა გუდრება-ღმერთი სიყვარულია, ქრისტე მშვიდობა და თანხმობაა, მაცხოვარი არავის არ ებრძვის!

ზურაბიც იქვე ყოფილა, მერე ხალხის ტალღას გაუტაცია და მომიტინგე არატრადიციულ ქალთა გუნდის შორიახლო აღმოჩენილა. იქ კი ნინოს გადაჰყვია, სხვა ფერში და სხვა სამოსელში, – ელვას ჰგავდა და ელვარებდა თურმე.

– შენ, აქ? – უკითხავს გაოცებულ ზურაბს.

– ჰო, რა თქმა უნდა, მე და აქ, – შეპასუხებია ქალი.

– მოდი, დავილაპარაკოთ, – უთხოვია ზურაბს.

– წადი, საქმე ნახე, აქ შენი ადგილი არ არის, – ხმა აუწვია ნინოს.

ზურაბი ნინოსთან მისულა, მხარზე დაუდგია ხელი, მერე მაჯაზე მოუკიდია და გვერდზე გაუწვია. გაძლიანებულია ქალი, – არ მომეკარო, თუმცა დაჰყოლია.

– გაოგნებული ვარ, შენ... აქ, ის – იქ, რას ჰგავს ეს?

– ეს ჩემი ნება და არჩევანია, მე თავის-უფალი ქალი ვარ, თუმცა მოძღვრის ცოლი, რომელსაც ვეთაყვანები შინაგანი კულტურის, ურყევი რწმენისა და დაცემული ადამიანის გადარჩენაზე ოცნების გამო... იგი ვერ იტანს მატყუარებს, ქურდებსა და ფარისევლებს... მაგრამ ეს-მარტა დაცემულებს და წაღვადებულებს... მეც გვინია, რომ დაცემა ჯერ კიდევ არ არის განადგურება, უფალისგან მოკვება და უარყოფა... უნდა ვდღიროთ, რომ უხნეობა უფრო გამანადგურებელი მანქანაა საზოგადოებისთვის, ვიდრე სხვა რამ, რაც კი შექმნილა დედამიწაზე...

– და ეს მაინც როგორ, ის – იქ, შენ – აქ, გაიმეორა ზურაბმა. – ჩემს მოძღვართან და მეგობართან ღამით სარეცელს იზიარებ, დღისით კი ეკლესია გინახავს... ახლა აქ რაღა გინდა?

– არ იცი და ვერ მიწვდები შენ, ჩემო ზურაბ, უფლის გონს და ჭეშმარიტი რწმენის საიდუმლო, ვერ გაუგებ გემოს ღვთიური თავისუფლების, არც იმას მიხვდები თუ ვინაა ჩემთვის მამაო, თუნდაც იმიტომ, რომ ღანარი ხარ...

ამის გამგონე ზურაბი ისე დაბნეულა, რომ სათქმელი ვერ უპოვია.

– რას უცდი, იყვირე, დამარტყი, ეს ხომ შენი ვნებაა, შენი წესია...

ბრაზისგან დამუწვებული ზურაბი, ენაზე უტყვინა ენაზე ისე, რომ სისხლი სდიოდა პირიდან.

– ეზოში, სხვების თვალში მაგარი გგონია თავი, ახლა რაღა დაგეპმართა, თქვი რამე, გვადირსე, – კიოდა ქალი. – ნუ გეშინია, მე, შენგან განსხვავებით, მშიშარა და მამუხლარა არა ვარ, არ ჩავიშვებ მოძღვართან, საყვარელო...

– საიდან მოიტანე, ზიარებაზე ამბობ? – უთქვამს თავზარდაცემულ ზურაბს.

– ჰო, ზიარებაზე, აბა როგორ გვეგონა. მიედ-მოედ, სხვა გვერაფერი მოიფიქრე და წვრილად ჩაუკენე მოძღვარს, რომ მე, მისი ცოლი, მზის ამოსვლამდე წამოვხტები ღოვინიდან, ვიხი და სტრიპტიზებს გიწვი, დედისობილა ვვადებო ფანჯარასთან და სააღმოსრდ გიხმობ...

– განა ასე არ არის, ასე არ ხდება? – ხმა ამოუღია ზურაბს.

– ჰო, ასეა, მასეა, ჩემო წმინდანო და რომის პაპზე კათოლიკე ბიჭო, თოვებისა და ხანჯლების მბრძანებელი, უნლიყო ცხენო...

ზურაბი ღუმდა თურმე და უსასოდ მიშტერებოდა სატანას, რომელსაც ანგელოზის სახე, ეშმაკის ენა და ყურები ჰქონდა.

– მოგწონვარ, გაგიჟებ თურმე, ასე გგონია?... ღამაში ქალი ვარ? გიშრის თმები და ბროწეულის ძუძუები მაქვს? თვალისმომჭრელი მეკრდი და მარწყვის კერტები მაქვს? ბროლის ტანი და ჭიანჭველას წელი მაქვს? გადასარევი საჯდომი და თეძო-ბარძაყი მაქვს? – ჰო, ჰო ასეა, მაქვს, მაქვს და მიხარია, რომ გამორჩეული ვარ. ეს უფლისგანაა, მე ვარ მსგავსი და ხატო, მემკვიდრე და გაგრძელება სქესიანი თუ უსქესო ადამი-

ანთა მარად საოცნებო ევასი, რომელმაც კაცუნებსაც აგისილათ თვალი და განახათ ბოროტი და კეთილი, მწარე და ტკბილი, წამება და ნეტარება... და რა არის ამაში რამე ტყუილი, მკრეხელური, თუნდაც ამ ბრბოსთვის არმოსაწონი? ეს კაცები, კაცუნები, ადამივით მარად ბრიყვები და უსახურნი, მხოლოდ აქ, ერთად და ერთმანეთში ხართ მაგრები და მამაცები, თორემ ცალ-ცალკე და სადღაც მიგდებულში მუხლებზე ეცემით და ღამაზე ქალებს ლაჯებში უფარდებთ საჯიჯგნად. მაღლობს ყოვლისშემძლეს და რამდენი მყოლია ასეთი დამპალი და ნაძირალა...

იღვა ზურაბი და საცრისოდენა თვალებით უმწოდ შეკრებულა ამ გაცხადებულ გიჟსა და მწვალბეგლს, რომელიც უცხოურ არასამთავროში გაწვრთნილი გოგონების სიტყვას სიტყვაზე აწებებდა.

– რაა ბიჭო, გგონია, რომ მე მინდოდა, შენ კი წმინდანი ხარ და უარმეავი?... არ ჩერდებოდა ნინო. ...უეზუნურო და ნაძირალავე, მე ასაკით პატარა ვარ, მაგრამ ადრე დავკლიე შიში და დედაქალაქში დავქაღდი... ვნახე და შევიცანი, ვიგემე და განვიცადე მიწიერი სამოთხე, მოვიღე და წავაგე, დავეცი და წამოვდექი. წამალსაც ნამოვეკიდე, მაგრამ გადავავლე. ეს იმიტომ, რომ მე დროის შვილი ვარ, პიროვნება ვარ და ვაკეთებ იმას, რაც მე მინდა და არა იმას, რასაც მხევევენ თავზე და ტრაქზე. მე არც იმას გაგავკეთებ, რასაც ჩემგან მოელიან თურმე საუკუნეთა წინათ დახრწილი მეფეები და ხელმწიფეები, მღვდელმთავრები და წმინდანები. მე მეფე ვარ ჩემი და მიმიფუროსება ვფროსისა თუ ამერიკისთვის, მე ჩემი ქვეყანაც მეყოფა დარდად და ტკივილად...

ზურაბი იდგა ხელდუნამოშვებული და უაზროდ იყურებოდა.

– მე უძნაკოება მეწვია, მამაოსთან პირობა მაქვს და ეს ჩვენი საიდუმლოა, ვისი რა საქმეა? ეს ის სიყვარული და გაგებაა, რომელიც მხოლოდ უფლისგან მოდის. ეე, ეე, ასი წელი არ გეყოფა შენ, რომ ამას მიხვდე და გაიგო...

– დავიჯერო, რომ შენისთანები ხვდებიან და იციან რაა მადლიერება და ერთგულება? – ღამის გულუბრყვილოდ იკითხა ზურაბმა.

– ჰო, ვიცი, როგორ არ ვიცი, არის ასეთი ძალღური ავადმყოფობა, – დასცინა ნინომ და აკისკიცა. მერე გელის ყელი აიღერა და შეკრებილებისკენ გაიშვირა ხელი – როგორც ხედავთ, ეს ავადმყოფობა, ჩვენდა სამარცხინოდ, ჯერ კიდევ შემორჩა ბნელ და სამარეში დარჩენილ საქართველოს. ვეჭვობ, რომ ამ ზღვა ხალხში ცოტა ვინმემ თუ იცის ერთგულების და მადლიერების ფასი...

– გასაგებია შენი და თქვენი, – ჩაიღულდა ზურაბმა და მიტრიალდა, ნაცნობი გამოეღაპარა. არატრადიციულებს პოლიცია გადაეფარა და ავტობუსში ჩასხდომას თხოვდა.

– ეე, მოიცათ ბატონო ზურაბ და ცერებზე შედგა, – მე შენთვის სხვა რამეც მაქვს ასახსნელი, უკვე კიოდა ნინო. – აი, მე ვშიშვლდები ცისმარე და მზეში ვბანაობ, რათა მუდამ ხალისიანი ვიყო და სითბო ვაჩუქო ადამიანებს, რითაც შემიძლია ხელი შევაშველო ქვრივ-ოხრებსა და დატყვევებს, რომლებიცაც გაივსო ქვეყანა... შენ სხვა რამ გვეგონა უწიგნურო და მაძლარო მძორო?... სამაგიერო არ გადაგიხდი, არ გაცემ, მაგრამ მამაოს ცოტა რამეს ვერცე შენზე... და ეს იმიტომ, რომ იგი არა მხოლოდ გონით გამორჩეულია თქვენგან, არამედ ჭეშმარიტი მართლმსაჯულია სამეზობლო...

წამიც და ნინო გაქრა. ზურამ თვალი მიაყოლა. ნინო ავტობუსში არ ჩაჯდა. ერთ მასავით კოპწია გოგონას ხელმკლავი გამოსლო და მოედნის კიბეებით დაბლა დაეშვა.

* * *

ავღანეთში ისევ დახოცეს ქართველი ბიჭები და ქვეყანაში გლოვის დღე გამოცხადდა. ზურაბი დაღუპულების კუბოებს არ მოშორებია მანამ, სანამ ყოველი მათგანი მშობლიურ მიწას არ მიაბარეს.

ამ ამბის შემდეგ მამაო და ნინო ეზოში არ გამოჩენილან. ბინა ჩაუბარებიათ, მათი ადგილსამყოფელი დღემდე არაინი იცის.

ახლანა მეზობელმა თქვა, მამაო სამწვემსოში გამორჩეული ახალგაზრდა კაცია, ეს იქაც კარგად იცინო და ხელი მრავალმნიშვნელოვნად გაიშვირა საპატრიარქოსკენ.

რაფიელ ბელანტი,
ქუთაისი

საორტულო კუთხე მიჰყავს ჟურნალისტ ბიორბი ჯალაღანია

კახა კალაძე: ქართულ ფეხბურთში ყველაფერი ნულიდან უნდა დავიწყოთ

პოპულარულ რუსულ გამოცემა “მოსკოვსკი კომსომოლცეში” გამოქვეყნდა ინტერვიუ კახა კალაძესთან, რაც ვფიქრობთ, საინტერესო უნდა იყოს ჩვენი მკითხველისთვისაც. გთავაზობთ რამდენიმე ფრაგმენტს ამ ინტერვიუდან.

– წარსულში ცნობილი აფხაზი ფეხბურთელი ახრია ცვეიბა არ ჩამოვიდა თქვენს საბუნებისო მატჩზე თბილისში და განაცხადა, რომ ამ ყველაფერს ჰქონდა გარკვეული პოლიტიკური ქვეტექსტი. ხომ არ გაბრაზდით ძველ მეგობარზე?

– როცა ის დავპატიჟე, ძალიან გაუხარდა და ჩამოსვლაზე დამთანხმდა, მაგრამ ის ძლიერ პრესში მოაყოლეს, არ წმენდნენ, საქართველო ამგვარად ცდილობს საკუთარი პოლიტიკური პრობლემების მოგვარებას.

მე და ცვეიბა ახლობლები ვართ და მისი მესხის, ოღონდაც ვერ ვხვდები, რა შუაშია ამ ყველაფერში პოლიტიკა.

– პოლიტიკა იმ შუაშია, რომ თქვენ ახლა მინისტრი ხართ. როგორ შეგეუთ ახალ ამბლას და უნიფორმას? კოსტიუმი და პალსტუხი ხომ არ გიჭერთ?

– უნდა გამოგიტყდეთ, რომ თავიდან მართლაც ძნელი იყო ეს ყველაფერი. დილით ადრე მივიღოდი სამსახურში და შინ შუალამისას ვბრუნდებოდი, სანამ კარგად არ გავერკვეოდი სიტუაციაში. ენერგეტიკა უმნიშვნელოვანესი საკითხია საქართველოსთვის. ეს ის სფეროა, სადაც მაქსიმალური ინვესტიციები მიდის.

– ერთ-ერთ ინტერვიუში საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა – კალაძე ყველას დაეწევა და გაუსწრებს. რამდენად შორს მიდის თქვენი პოლიტიკური ამბიციები? იმაზეც ხომ იყო ლაპარაკი, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში ყოფილიყავით კანდიდატი...

– გუშინ ფეხბურთელი იყო და დღეს მინისტრი ასეთ საპასუხისმგებლო სფერო-

ში? ზოგი ასე განიხილავდა ამას, ამიტომაც იყო ნათქვამი ეს სიტყვები. არ სჯეროდით, ეგონათ, რომ ამ საქმეს ვერ გაავრთმევდი თავს.

– ფეხბურთის დავებურუნდეთ. გვსურს გავიგოთ, რა სიტუაციაა ამ მხრივ საქართველოში. 200-300 მაყურებელი უმაღლესი ლიგის მატჩებზე...

– ვითარება მართლაც არ არის მარტივი, ჩემპიონატის დონე ძალიან დაბალია. სანამ ქვეყანა ეკონომიკურად არ დადგება ფეხზე, ფეხბურთი ვერ იქნება კარგ დღეში.

არ არის ინფრასტრუქტურა, არ არის ნორმალური პირობები ბავშვების სავარჯიშოდ. “დინამოს” და “ლოკომოტივის” გარდა, სხვა ნორმალური სააფხებურთო არენაც არ არსებობს.

სახელმწიფო, რა თქმა უნდა, დაცემარება სპორტს, თუმცა მე უპირატესობას სახელმწიფოსა და კერძო სტრუქტურის პარტნიორობას ვანიჭებ.

– საქართველოს ნაკრებმა თქვენი, არველადის, ქინკლადის, კობიაშვილის, ქეცაიას და ევროპაში სხვა ქართველების თამაშის დროს ვერაფერს

მიადწია. რა ელის საქართველოს ნაკრებს ახლა, როცა ამ თაობამ ბუცები ღურსმანზე ჩამოკიდა?

– ყველაფრის ნულიდან დაწყება მოგვიწევს. არის ნიჭიერი თაობა, თუმცა უკვე 14-15 წლის ასაკში რუსეთში, უკრაინაში ან ევროპაში წასვლა სურთ, იქ, სადაც კარგად იხდიან და საქართველოში დარჩენილი ოჯახის და ნათესავების შენახვის საშუალებაა.

ჩვენს კლუბებს ისეთი პირობები უნდა შევუქმნათ, რომ კონკურენტუნარიანები გახდნენ. ასეთ შემთხვევაში ჩვენი ფეხბურთელები რამდენიმე წლით მაინც დარჩებიან აქ.

– თბილისის “დინამოს” რომან ფიფიას პატრონაჟით შეუძლია გახდეს პირველი მერცხალი?


– რა თქმა უნდა. იქ ძალიან ბევრი კეთდება ფეხბურთის განვითარებისთვის, საკმაოდ მნიშვნელოვანი თანხებიც იხარჯება. “დინამო” – ეს არის სახელი და დიდი ტრადიციები. ვინ უნდა დაიწყოს ქართული ფეხბურთის აღორძინება, თუ არა “დინამო”?



გამოვიდა პირველი ტომი სერგეი კრემლიოვის წიგნისა “გამრია – XXI საუკუნის საუკეთესო მენეჯერი”. გამოცემა განხორციელდა სახალხო მოძრაობა “სამეგრელოს” მხარდაჭერით. წიგნის შექმნა შეიძლება ზუგდიდში, რუსთაველის ქ. №68-ში, სახალხო მოძრაობა “სამეგრელოს” ოფისში. ტელ. 599.209.624

თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველ ოთხშაბათ დღეს, დილის 9 საათზე, ბაქრაძის ქ. №6-ში (დიდუბე). ტელ. 599.573.322.

საბამოცემო ჯგუფი



პატივცემული რედაქციამ,

ხელში ჩამივარდა გაზეთ “ილორი”-ს ის ნომერი, რომელშიც გამოქვეყნდა გიორგი სიჭინავას მიერ მეგრულად შეთხზული ლექსები. მათგან ერთმა განსაკუთრებით მიიქცია ჩემი ყურადღება. ცვადე მისი გადმოქართულება. შეიძლება ორიგინალის დონისა არ იყოს, მაგრამ, ვფიქრობ, რომ ურიგოც არ არის. პატივისცემით,

ბაბრატ ბაღიძე,

საქართველოს მწერალთა კავშირის, აკაკი წერეთლის, გალაკტიონ ტაბიძის და ივანე მაჩაბლის პრემიების ლაურეატი.

ბიორბი სიჭინავა

მე და ჩემი ახრდილი

კაცის ჟამი რა ყოფილა, თურმე ორად გაყოფილა. მივდივარ და შუკა-შუკა ჩემი ლანდი მომდევს უკან.

არ დაიწყებს მღვასე ისა, ვიდრე სინათლეა დღისა. ვართ ჯერ კიდევ ერთად, ასე, მე და ჩემი ლანდი გზაზე.

გადმოქართულა
ბაბრატ ბაღიძე

გამოვიდა სახალხო მოძრაობა “სამეგრელოს” სამეცნიერო-კულტურული და ლიტერატურული ჟურნალ “აია”-ს 2013 წლის პირველი ნომერი. მთავარი რედაქტორი ბიორბი სიჭინავა.

ჟურნალი შეგიძლიათ შეიძინოთ ზუგდიდში (რუსთაველის ქ. №68), სენაპში, ჟალნაჟისაში, ჩხორიწყურში, მარტვილში და აბაშაში, სახალხო მოძრაობა “სამეგრელოს” წარმომადგენლებთან. თბილისში – ტაშაშენის ქ. №25, I საღარაპო, ბინა, 1. შასი 4 ლარი

პრემიარი ივანიშვილი:

„კუთინი თავის გამოსვლაში საქართველოს ერთ ტერიტორიად მოიხსენიებდა...“

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა კურნალისტებთან ტრადიციული შეხვედრა გამართა, რომელმაც ორ საათს გასტანა. საქართველოს პრემიერმა „ეხოს კავკასიას“ ჟურნალისტის შეკითხვაზე, რა კონკრეტულ ნაბიჯებს ელის იგი მოსკოვისგან სოჭის ოლიმპიადამდე, განაცხადა, რომ შესაძლოა, რუსეთთან ურთიერთობის საკითხში შემდგომი ნაბიჯი იყოს ავიარისები თბილისისა და მოსკოვის შორის, ასევე, ლაპარაკია ვიზიტის გამართვებასა და გაუქმებაზე.

ამასთან, ივანიშვილმა ილაპარაკა იმ მინიშნებებზე, რომლებიც რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის ინტერვიუში ამოკითხა.

„რუსეთის პრეზიდენტის ინტერვიუს დიდი ნაწილი დათმობილი ჰქონდა საქართველოსთან ურთიერთობას, ყველაზე დიდი მინიშნება ჩემთვის იყო ის, რომ არსებობს ტერიტორია, არსებობს ხალხი ამ ტერიტორიაზე მცხოვრები. ის ერთ ტერიტორიად მოიხსენიებდა თავის გამოსვლაში საქართველოს და მინიშნება იყო ჩვენს ძმებზე – აფხაზებსა და ოსებზე, რომ ჩვენ თვითონ უნდა გადავწყვიტოთ, ჩვენი გადასაწყვეტია ეს პრობლემები. აბსოლუტურად კარგად გავიგე ეს მინიშნებები და ვეთანხმები“, – განაცხადა პრემიერმა.

იუმორი

დედა შეილს ციხეში წერ-ილს სწერს: “შვილო, დავუძღვრე, მიწის დამუშავება აღარ შემიძლია, არც არავინ დამეხმარა და წელსაც ვერაფერი დავთესე, რა ვქნა, აღარ ვიცო...”

შვილი უგზავნის პასუხს: “დედი, ბოსტანს არ გაეკარო, თორემ ისეთ რამეს ამოთხრი, მაგრად ინანებ...”

დედა: “შენი წერილი რომ მივიღე, მოვარდა პოლიცია, ბოსტანი სულ გადათხარეს, ვერაფერი იპოვეს და გაბრაზებული გინებით წავიდნენ...”

შვილი: “რა ვქნა, დედი, რითაც შემეძლო, დავეხმარე, დათესე შენზეა...”

სომეხი თოვლის პაპა:

– აბა, ბავშვებო, იყიდეთ საჩუქრები!

ჭიჭიკია კვდება და ცოლს უბარებს:

– მე კვდები. ვიცი, რომ შენ გათხოვდები, მაგრამ უფლებას არ გაძლევ, რომ ჩემი ტანსაცმელი შენმა მეორე ქმარმა ჩაიცვას.

– მაგაზე ნუ იღარდებ. მოვაზომე და პატარა აქვს.



ISSN 1987-8966 ilori

ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე

რედაქციის მისამართი:
თბილისი,
ბაქრაძის ქუჩა №6
მე-4 სართული
სარეგ. №01018002930
234-32-95

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოლოყიშვილი
ბაზმითის მენეჯერი: ზურაბ ძოგალაძე 599-34-37-27
სარედაქციო საბჭო: ზაურ ბახარია, ზურაბ ჯამბურია, თენგიზ კუპალაშვილი, კლიმენტი შელია, ბივი სომხიშვილი, დავით ძოგალაძე, ბიორბი სიჭინავა, ნუზარ სალაყაია (გალი)

გაზეთ “ილორის”
გაცნობა შეგიძლიათ
“საქინფორმის”
ვებგვერდზე
WWW.saginform.ge